

აკოლონ სილაგაძე

კველი ქართული ლექსი და
ქართული პოეზიის უკველესი
საფესურის პრობლემა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1997

894.631.09
83.3 რე
ს 50

ნაშრომი ეძღვნება ქართული პოეზიის განვითარებაში ქვედა ზღვარის — უძველესი, წერილობით დაუდასტურებელი, საფეხურის — პრობლემას. ამ პრობლემის გადასაკრელად ორი ამოცანაა დასმული: ა) იმ ვითარების ზოგადი აღდგენა, რომ ქართული ლექსთწყობა ჩამოყალიბდა და გარკვეული სახით მოქმედებდა იმ დრომდე გაცილებით ადრე, რომელსაც განეკუთვნება მისი რეალიზაციის ამსახველი ჩვენამდე მოღწეული პირველი ნიმუშები; ბ) იმის ჩვენება, რომ ლექსთწყობის ფუნქციონირების ეს ქვედა ზღვარი ლიტერატურის კუთვნილებაა და არა ფოლკლორის ან მხოლოდ ფოლკლორისა.

ავტორი მადლობას მოახსენებს ბატონ თამაზ მაღლაკელიძეს წიგნის გამოცემაში გაწეული დახმარებისათვის.

რედაქტორი ი. გოსცირიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997.

4603010000

ს

M 608 (06) 97

ISBN 5—511—00786—2

ეძღვნება
პაულე ინგოროყვას
სსოვნას

შენახვალი

1. 1. წინამდებარე ნაშრომისთვის ამოსავალია პოსტულატი იმის შესახებ, რომ ლიტერატურის ისტორია სისტემაა. ჩვენი აზრით, ფუნდამენტურ ამოცანას წარმოადგენს დანახვა სისტემის მთლიანობისა, როდესაც კანონზომიერებათა ფარგლებში მოცული იქნება მოცემული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილი თუ უცნობი ყველანაირი, მათ შორის — ქრონოლოგიური (მაგ., „ძველი“, „ახალი“, „უახლესი“) თუ იდეური და ყანრობრივ-თემატიკური (მაგ., „სასულიერო“, „საერო“), გრადაციები. ამ შემთხვევაში არა მარტო ზოგადად განისაზღვრება კანონზომიერი განვითარება და ლიტერატურული პროცესების ურთიერთდაკავშირებულობა და ურთიერთგამომდინარეობა, არამედ კონკრეტულად გამოვლინდება ლიტერატურული ნორმების, სკოლების, სტილების არსებობა, მათი ურთიერთმიმართებები, „ბრძოლა“, — არა მხოლოდ მოცემულ სინქრონიულ ჭრილში, არამედ ერთმანეთისგან უკიდურესად დაშორებული „პერიოდების“ ფარგლებშიც. გარდა ამისა, იქმნება შესაძლებლობა ლოგიკურად პოსტულირდეს გარკვეული პროცესებისა და ეტაპების არსებობა, აგრეთვე კონკრეტულად რეკონსტრუირდეს ზოგიერთი ისეთი მოვლენა, რომლის ამსახველი ფაქტობრივი მასალა არ მოიპოვება, — გვაქვს მხოლოდ გარკვეულ გამოვლინებათა გვერდითი კვალი.

ეს და სხვა პრობლემები, როგორც ჩანს, განსაკუთრებული პროდუქტიულობით გადაიჭრება იმ შემთხვევაში, როდესაც საყრდენად აიღება ლექსმცოდნეობითი კვლევის მონაცემები, — ამ დროს სათანადო ფორმალური არგუმენტები გროვდება.

ზემოთ ჩამოყალიბებული პრინციპების ფონზე, წინამდებარე ნაშრომის ორი მთავარი თემაა: 1. ძველი ქართული პოეზიის ფორმალურ მხარესთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლე-

მის ანალიზი; 2. ამ ანალიზის, პლუს ისტორიულ-ლიტერატურული პროცესების ანალიზის, გზით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ქართული პოეზიის განვითარებაში უძველესი, წერილობით ფიქსირებულისწინა, საფეხურის აღდგენა. უფრო ზუსტად — მთავარია მეორე თემა, პირველი მასში დასმული პრობლემის გადაწყვეტას ემსახურება. იგულისხმება, რომ შესაბამისი ვერსიფიკაციული ანალიზი საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს ის ველი, სადაც შეიძლება სისტემის ფუნქციონირების უძველესი ეტაპის გამოვლენა, რაც, თავის მხრივ, ბუნებრივად დაუკავშირდება ქართული პოეზიის უძველესი საფეხურის დადგენის პრობლემას.

1. 2. რაც შეეხება პირველ თემას, კონკრეტულ მიზანს ამჯერად წარმოადგენდა ძველი ქართული პოეზიის პრაქტიკისთვის დამახასიათებელ ფორმათა სიჭრელეში გარკვევა — თითოეული ფორმისთვის თავისი კუთვნილი ადგილის მიჩენა (მით უმეტეს, რომ ერთგვარი „სიჭრელე“ სამეცნიერო გამონათქვამებშიც შეინიშნება). ამ შემთხვევაში „გარკვევა“, ჩვენი აზრით, ორ მიმართულებას გულისხმობს: ტიპოლოგიურს და ფუნქციონალურს.

პირველ შემთხვევაში საკითხის არსი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ძველ ქართულ პოეზიაში ფაქტობრივად ჩვენ არ გვაქვს მხოლოდ ის სიტუაცია, რომელიც ასახავს ბუნებრივ პროცესს, — ვერსიფიკაციული სისტემის შიგნით მიმდინარე ფორმალურ განვითარებას, სიახლეებს, რომლებიც ქმნიან სისტემის საფეხურობრივი რეალიზაციის სურათს და, საბოლოოდ, წარმოადგენენ სისტემის დასრულებულობისკენ მიმართული მექანიზმის მოქმედების შედეგს. ამის გვერდით, რაც მთავარია, ვლინდება სრულიად არაორდინარული მდგომარეობა, როდესაც ერთსა და იმავე ისტორიულ ჭრილში — არც ისე გრძელ ქრონოლოგიურ მონაკვეთში — ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ ტიპოლოგიურად ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული ისეთი ფორმები, რომელთაც ერთმანეთთან არავითარი კავშირი, პრაქტიკულად არავითარი გადაკვეთა არ აქვთ, ხოლო მათი ერთი ნაწილი წარმოადგენს არა სისტემის შიგნით განხორციელებულ ინოვაციებს (თუნდაც წარუმატებელს), არამედ სისტემის გარეთ შექმნილ სახეობებს, — საბოლოოდ, ცდებს, რომლებიც არ აღიქმებიან და არ მკვიდრდებიან, ან,

შემდგომი განვითარების მიხედვით, არ შედიან სისტემაში, უარი-
ყოფიან და სისტემის გარეთვე რჩებიან.

ამ პირობებში საკვალიფიკაციო კრიტერიუმად, რომელიც გან-
საზღვრავს მოცემული ფორმის ადგილს, დადგენილ იქნა ფორმის
პრინციპული მიმართება ლექსთწყობის სისტემასთან, როგორც ასეთ-
თან. თეორიულად აქ, როგორც ჩანს, შემდეგი ვარიანტებია მოსა-
ლოდნელი: 1. ფორმა ავლენს ან არ ავლენს ლექსთწყობისთვის, რო-
გორც სისტემისთვის, დამახასიათებელ პრინციპულ სახეს; 2. ფორ-
მა ავლენს ან არ ავლენს ქართული ლექსთწყობისთვის დამახასია-
თებელ პრინციპულ სახეს. კონკრეტულად შემდეგი ვითარებები შე-
იძლება გამოვლინდეს: 1. მოცემული ფორმა სრულად ავლენს
ლექსთწყობისთვის, როგორც სისტემისთვის, დამახასიათებელ პრინ-
ციპულ სახეს და შეესაბამება ქართული სისტემის კანონებს, ე. ი.
წარმოადგენს ქართული ლექსთწყობის ფრაგმენტს; 2. ფორმა ავ-
ლენს საერთოდ ლექსთწყობისთვის, როგორც სისტემისთვის, დამა-
ხასიათებელ პრინციპულ სახეს, მაგრამ არ შეესაბამება ქართული
სისტემის კანონებს, ე. ი. წარმოადგენს სხვა სისტემის ფრაგმენტს,
კალკირებულს ქართულში; 3. ფორმა გარეგნულად ავლენს ლექსთ-
წყობისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, მაგრამ ისე, რომ ეწინააღ-
მდეგება ქართული სისტემის კანონებს და წარმოადგენს იმავე პრო-
სოდიულ ბაზაზე კიდევ ერთი, ახალი, „ვერსიფიკაციის“ შექმნის
ცდას; 4. ფორმას არაფერი აქვს საერთო ლექსთწყობის პრინციპულ
სახესთან და შეიცავს ისეთ საკუთარ შინაგან რიტმულ ორგანიზა-
ციას, რომელიც პოეტური ტექსტის სტრუქტურის ერთ-ერთ ელემ-
ენტს ქმნის; 5. ფორმას არაფერი აქვს საერთო ლექსთწყობის პრინ-
ციპულ სახესთან და შეიცავს ისეთ შინაგან წესრიგს, რომელიც
პროზისათვის დამახასიათებელი რიტმიზაციის დონეს ქმნის.

მეორე შემთხვევაში იგულისხმება, რომ ინტერესის საგანს წარ-
მოადგენს — ყოველ შემთხვევაში, მოცემული ნაშრომის პრობლემა-
ტიკის ფარგლებში — არა მარტო ტიპოლოგიური კვალიფიკაცია,
ე. ი. ის, თუ რა ადგილი უკავია ამა თუ იმ ფორმას ფორმათა ერ-
თობლიობაში, არამედ ფუნქციონალური დახასიათება, ე. ი. ის, თუ
რა ადგილი უკავია ამა თუ იმ ფორმას ლიტერატურულ პროცესებში,
საბოლოოდ — ლიტერატურის ისტორიაში. კონკრეტულად: ა) რა

ობიექტური მიზეზები განაპირობებენ მის წარმოშობას და ფუნქციონირებას; ბ) როგორია დიფერენცირება ფორმათა „მოხმარებისას“; გ) რა ლიტერატურული პროცესის თუ მოვლენის ასახვაა ან სიგნალია მოცემული ფორმა; დ) რომელ ლიტერატურულ ნორმას ქმნის (ან ერთ-ერთი შემქმნელი ელემენტია) მოცემული ფორმა; ე) რას უპირისპირდება იგი და, საბოლოოდ, რა როლი (ფუნქცია) ეკისრება. ყველა შემთხვევაში, ამ მსჯელობებში ლაპარაკი არ არის ფორმაზე, როგორც მოცემული ლექსთწყობის ერთ-ერთ შესაძლებელ მეტრულ აგებულებაზე, და არ იგულისხმება იდეა იმის შესახებ, რომ მოცემული აგებულება ან საზომი უშუალოდ მიემართება გარკვეულ შინაარსს ან განწყობას, თუმცა, საერთოდ, თხზულების ვერსიფიკაციულ მხარეს (კონკრეტულად, მაგ., გამიზნულ მეტრულ დარღვევებს, ან რიტმულ კომპოზირებას; და ა. შ.) აქვს საშუალება სემანტიკური თუ ექსპრესიული დანიშნულებისა იყოს და ახდენდეს გავლენას, ვიქვათ, ტექსტის ინფორმაციულობაზე (ამ პრობლემებთან დაკავშირებით სადღეისოდ უკვე არსებობს სოლიდური სამეცნიერო ტრადიციები და შესაბამისი ლიტერატურა; იხ., მაგ., J. Lévy, *The Meanings of Form and the Forms of Meaning. Poetics*, II, Warszawa, 1966, p. 45-59; და სხვ.; სერიოზული შტუდიები ფაქტიურად 60-იანი წლებიდან იწყება, იხ. К. Тарановский, *О взаимосвязи стихотворного ритма и тематики. American Contributions to the 5th International Congress of Slavists*, v. I, The Hague, Mouton, 1963, p. 287-322). ჩვენს მსჯელობებში იგულისხმება ჩვენ მიერ ადრე გამოთქმული იდეა იმის შესახებ, რომ ლექსთწყობის პოზიციებიდან შინაარსის ფაქტორი შეიძლება დანახულ იქნას ზოგად ასპექტში, როდესაც სემანტიკური ფუნქცია მქლავნდება ვერსიფიკაციულ ტრანსფორმაციათა და განახლებათა მიმართებაში ლიტერატურულ მოვლენებთან — ლიტერატურულ ტრანსფორმაციებთან და განახლებებთან; ამ დროს, მაგ., ვერსიფიკაციული სიახლე (ან ნორმა) შეიძლება გამოხატავდეს ლიტერატურულ სიახლეს (ან ნორმას), ან მისი სიგნალი იყოს (იხ. А. Силагадзе, *Система стихосложения и фактор содержания. Тезисы докладов III Всесоюзной конференции семиологов, посв. памяти акад. Г. В. Церетели*, 1977, с. 92—94).

1. 3. მეორე — მთავარი — თემა, როგორც ითქვა, ქართული პოეზიის განვითარებაში უძველესი, წერილობით უცნობი, დაუდასტურებელი საფეხურის აღდგენაა. მასალას ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, ლექსმცოდნეობითი ანალიზი იძლევა, კერძოდ — ლიტერატურულ პროცესებში სალექსო სახეობების ურთიერთმიმართული ფუნქციონირების განხილვა, ყველაზე ძველი ფორმის ან ფორმების აღდგენა, ამ ფორმების წარმოშობისა და მოქმედების ქრონოლოგიის გარკვევა; ბუნებრივია, ეს საკითხები ლიტერატურულ-ისტორიული ანალიზის კონტექსტში განიხილება. აქ და ზემოთ ნახმარი „აღდგენა“ გულისხმობს არა ცნობილ, პირდაპირ მნიშვნელობას ტერმინისა, როდესაც საქმე გვაქვს, ვთქვათ, ლინგვისტურ, ან იმავე ლექსმცოდნეობით რეკონსტრუირებასთან — პირველადი მდგომარეობის, ან სისტემის საწყისი მოდელის პოსტულირებასთან, არამედ ზოგად აღდგენას იმ ვითარებისა, რომ ლექსთწყობა შეიქმნა და გარკვეული სახით მოქმედებდა იმ დროზე ადრე, რომელსაც განეკუთვნება მისი რეალიზაციის ამსახველი ჩვენამდე მოღწეული პირველი ნიმუშები. და ბოლოს, ამოცანას წარმოადგენს ამ დასკვნის გადატანა (გავრცელება) საკუთრივ ვერსიფიკაციიდან ლიტერატურის (პოეზიის) სფეროზე.

1. 4. საერთოდ, ლექსმცოდნეობითი ანალიზის საშუალებით, როგორც ჩანს, რამდენიმე, სხვადასხვა, რეკონსტრუქციის განხორციელება შეიძლება.

პირველი, ეს არის საკუთრივ აღდგენა, როდესაც წყდება თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა — პირვანდელი მდგომარეობის თეორიული, ჰიპოთეტური გარკვევა (კომპარატივისტული ლინგვისტიკისთვის, მაგალითად, ამ ამოცანის გადაუწყვეტლად ენათა ისტორიის კვლევა არ ითვლება სრულყოფილად. იხ. F. de Saussure, Cours de linguistique générale, Paris, 1915, p. 229).

მეორე, ეს არის ზემოთ პირობითი მნიშვნელობით ნახსენები აღდგენა, როდესაც, სპეციალური ანალიზისა და ფართო ლიტერატურულ-ისტორიული მასალის მიხმობით, ზოგადად დადგინდება უძველესი, უცნობი, ფაქტი სისტემის ლიტერატურული (ან არალიტერატურული) არსებობისა.

ამ ორი შემთხვევის გარდა, ლექსმცოდნეობის ფარგლებში, როგორც ჩანს, შეიძლება განხორციელდეს ლოკალური, სპეციფიკური ამოცანების შემკველი, რამდენიმე სხვა აღდგენაც; კერძოდ:

ა) ლიტერატურულ პროცესებში მონაწილე რომელიმე ნორმისა, ყველაზე უფრო ხშირად — შემზღუდველი ხასიათისა (ამგვარი ცდა იხ. ქვემოთ);

ბ) მოცემულ ნაწარმოებში კოდირებული ვერსიფიკაციული ინფორმაციისა, რომელიც ასახავს ეპოქისათვის დამახასიათებელ ვერსიფიკაციულ სიტუაციას (ასეთი ცდა იხ. ა. სილაგაძე, პოეტიკური თეორიის ტრადიციების შესახებ ძველ საქართველოში, კრებ. ჭაშნიკი, თბილისი, 1984, გვ. 5-17);

გ) ვერსიფიკაციული ნოვაციების განხორციელების მექანიზმისა: სიახლისთვის საყრდენი ბაზის დადგენა და ა. შ. (ცდა იხ. ა. სილაგაძე, ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ, თბილისი, 1987, გვ. 82);

დ) იმ კონკრეტული მექანიზმებისა, რომლებიც, ენობრივი და სალექსო ნორმების ურთიერთობების ფონზე, ამა თუ იმ ავტორთან განაპირობებენ პოეტიკური ან გრამატიკული ლიცენციის გამოჩენას (ცდა იხ. ა. სილაგაძე, ენა, პოეტური სტილი და ლექსთწყობა, თსუ შრომები, 273, 1987, გვ. 41-53).

არ არის გამორიცხული სხვა შემთხვევების არსებობაც.

1.5. რაც შეეხება აღდგენის პირველ შემთხვევას, მისი საენობრივი განხორციელება დაიწყო შედარებითი ლექსმცოდნეობის აღმოცენების შემდეგ, როდესაც კონკრეტულად დაისვა ამოცანა — მონათესავე ლექსთწყობათათვის ამოსავალი სისტემის დადგენა, ანუ იმ თეორიული მოდელის განსაზღვრა, რომელიც მონათესავე ენათა ჯგუფისთვის საერთო პრაენის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.

საერთოინდოევროპულისთვის განსაკუთრებით პროდუქტიული იყო ა. შეიეს ცნობილი ნაშრომი (A. Meillet, *Les origines indo-européennes des mètres grecs*, Paris, 1923), შემდეგში — რამდენიმე ფუნდამენტური გამოკვლევა (R. Jakobson, *Slavic Epic Verse: Studies in Comparative Slavic Metrics, Selected Writings, IV*, The Hague—Paris, Mouton, 1966, p. 414-463; C. Watcins, *Indo-European Origins of a Celtic Metre*, *Poetics*, 1961, p. 99-117;

C. Watcins, Indo-European Metrics and Archaic Irish Verse, *Celtica*, 1963, v. 6, p. 194-249; Th. Cole, The Sutturian Verse, *Jale Classical Studies*, 1969, v. 21, p. 1-73; W. Lehmann, The Development of Germanic Verse Form, N. J. 1971; T. B. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, 1984, с. 837-842; და სხვ.). შედეგად, სადღესოდ აღდგენილია ინდოევროპული საერთო ლექსთწყობა; ეს ჰიპოთეტური სისტემა, კერძოდ: ა) სილაბური ხასიათისა იყო, ბ) შეიცავდა ორ ძირითად საზომს — „მოკლეს“ (8 მარცვალი) და „გრძელს“ (10-12 მარცვალი).

სხვა ენებისთვის ამ მიმართულებით კვლევა ასეთივე ინტენსივობით არ ხასიათდება, თუმცა აქაც გვაქვს სერიოზული თეორიები (მაგ., სემიტურისთვის — J. Kurylowicz, *Studies in Semitic Grammar and Metrics*, Wroclaw—Warszawa—Krakow—Gdańsk, 1972).

რაც შეეხება ქართულ ლექსმცოდნეობას, ზოგადად აღნიშნულია სავარაუდო საერთო ქართული ლექსის ტიპოლოგიური იზომორფიზმი საერთო-ინდოევროპულთან (გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ეფუზისტყაოსანში, თბ., 1973, გვ. 53-54; აგრეთვე T. B. Гамкрელიдзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. ნაშრ., გვ. 842), თუმცა საკუთრივ ქართველური მოდელის დადგენა ჯერ არ განხორციელებულა (ზოგიერთი იღვა იხ. — მ. ქურდიანი, მასალები ქართველური ენების ეერსიფიკაციის გენეზისისათვის, ჭაშნიკი, თბ., 1984, გვ. 18-43).

ზოგადთეორიულ ასპექტში უნდა აღინიშნოს, რომ ლექსმცოდნეობას შეუძლია სამნაირი ამოსავალი მოდელის პოსტულირება: ა) ენათა ერთი და იმავე ჯგუფის ლექსთწყობათათვის — შემთხვევა, რომელიც ზემოთ იქნა განხილული; ბ) მოცემული ლექსთწყობისათვის — შემთხვევა, რომელსაც ნაკლები ყურადღება ექცევა და ფაქტიურად წარმოადგენს პირველ პუნქტში გადმოცემული ამოცანის გადაწყვეტის ელემენტს; გ) აბსტრაქტული კონსტრუქტის სახით, ტიპოლოგიურად ერთი და იმავე სახეობის (განურჩევლად ენათა ჯგუფისადმი განკუთვნილებისა) ლექსთწყობათათვის — შემთხვევა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში არ დასახელებულა.

1. 6. ჩვენ მიერ თავის დროზე განხორციელებულია ქართული

ლექსთწყობის საწყისი, უცნობი, საფეხურის რეკონსტრუქცია (ა. სი-
ლაგაძე, ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ, გვ.
92-114) შემდეგ ზოგადმეთოდოლოგიურ დებულებებზე დაყრდნობით:
კვლევას დაწყება შეიძლება მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სის-
ტემა და განისაზღვრება დიაქრონია — განვითარების კანონზომიე-
რებები; მაშინ იქმნება შესაძლებლობა, სისტემა და მისი სტრუქ-
ტურული წესები (ან ერთი წესი, ძირითადი) განხილულ იქნეს დია-
ქრონიული ტრანსფორმაციული კანონების მიხედვით, რაც მოგვცემს
კანონზომიერი საფეხურების ჯაჭვს განვითარებაში; ბოლოს — დგინ-
დება უკუღმა ტრანსფორმაციების წესები, რეტროსპექტულად, ზე-
მოდან ქვემოთ სვლით, განიხილება საფეხურები და გაირკვევა
მდგომარეობა, რომელიც საწყის, ამოსავალ სახეს წარმოადგენს გან-
ვითარების ყველა ცნობილი (ფიქსირებული) საფეხურისთვის (ან
უფრო ლოკალურად: წესი, რომელიც განვითარებაში საწყის, ამო-
სავალ წესს წარმოადგენს). აღსადგენი ობიექტის რეალურობა და
დასრულებულობა უშუალოდაა დამოკიდებული იმ ინფორმაციაზე,
რომელსაც ფაქტების ანალიზი იძლევა (მდრ. W. Lehmann, His-
torical Linguistics: An Introduction, N. J. 1962, p. 84), — შე-
საბამისად, თეორიული მოდელი ზუსტად ვერ ასახავს ისტორიულ
სიტუაციას (რაც ლინგვისტური აღდგენებისათვის ადრევე აღინიშ-
ნა — И. А. Бодуэн де Куртене, Сравнительная грамматика,
Избранные труды, т. I, М., 1963, с. 374): მაგრამ, ყველა
შემთხვევაში, ა) იგი უნდა შეესაბამებოდეს სისტემის პრინციპულ
სახეს, ბ) მისგან უნდა გამომდინარეობდეს კანონზომიერი განვი-
თარების გზა (ყველა თანმიმდევრობითი საფეხური, ტრანსფორმა-
ციის ყველა წესი).

რაც შეეხება ამ რეკონსტრუქციის კონკრეტულ ბაზას, მას წარ-
მოადგენდა ქართული ლექსის ჩვენი თეორია (იხ. დასახ. ნაშრომი),
კერძოდ:

ა) ქართული ლექსთწყობა ჩვენ მიერ განსაზღვრულია როგორც
ბინარულ რიტმულ ერთეულთა სისტემა. ერთეულები (სიმბოლური
ჩანაწერი $n+k$) ოთხ იერარქიულ დონეს ქმნიან: პირველ, ქვედა,
დონეზე გვაქვს უმცირესი, დასრულებული რიტმული ინფორმაციის
მატარებელი, ერთეული, ორწევრედი; მეორე დონე — სტრიქონი;

მესამე — ორსტრიქონედი; მეოთხე — სტროფი. ყოველი ქვედა დონის ერთეული მომდევნო, უფრო მაღალი დონის ერთეულის შემადგენლის როლში გვევლინება: ორი ორწევრედი, შეთავსებადობის წესების მიხედვით, ქმნის სტრიქონს (თავის მხრივ, ორწევრედი შედგება ორი სეგმენტისგან, როგორც ფორმალური სეგმენტაციის ხაზზე უმცირესი, მაღიფერენტირებელი მონაკვეთისგან, რომელსაც საკუთარი რიტმული შინაარსი არ გააჩნია) და ა. შ. ერთეულები კანონზომიერი ფორმებია, რომელთაც აგების სტრუქტურული წესები აქვთ. ამასთან ერთად, ისინი, რომელ დონესაც არ უნდა განეკუთვნებოდნენ, პრინციპულად, სტრუქტურულად, იდენტურ აგებულებებს წარმოადგენენ, რაც შემდეგი საერთო წესით განისაზღვრება: ყოველი მათგანის ბინარულ სტრუქტურაში პირველი შემადგენელი მეორის ტოლია, ან მასზე გრძელია (სიმბოლური ჩანაწერი $n \geq k$). მაგალითად, ორწევრედის, ანუ პირველი დონის ერთეულის, სისტემა სამი ქვესისტემისაგან შედგება და ასე გამოიყურება (ციფრები აღნიშნავენ მარცვალთა რაოდენობას):

I	II	III
5+5	4+4	3+3
5+4	4+3	3+2
5+3	4+2	3+1
5+2	4+1	3+0
5+1	4+0	
5+0		

კიდევ ერთი საერთო წესი: მოცემული ერთეულის სიმრავლეში არაა ქვესიმრავლე, რომელიც მატერიალურად ემთხვევა შესაბამისი ქვედა დონის სიმრავლეს (აქედან — ნულები ზოგიერთ მეორე შემადგენელთან); მაგალითად, რომელიმე ორწევრედი 5+5 შეიძლება იყოს სტრიქონიც.

ბ) ქართული ლექსის დიაქრონიაში ჩვენ მიერ გამოყოფილია ოთხი საფეხური, რომელთა თანმიმდევრობა კანონზომიერია. ამასთან, ყოველ საფეხურს მხოლოდ მისთვის, დამახასიათებელი ნიშანი აქვს, რომლითაც იგი ცალსახად შეიძლება მარკირდეს. კერძოდ.

ეს ვლინდება $n \geq k$ წესის განხორციელების თანმიმდევრობაში საფეხურების მიხედვით.

სწორედ ეს მოვლენა — ოთხი საფეხურის მიხედვით ოთხ იერარქიულ დონეზე დასახელებული წესის რეალიზების კანონზომიერებები — იძლევა გასაღებს ქართული ლექსთწყობის (საკუთრივ ქართულის და საკუთრივ ლექსთწყობის) საწყისი მდგომარეობის რეკონსტრუქციისათვის. საქმე ისაა, რომ ეს ორნაწილიანი წესი (შემადგენელთა ტოლობის და პირველი უფრო გრძელი შემადგენლის წესი) დღეს ქართულში მოქმედებს ერთდროულად, მაგრამ განვითარების საფეხურების მიხედვით ვითარება დინამიკურია, კერძოდ: I საფეხურზე $n \geq k$ მოქმედებს I დონის ერთეულში, დანარჩენში გვაქვს $n = k$; II საფეხურზე $n \geq k$ წესი მოქმედებს II დონის ერთეულშიც, დანარჩენ ორში გვაქვს მხოლოდ ტოლობის წესი; III საფეხურზე — III დონეზეც, დანარჩენ ერთში გვაქვს $n = k$; IV საფეხურზე — IV დონეზეც, ე. ი. $n \geq k$ გვაქვს ყველა დონის ერთეულში. ამგვარად, გვაქვს კანონზომიერი განვითარება, როდესაც საფეხურთა თანმიმდევრობა წარმოადგენს ნაბიჯს ყოველ საფეხურზე ერთი მოცემული დონის ერთეულში $n = k$ წესიდან $n \geq k$ წესზე გადასვლაში. შესაბამისად, ყოველი საფეხური დახასიათდება $n \geq k$ წესის რეალიზაციით მოცემული დონის ერთეულში: I საფეხური არის $n \geq k$ I დონის ერთეულში, II საფეხური — II დონის ერთეულში, III საფეხური — III დონის ერთეულში, IV საფეხური — IV დონის ერთეულში; ამასთან, ეს გზა სრულდება იმით, რომ ბოლო, მეოთხე, საფეხურზე $n \geq k$ წესი უკვე ყველგან, ყველა დონეზე, მოქმედებს.

უკუსვლით შემდეგ სურათს ვიღებთ: საწყისი ვითარებაა ბოლო, მეოთხე, საფეხური, რომელზეც ყველგან რეალიზებულია $n \geq k$ წესი; შემდეგ, III საფეხურიდან დაწყებული, თითოეულ საფეხურზე, სათითაოდ, არის გადასვლა $n = k$ წესზე მოცემულ, ზედა დონის, ერთეულში: IV საფეხური (ზემოდან პირველი) — ოთხივე დონეზე რეალიზებულია $n \geq k$; ზემოდან მომდევნო, მესამე საფეხური — $n \geq k$ მოქმედებს სამ დონეზე, მაგრამ სტროფში, რომელიც საფეხურთა იერარქიაში ყველაზე მაღალია, გვაქვს უკვე $n = k$; II საფეხური — მოცემული წესი მოქმედებს ორ დონეზე, მაგრამ დანარჩენ ორ ზემოთა დონეზე გვაქვს $n = k$; I საფეხური (ზემოდან

ბოლო) – მხოლოდ ერთ დონეზე (ზემოდან ბოლო) მოქმედებს $n \geq k$, დანარჩენ სამშია $n = k$. ამრიგად, გვაქვს კანონზომიერი სურათი, როდესაც ზემოდან პირველ საფეხურს, ერთეულთა ყველა დონეზე $n \geq k$ წესის შემტველს, მოსდევს ცვლილებათა თანამიმდევრული ჯაჭვი $n \geq k \rightarrow n = k$ ტრანსფორმაციული წესით; რომელიც ხორციელდება ყოველ მომდევნო საფეხურზე ერთი მოცემული ერთეულის დონეში. მაგრამ მთელ ამ სურათს აკლია კიდევ ერთი ლოგიკური საფეხური, ზემოდან ბოლო, რომელზეც აგრეთვე უნდა განხორციელდეს ტრანსფორმაცია $n \geq k \rightarrow n = k$, რის შედეგადაც ორწევრედს ექნება $n = k$ სახე, და ეს წესი, ამრიგად, ამ საფეხურზე ყველა დონის ერთეულში იქნება გატარებული. ამიტომ ბუნებრივია დაშვება, რომ განვითარებაში უნდა გვექონოდა საფეხური, რომელიც ყველას უსწრებდა: ეს არის დიაქრონიკაში საწყისი საფეხური, რომელზეც პირველი დონის ერთეულშიც (ორწევრედში) მოქმედებდა მხოლოდ შემადგენელთა ტოლობის წესი. მაშინ სისტემის საფეხურეობრივი რეალიზაციის, ანუ განვითარების საფეხურეობრივი თანამიმდევრობის, სურათი, რომელიც ერთ კანონზომიერებას ემორჩილება, დასრულებულ და სიმეტრიულ ხასიათს მიიღებს – ბოლო საფეხურზე ყველა დონის ერთეულში მოქმედებს $n \geq k$ წესი, პირველ (აღდგენილ) საფეხურზე ყველა დონის ერთეულში მოქმედებს $n = k$ წესი (მათ შორის განლაგებულ საფეხურებზე ხდება თანდათანობითი ტრანსფორმაცია $n = k \rightarrow n \geq k$, რაც შედეგად მოგვცემს ბოლო მდგომარეობას):

	IV	III	II	I	* საფეხური
სტროფი	$n \geq k$	$n = k$	$n = k$	$n = k$	$n = k$
ორსტრიქონელი	$n \geq k$	$n \geq k$	$n = k$	$n = k$	$n = k$
სტრიქონი	$n \geq k$	$n \geq k$	$n \geq k$	$n = k$	$n = k$
ორწევრედი	$n \geq k$	$n \geq k$	$n \geq k$	$n \geq k$	$n = k$

მსჯელობის გაგრძელება შეიძლება.

მაგალითად: დიაქრონიის თვალსაზრისით, ყოველი უფრო მაღა-

ლი დონის ერთეული სტრუქტურულად იმეორებს შესაბამის უფრო დაბალი დონის ერთეულს (I საფეხურზე $n \geq k$ წესი I დონის ერთეულშია განხორციელებული — II საფეხურზე ეს პრინციპი II დონის ერთეულშიც გაჩნდა; II დონის ერთეულში განხორციელების შემდეგ გაჩნდა III დონეზე III საფეხურზე და ა. შ.). რეტროსპექტულად იგივე სურათი შემდეგ კანონზომიერებას გვაძლევს: $n \geq k$ წესის მოცემულ საფეხურზე მოცემული დონის ერთეულში განხორციელების წინ გვაქვს საფეხური, როდესაც ეს წესი ამავე ერთეულში არ მოქმედებს, — გვაქვს $n = k$. აღდგენა: $n \geq k$ წესის გაჩენას I დონის ერთეულში (ორწევრედში) წინ უსწრებდა საფეხური, რომელზეც ეს ერთეული $n = k$ წესით აიგებოდა.

ამავე დასკვნას მივიღებთ, თუ ვითარებას გავანალიზებთ იმ პოზიციიდან, რომ განვითარებაში გვაქვს ტოლობის პრინციპის თანმიმდევრული „დარღვევა“ (ან, რეტროსპექტულად: $n \geq k$ პრინციპის დარღვევა), და ა. შ.

და ბოლოს, გასათვალისწინებელია შემდეგი საგულისხმო ვითარება: არცერთ საფეხურზე, ტრანსფორმაციათა განხორციელების არცერთ სურათში, ჩვენ არ გვაქვს შემთხვევა, რომ ნებისმიერი ერთეულის წარმომადგენელთა სტრუქტურები აიგებოდეს მხოლოდ პირველი უფრო გრძელი შემადგენლის წესით $n > k$ (ისე, რომ პარალელურად არ მოქმედებდეს $n = k$ წესი); პირიქითა შემთხვევა გვაქვს ყველგან.

ამგვარად, შინაგანი რეკონსტრუქცია გვაძლევს საშუალებას დაეასკვნათ; რომ $n = k$ პრინციპი არქაულია. დღეს, მოყოლებული განვითარების გარკვეული ეტაპიდან, იგი შერეულია პირველი უფრო გრძელი შემადგენლის წესთან, რაც შედეგად გვაძლევს $n \geq k$ პრინციპს, მაგრამ ამ პრინციპში არქაული ნაწილი არის სწორედ $n = k$; ამოსავალ მდგომარეობაში იგი ერთადერთია.

საბოლოოდ: აღდგება საფეხური, რომელიც წინ უსწრებდა (იყო საწყისი) ყველა ცნობილ (ისტორიულად ფიქსირებულ) საფეხურს; ამ აღდგენილ, ანუ ამოსავალ, საფეხურზე ყველა დონის ბინარულ ერთეულში მოქმედებდა ერთი წესი — ორი შემადგენლის სილაბური ტოლობის წესი. ეს მდგომარეობა საწყისია, რადგანაც მისგან გამომდინარეობს (გამოიყვანება) განვითარების ისტორიულად დადას-

შრებული გზა — კანონზომიერი საფეხურების თანმიმდევრობა, რო-
ელიც ბოლო საფეხურად გვაძლევს ასევე უნიფიცირებულ ვითა-
ებას, როდესაც ყველა დონის ერთეულში მოქმედებს ისევე ერთი
ესი — ამჯერად შემადგენელი ტოლობის ან პირველი უფრო გრძე-
ო შემადგენლის წესი. (ეს აღდგენა სავარაუდოა საერთოქართვე-
ურისთვისაც, თუმცა საკითხი სპეციალური შესწავლის საგანია და
ეს ცალკე ნაშრომი მიეძღვნება).

ვერიფიცირების საკითხს ამჯერად არ შევხებით. აღვნიშნავთ
ხოლოდ, რომ ორწევრედის სისტემაში მესამე ქვესისტემა, რომელ-
იც პირველი შემადგენელი სამმარცვლიანია ($3+3$, $3+2$, $3+1$,
 $+-0$), ჩამოყალიბდა „ჩვენს თვალწინ“ — მე-18 ს.-დან. აქ ვითარება
აქვია: ჯერ რეალიზდა $n=k$ წესით აგებული $3+3$ (გურამიშვილი),
შასთან — თავდაპირველად არ ჩანს ლექსი (ტიქსტი), მთლიანად
ხოლოდ ამ ორწევრედზე აგებული, გვაქვს მხოლოდ ცალკეული
ტრიქონი ან მისი შემადგენელი ნაწილი, და დასრულებული სახეც
სტრუქტურამ მხოლოდ მე-19 ს.-ში პოვა (ბარათაშვილი); მთავა-
თ ისაა, რომ $n > k$ წესზე დამყარებული $3+2$ და $3+1$ ორწევრე-
ების გამოჩენა (და, შესაბამისად, ამ ქვესისტემაში $n \geq k$ წესის
მოქმედება) მხოლოდ მე-20 ს.-ის ეტაპზე აღინიშნება.

1. 7. იმ ტიპის აღდგენა, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ, რამ-
ენიმე ნიშნით არსებითად განსხვავდება სხვადასხვაენოვანი, მო-
ათესავე ლექსთწყობათა საერთო ამოსავალი სისტემის აღდგენი-
აგან. ძირითადი აქ ისაა, რომ იგი ნაკლებადაა პოსტულირება და
აკლებად ვიღებთ თეორიული მოდელის სახეს. საერთო სისტემის
ემთხვევაში აღდგენილი ვითარებიდან დერივაცია გვაძლევს განვი-
არების სხვადასხვა, სრულიად განსხვავებულ, გზებს და მიიღება
სხვადასხვა, ტიპოლოგიურად ზოგჯერ დიამეტრულად განსხვავებუ-
ლი, რეალური სიტემები (ამიტომ, მაგალითად, საერთოინდოევრო-
ულისთვის, რეკონსტრუქციის როგორი კორექტული მექანიზმიც
რ უნდა არსებობდეს, მაინც დასამტკიცებელია, რომ საერთო სი-
ვაბური მდგომარეობიდან შეიძლება მივიღოთ ყველანაირი დერი-
ვატი — სილაბური სისტემაც, კვანტიტატიურიც, აქცენტურიც); რაც
ეხება რომელიმე ლექსთწყობისთვის პირველი, ამოსავალი, საფე-
ურის აღდგენას, იგი უშუალოდ მიემართება, ჯერ ერთი, მოცემულ

ლესტფობას და მისი განვითარების გზას, მეორეც, მის პირველ ფიქსირებულ საფეხურს. გარდა ამისა, პირველ შემთხვევაში აღდგენას წინ უსწრებს მინიმუმ ორი თეორიული დაშვება: პრაენის არსებობისა და პრალექსის არსებობისა. საბოლოოდ, მეორე სახის აღდგენის რეალურობის ხარისხი გაცილებით მეტია.

თავისთავად ეს მომენტი ქმნის გარკვეულ საფუძველს ჩვენს ნაშრომში დასმული პრობლემისათვის. მაგრამ, როგორც ითქვა, არსებობს სხვა, არა ლექსტფობის სისტემის შინაგანი რეკონსტრუქციის, გზა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება კითხვას — შეიძლება თუ არა არსებულებული ქართული ლექსტფობის და ქართული პოეზიის განვითარებაში საფეხური, რომელიც წინ უსწრებდა ისტორიულ სიტუაციას და რომელიც ჩვენთვის უცნობია.

ამოცანას წარმოადგენს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ამგვარად, ის აღდგენა (ტერმინს, როგორც ითქვა, პირობითად ვხმარობთ), რომელიც ამჟერად ჩვენი კვლევის საგანია, ორ ოპერაციას გულისხმობს: ა) ლექსტფობის ცნობილზე უფრო ძველი საფეხურის არსებობის დაშვება; ბ) იმის დამტკიცება, რომ ეს საფეხური არის ლიტერატურის კუთვნილება (და არა ფოლკლორის, ან მხოლოდ ფოლკლორისა).

ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა ჩვენი აღდგენის სპეციფიკური ხასიათის შესახებ: იგი გულისხმობს არა სისტემის ამოსავალი მდგომარეობისთვის სავარაუდო მოდელის რეკონსტრუქციას, არამედ მოცემული ლექსტფობის ფუნქციონირების, კერძოდ და მთავრად — ლიტერატურული ფუნქციონირების, ქრონოლოგიური საზღვრების დადგენისას ქვედა ზღვარის გამოვლენას. სხვა სიტყვებით: აღდგენის ცნობილ შემთხვევაში რეკონსტრუირდება ის, თუ როგორი სახის შეიძლებაოდა (ან უნდა) ყოფილებული ლექსტფობის სისტემის განვითარებაში კანონზომიერი პირველი საფეხური, როგორც საწყისი სტრუქტურული მდგომარეობა დიაქრონიკაში წარმოდგენილი ყველა საფეხურისათვის (ან — საწყისი საერთო მდგომარეობა ისტორიულად ცნობილი ყველა მონათესავე ლექსისათვის); ჩვენს შემთხვევაში იგულისხმება პრინციპული დაშვება იმისა, რომ ლექსტფობის რეალიზაციის უძველესი, ცნობილი (ფიქსირებული) ეპოქის წინ დროში უნდა გვქონოდა მისი ფუნქციონირების, კერძოდ — აგრეთვე

ლიტერატურული ფუნქციონირების, კიდევ ერთი ქრონოლოგიური საფეხური, ანუ ქვედა ზღვარი, — განურჩევლად იმისა, მისი ამსახველი ნიმუშები სისტემის განვითარების პირველ საფეხურს განეკუთვნებიან, თუ აღსადგენს (ან აღდგენილს). ეს დასკვნა, თუ იგი მიიღება, ავტომატურად უკავშირდება პოეზიის ისტორიის უძველესი საფეხურის პრობლემას.

შესაბამისად: პირველ შემთხვევაში მეთოდია ლოგიკური პოსტულირება, დამყარებული განვითარების კანონზომიერი საფეხურების უკუსვლით მიღებულ ცვლილებათა კანონების გამოვლენაზე, მეორე შემთხვევაში — სისტემის ფუნქციონირების კანონზომიერებათა დადგენა და პოეზიაში მისი რეალიზების ანალიზი ფართო ლიტერატურულ-ისტორიულ და კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში.

ამავე დროს, პრინციპულ განსხვავებას ქმნის ის, რომ პირველ შემთხვევაში ვიღებთ პოსტულირებულ საწყის მდგომარეობას, რომელიც ამგვარი სახით რეალობაში შეიძლება არც არსებულიყო, მეორე შემთხვევაში — უფრო ძველი არსებობის ფაქტს, რომელიც შეიძლება საწყის მდგომარეობას არ ეხებოდეს, ან საკუთრივ საწყისი მდგომარეობა ამ დროს უცნობი რჩებოდეს.

უნდა აღინიშნოს, დასასრულ, რომ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცნობილზე უფრო ძველი ნიმუშების გამოვლენის შესაძლებლობას, პოეზიის ისტორიის უძველესი, უცნობი, ეტაპის არსებობის დაშვებისათვის ფაქტიურად რჩება მხოლოდ ლექსმცოდნეობითი პრობლემების ანალიზის გზა — ან ცნობილი ფაქტების ახლებური ინტერპრეტაცია, ან ცნობილი ფორმების: გენეზისის გარკვევა, ან ცნობილი ვერსიფიკაციული ფრაგმენტებისთვის ქრონოლოგიის გადასინჯვა.

ამგვარი ანალიზის საშუალებას ქართული ლიტერატურის ისტორიაში დადასტურებული ფაქტები გვაძლევენ.

1. 8. რადგანაც ლექსის ფორმალურ მხარესთან დაკავშირებული პრობლემატიკის განხილვისას ჩვენთვის დასაყრდენს წარმოადგენდა ჩვენი ვერსიფიკაციული კონცეფცია, დამატების სახით (მკითხველს შეუძლია არ მიიჩნიოს სავალდებულოდ ამ პარაგრაფის წაკითხვა) უნდა შევეხოთ მასზე გამოთქმულ ერთ თვალსაზრისს. 1993 წ. გამოიცა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის გურამ თევზაძის ნაშრომი — „ქართუ-

ლი პოეზიის ფენომენი“ (გამომცემლობა „მეცნიერება“), რომელშიც, სხვა საკითხებს შორის, ქართული ლექსთწყობის სისტემის ჩვენი კონცეფციაა განხილული. ჩვენ თავის დროზე არ გამოვხმაურებივართ მას, ქვემოთ გასაგები იქნება — რა მიზეზით.

გ. თევზაძის ნაშრომი წარმოადგენს ქართული ლექსის ჩვენი მოდელის (იხ. ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ) ინტერპრეტაციას, თარგმანს სხვა მეტაენაზე. რისთვისაც ავტორის მიმართ მდღობის მეტი არაფერი გვეთქმის. მადლობა გვეთქმის ჩვენი მონოგრაფიის ასეთი შეფასებებისთვისაც: „აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანი, თვისობრივი ნახტომია ქართული ვერსიფიკაციის დარგში, რომელმაც, შეიძლება დაჯერებით ითქვას, მყარად დააყენა იგი იმ კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანის გზაზე, რომელზეც ზემოთ გვექონდა საუბარი“ (გვ. 14); „ნაშრომი შესრულებულია მეცნიერების თანამედროვე მეთოდოლოგიურ ტენდენციათა გათვალისწინებით, რაც, აგრეთვე ასალი საფეხურია ქართულ ვერსიფიკაციულ კვლევაში: უპირველესად ეს გამოიხატება მისი გადასვლით აღწერითი დონიდან სისტემატიზაციის დონეზე, იერარქიულ სტრუქტურებზე და, რაც მთავარია, აბსოლუტურ შესაბამისობაშია იმ ცენტრალიზაციის პროცესთან, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველ მეცნიერებას თავის იდეალურ მდგომარეობასთან აახლოებს“ (იქვე).

ამასთან ერთად, გარდა გამოკვლევისა, გ. თევზაძის ნაშრომი, კერძოდ — თავში „კვალიფიკაციის პრობლემის დღევანდელი მდგომარეობა“, შესავლის სახით, შეიცავს ცხრაპუნქტიან ცდას ჩვენი ზოგიერთი იდეის კრიტიკისა, და სწორედ ეს ნაწილი იწვევს გაუგებრობას, სამწუხაროდ, ისეთი სახისას, როდესაც არც ისე ადვილია მათზე რეაგირება, — არა კონკრეტულად აქ, ამ ჩვენს ნაშრომში და მისი მოცულობის ფარგლებში, არამედ საერთოდ, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთადერთი გზა რჩება: ახსნა ისეთი რაღაცებისა, რაც, ჯერ ერთი, ცნობილია საერთოდ მეცნიერთათვის, მეორეც, ცნობილია ყველა ფილოლოგისათვის, კერძოდ — ლინგვისტიკისა და პოეტიკის მიჯნაზე მდებარე პრობლემებით დაინტერესებული ფილოლოგისათვის, მესამეც, ხელმეორედ ახსნა იმისა, რაც ახსნილია, სწერია ჩვენს გამოკვლევაში სპეციალისტისათვის

გასაგებ ენაზე, და რაც, როგორც ჩანს, ვერ გაიგო „ქართული პოეზიის დენომენის“ ავტორმა, როგორც სხვა მეცნიერების წარმომადგენელმა.

მათ შორის:

ახსნა იმისა, თუ რა არის პოეზია და რა არის ლექსთწყობა, და რა ლიდი განსხვავებაა ამ ორ ცნებას შორის (ლექსთწყობა სხვა არაფერია, თუ არა ის ძირითადი წესები და პრინციპები, რომელთა საფუძველზეც აიკვება სალექსო მეტყველება; არა პოეზია, არამედ — მეტყველება, ჩვეულებრივივსაგან განსხვავებული, სალექსო-რიტმული); რომ მოცემული ლექსთწყობით შეიძლება შეიქმნას პოეზიის ნიმუშიც და, მაგალითად, გრამატიკული ტრაქტატიც ან მოკითხვის ბარათიც (შესაბამისად, პოეზია ლექსთწყობის გარეშეც შეიძლება შეიქმნას); რომ, ბოლოს, არ შეიძლება ქართული ლექსთწყობისადმი მიძღვნილ ნაშრომს ერქვას „ქართული პოეზიის ფენომენი“...

იმისა, თუ რა პქვია მეცნიერების იმ დარგს (ან ქვედარგს), რომელსაც იგი უძღვნის ნაშრომს. ავტორი მიუთითებს: „ქართული პოეტიკა ქრონოლოგიურად უსწრებს ლიტერატურის თეორიასა და ლიტერატურულ კრიტიკას“. შემდეგ ცდილობს გაერკვეს საქმის ვითარებაში და გვიხსნის, რომ „პოეტიკა“ ნახმარი აქვს როგორც „ლექსთმცოდნეობის“ სინონიმი; მაგრამ — იქვე: როგორც მეცნიერება პოეზიის შესახებ. საბოლოოდ, ლექსის შესახებ მეცნიერება, ნაშრომის მიხედვით, არის პოეზიის შესახებ მეცნიერება („ჩვენთან „პოეტიკა“ ყოველთვის იხმარება ლექსთან კავშირში, ე. ი. როგორც „ლექსთმცოდნეობის“ სინონიმი, როგორც მეცნიერება პოეზიის შესახებ“). აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია, სხვა მეცნიერების წარმომადგენელმა პირველივე შეხებისას გადააჯგუფოს ჩვენი მეცნიერების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია, ზოგ ცნებას გაუფართოოს სემანტიკური ველი, ზოგს — დაუვიწროვოს...

იმისა, თუ რა არის რიტმი და რა არის ლექსთწყობა...

იმისა, თუ რა განსხვავებაა ფოლკლორს, როგორც კოლექტიურ შემოქმედებას, და ლიტერატურას, როგორც ინდივიდუალურ შემოქმედებას, შორის...

იმისა, თუ რას ნიშნავს ჩვენ მიერ ნახმარი, ვთქვათ „მარკირებული“ და „არამარკირებული“ ფორმები, და სხვა, არაერთი, ცნება...

იმისა, თუ სად ელაპარაკობთ ჩვენ პოეზიაზე, სად — ლექსზე, სად — ლექსთწილობაზე, სად — ქართულ ლექსთწილობაზე, სად — დიაქრონიკაში პირველ და ა. შ. საფეხურებზე, სად — ჩვენ მიერ პოსტულირებულ პირველისწინა საფეხურზე, სად — ქართული ლექსთწილობის, როგორც ასეთის (როგორც სისტემის), ჩამოყალიბებამდე ეტაპზე...

ახსნა იმისა, რომ მოცემული (ნებისმიერი) მეცნიერების რომელიმე ცნობილ პრობლემასთან დაკავშირებით არსებობს არა უბრალოდ უამრავი გამოკვლევა, არამედ ისტორია და შესაბამისი სამეცნიერო გამოცდილება, და ამ პირობებში ერთი-ორი მოსაზრების (როგორც წესი, მეორეხარისხოვანის) გაცნობა არ ნიშნავს საკითხის გაცნობას თუ საკუთარი კვლევისათვის სასტარტო მზადყოფნას; ასევე — ერთი პრობლემით დაინტერესება და მისი თუნდაც სრულყოფილი გაცნობა არ არის საკმარისი საკუთარი კვლევის დაწყებისთვის: საჭიროა ამ, მოცემული, მეცნიერების დაუფლება საერთოდ...

ახსნა იმისა, თუ რა არის ჩვენს ნაშრომში ჩვენი და რა არის საერთოდ უკვე ცნობილი ჩვენს მეცნიერებაში. ავტორს ჩვენი მეთოდოლოგია, ჩვენი პრინციპები, ჩვენი ტერმინები და ა. შ., ჯერ ერთი, სათანადოდ ვერ გაუგია, მეორეც, აშკარად ჰგონია ჩვენამდე ცნობილად — ისე თავისუფლად და უაპელაციოდ ხმარობს მათ. იძულებული ვართ წარმოვადგინოთ უმოკლესი აღწერა იმისა, რაც ჩვენ მიერაა გაკეთებული (ე. ი. ის სამუშაო შევასრულოთ, რაც უნდა შეესრულებინა იმას, ვისაც დაებადებოდა ჩვენი ნაშრომის რეცენზირების სურვილი). ჩვენთვის ამოსავალი იყო ის ფაქტობრივი მოცემულობა, რომ დღის წესრიგში იდგა — არა მარტო ქართული ლექსთწილობისთვის — სისტემის დანახვა: მალიანობაში მოცემული სისტემისა ელემენტთა გარკვეული რაოდენობით, რომელთა მიმართებები განპირობებულია გარკვეული სტრუქტურული წესებით და დამოკიდებულია ამ ელემენტთა შემადგენელ ერთეულებზე, რომლებიც, თავიანთი მხრივ, ქმნიან სისტემას და აქვთ თავიანთი მორგანიზებული წესები და ა. შ. მხოლოდ ასე შეიძლებოდა მსჯელობა კანონზომიერ სისტემაზე და მის მთლიანობაზე, სადაც ყოველი ელემენტი კანონზომიერ აგებულებას წარმოადგენს შეზღუდული შეთავსებადობებით, რის გამოც რიტმული აგებულებები და ფორმები ამოცნობადია — განსაზღვრულია სისტემისთვის მარკირებული და შეუძლე-

ბელი ფორმები. მიზანი იყო აგრეთვე ერთი, უნივერსალური, პრინციპის დადგენა. მაგრამ ამ პრობლემებთან მიახლოებისას გამოიჩინა, რომ კვლევის შესაბამისი მეთოდოლოგია ლექსის თეორიაში პრაქტიკულად არ არსებობს, რის გამოც შეიქმნა საჭიროება ჩამოგვეყალიბებინა ლექსის რიტმული ორგანიზაციის ანალიზის ზოგად-თეორიული პრინციპები. ზოგად დებულებად განისაზღვრა სისტემური მიდგომა, რომელშიც, ერთი მხრივ, მეთოდოლოგიურად სტრუქტურული და ისტორიული ან ისტორიულ-შედარებითი ანალიზების ინტეგრაცია იგულისხმებოდა, მეორე მხრივ, პრაქტიკული ამოცანებიდან უმთავრესად დაისახა, რთული სისტემის მთლიანობის განსაზღვრისას, დადგენა სისტემის წარმომქმნელი ფაქტორისა ან ფაქტორებისა და მოვლენისა ან მოვლენებისა ორი გზით: კანონზომიერი სისტემის ანალიზის გზით და კანონზომიერი განვითარების ანალიზის გზით. საბოლოოდ, ამოცანამ შემდეგი სახე მიიღო — ლექსთწყობის კანონზომიერი სისტემის და განვითარების კანონზომიერებათა განსაზღვრა, რაც დაეყრდნო ორ ამოსავალ პოსტულატს: 1. ლექსთწყობის სისტემის განვითარება კანონზომიერია ისევე, როგორც ლექსთწყობის სისტემა; 2. განვითარების კანონზომიერებები შეესაბამებიან ან მიემართებიან სისტემის კანონზომიერებებს; სპეციალისტი უთუოდ შენიშნავს აქ გადაძახილს თანამედროვეობის ფუნდამენტურ ლინგვისტურ იდეებთან (მაგ. P. Якобсон. Вместо предисловия. В кн.: Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, с. XIV). ერთი პრინციპული მომენტი: ლაპარაკია არა მხოლოდ იმაზე, რომ კანონზომიერია განვითარებაც, ცვლილებებიც — მათ მოწესრიგებული ხასიათი აქვთ, არამედ, რაც მთავარია, განვითარების კანონზომიერებათა სრულ შესაბამისობაზე სისტემის კანონზომიერებებთან (შესაბამისად, სისტემის განსაზღვრისას გაითვალისწინება დიაქრონია, ხოლო დიაქრონიის განსაზღვრისას — სისტემა; მაგალითისთვის: როდესაც ვმსჯელობთ მოცემულ სინქრონიულ ტრილზე ან მოცემულ ავტორზე, სადაც დასაპირისპირებელი და შესადარებელი მასალა შეზღუდულია, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ სტრუქტურათა რეალიზების ყველა შესაძლებლობა, მათ შორის — ისეთებიც, რომლებიც არ არიან რეალიზებული მოცემულ სინქრონიულ მდგომარეობაში, რადგანაც, არარეალიზებულნიც, ისინი არსებობენ და მოქმედებენ იმპლიციტურად — ადებენ შესაბამის შეზღუდვებს რეალიზაციის მოცემულ დო-

ნეს). ამგვარი ამოცანა დაისვა პირველად — არა მარტო ქართული ლექსთწიგისთვის. მისი გადაწყვეტაც განხორციელდა პირველად — ასევე არა მარტო ქართული ლექსთწიგისთვის. რაც შეეხება კონკრეტულად ქართულ ლექსთწიგს, მის სისტემაში განისაზღვრა, როგორც ითქვა, ოთხი იერარქიული დონე შესაბამისი ოთხი ბინარული სტრუქტურული ერთეულით, რომელთაგან თითოეულს განეკუთვნება თავისი რიტმული ინფორმაცია (ჩვენ მიერ შემოტანილი ერთ-ერთი ცნებაა); დადგენილია თითოეული დონის ერთეულისთვის სტრუქტურული წესები (1 დონეზე, მაგალითად, 7 წესი), დონეთა შიგნით ელემენტთა სიახლოვის (თანამშრომლობის) წესები და ა. შ.; ქართული ლექსთწიგის სისტემა ინტერპრეტირდა როგორც ბინარული რიტმული ერთეულების სისტემა, რომელიც კანონზომიერია და დონეების მიხედვით ურთიერთ-მიმართული; საბოლოო ამოცანას წარმოადგენდა იმ მდგომარეობის განსაზღვრა, რომელშიც რიტმული ერთეულები ერთდროულად არიან წარმოდგენილი: სხვადასხვა დონის ერთეულები პრინციპულად იდენტურ სტრუქტურებს წარმოადგენენ ($n+k$, სადაც $n \geq k$), ამასთან რიტმული ერთეულების აგების ერთიან მექანიზმში მოქმედებს დამატებითი წესის კანონი (ერთი და იგივე წესები პლუს ყოველი ერთეულისთვის ერთი ან რამდენიმე დამატებითი, სპეციფიკური, წესი); როდესაც რეალობაში ერთეულები ერთდროულადაა წარმოდგენილი უკიდურესად დასრულებულ რიტმულ მონაკვეთში, სადაც ყოველი უფრო დაბალი დონის ერთეული გვევლინება უფრო მაღალი იერარქიული დონის ერთეულის შემადგენლის როლში, ჩვენ გვაქვს ერთდროული ბინარული გაყოფა (გაკვეთა) ყველა ერთეულში: სტროფი იყოფა ორ ორსტრიქონედად ისე, რომ ორსტრიქონედი იყოფა ორ სტრიქონად ისე, რომ სტრიქონი იყოფა ორ ორწევრედად ისე, რომ ორწევრედი იყოფა ორ სეგმენტად, რომელიც დიფერენციალურ შემადგენელს წარმოადგენს (ბინარული ანუ დიქოტომიური გაყოფის პრინციპი, რომელსაც აქვს რეალიზაციის კონკრეტული წესები); ყველაფერ ამას განსაზღვრავს სტრუქტურული ფაქტორი, რომელსაც ჩვენ რიტმული გასაყარი ვუწოდეთ. რაც შეეხება დიაქრონიას: განვითარება განხილულია როგორც სისტემის რეალიზაციის სხვადასხვა საფეხური, კერძოდ — გამოყოფილია ოთხი (შდრ სისტემაში ოთხი იერარქიული დონე) კანონზომიერი საფეხური და დად-

გენილია მათი თანმიმდევრობის ან მონაცვლეობის წესი („ყოველი ორი საფეხური, რომელთა შორის არის მესამე, პრინციპულად ანალოგიურია“, რაც საფეხურთა შემდეგ სქემას გვაძლევს: კოდიფიკაცია — რეფორმა — კოდიფიკაცია — რეფორმა); განვითარების კანონზომიერი სურათის დადგენამ დაადასტურა სისტემისთვის ჩამოყალიბებული კანონზომიერებები (მაგალითად, სისტემაში მოქმედი ერთი მთავარი კანონის — ფორმულა $n \geq k$ — პოზიციებიდან, განვითარება ანუ ოთხი საფეხურის თანმიმდევრობა წარმოადგენს ნაბიჯს შემადგენელთა ტოლობის წესის რეალიზებიდან მეორე წესის — ტოლობისა და პირველი უფრო გრძელი შემადგენლის წესის — რეალიზებისკენ ოთხიდან ერთ-ერთ ერთ-ერთში ქვემოდას ზემოთ სვლით); დიაქრონიაში გამოვლენილი ყველაზე საგრძნობი ტრანსფორმაცია გვაძლევს კანონს, რომელსაც ეწოდა ერთი დონით გადმოწევის კანონი: მოცემული დონის ერთეულის ფუნქციას იღებს შესაბამისი ქვედა დონის ერთეული (საბოლოოდ, იმის გამო, რომ ორივე სახის მდგომარეობა ერთდროულად არსებობს, მოქმედებს ზემოთ ნახსენები წესი: ერთეულის სიმრავლეში არის ერთი ქვესიმრავლე, რომელიც მატერიალურად ემთხვევა წინა, ქვედა, დონის ერთეულის სიმრავლეს). განვითარების ასეთმა გამოკვლევამ მოგვცა საშუალება ჩამოგვეყალიბებინა ამოსავალი მდგომარეობის რეკონსტრუირების პრინციპები და მოგვეხდინა ქართული ლექსთწყობის ფიქსირებულზე უფრო ადრე საფეხურის პოსტულირება (ეს არის მდგომარეობა, რომელშიც, როგორც ითქვა, ყველა ერთეულში განხორციელებულია მხოლოდ ორი ტოლი შემადგენლის პრინციპი; თუ ავიღებთ ორწევრედს, შემდგომი განვითარება — მოცემული სიმრავლის ელემენტთა რაოდენობრივი ზრდა — მიმდინარეობდა მეორე შემადგენლის დამოკლების გზით, ე. ი. რომელიმე $5 + X$ სიმრავლე, დიაქრონიის პოზიციებიდან ეს არის $5 + 5$ პლუს შემდგომ საფეხურებზე რეალიზებული დანარჩენი წევრები $5 + 0$ -ის ჩათვლით; $4 + X$, ეს არის $4 + 4$ პლუს შემდგომ რეალიზებული დანარჩენი წევრები $4 + 0$ -ის ჩათვლით და ა. შ.). ამგვარი ანალიზი იძლევა არა მარტო რეკონსტრუირების, არამედ გარკვეული პროგნოზირების ამოცანის დასმისა და გადაწყვეტის საშუალებას (ესეც პირველად სდება). და ბოლოს, საშუალება იქმნება მეტრიკული ტიპოლოგიის ასპექტში ქართული ლექსთწყობის კვალიფიკაციის პრობლემის ახლებური დასმისა, კერძოდ — შემდეგ ამოსავალ დებულებაზე დაყრდნობით: მეტ-

რიკულ ტიპოლოგიაში სადღეისოდ ოთხი ძირითადი სისტემის არსებობა არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ ნებისმიერი ლექსთწყობა ცალსახად შედის ერთ-ერთში (იდეა, რომელიც, როგორც ჩანს, რეცენზიის ავტორს ასევე საერთოდ ცნობილი ჰგონია, ან — თავისი). საბოლოოდ, გავიმეორებთ: ამოცანათა ამგვარი კომპლექსი პირველად და დამპული, გადაწყვეტის მეთოდოლოგია და პრინციპები მთლიანად ორიგინალურია (ისევე როგორც ცნებებისა და ტერმინების უმეტესობა), ასეთი სისტემა არსად აგებულა და ასეთი კანონზომიერი განვითარება არსად დადგენილა...

ახსნა იმისა, რომ ასეთ აზრს — „იზოსილაბიზმი არ არის „რიტმი“ (ავტორის ფრაზაა, ჩვენთვის მოწერილი) არც ჩვენ, არც ლიტერატურის თეორიის შესავლის კურსს დაუფლებული პირველკურსელი არ გამოთქვამდა. იზოსილაბიზმი იქ არის „რიტმი“, სადაც ის რიტმია; იქ, სადაც არ არის „რიტმი“ (ან ჭარბ ნიშანს ქმნის), ის არ არის „რიტმი“. შემდეგ: ჩვენ, როგორც ითქვა, განვსაზღვრეთ კანონზომიერი სისტემა და მისი განვითარება, ასევე კანონზომიერი. დიაქრონიაში, ჩვენი სქემის ოთხსაფეხურიან იერარქიაში, არც „იზოსილაბიზმის საფეხური“ არის, არც „იზოსილაბური ლექსი“ — საწინააღმდეგოდ იმისა, რაც ავტორს ჰგონია და რის შესაბამისადაც აანალიზებს იმას, თუ როგორ განვიხილავთ ჩვენ „იზოსილაბურ ლექსს“. ჩვენი სისტემა მოიცავს ყველა იმ არსებულ და შესაძლებელ ლექსს, რომელიც ქართული ლექსთწყობის რეალიზაციას წარმოადგენს, სხვა სიტყვებით — რომელიც პერცეპტულია ჩვენთვის, როგორც ქართული სალექსო-რიტმული მეტყველების მატარებელთათვის. გენეზისის პროცესისთვის ჩვენ ნავარაუდები გვაქვს საწყისი სტადია, რომელიც წინ უსწრებდა საკუთრივ ქართულ ლექსთწყობას; ქართული ლექსთწყობა (ჩვენი კონცეფციით) იწყება იქ, სადაც იწყებს მოქმედებას გაკვეთის, კერძოდ — ბინარული გაკვეთის, პრინციპი; „იზოსილაბიზმის საფეხურს“ გაკვეთის უნივერსალური პრინციპი, რა თქმა უნდა, ვერ მოიცავს, რადგანაც ჩვენთვის ეს „საფეხური“ არ არსებობს — არ არის ქართული ლექსთწყობის, როგორც ასეთის, „საფეხური“. იმედია, ავტორი ამის შემდეგ მაინც აღარ განავითარებს ისეთ გაუგებარ მსჯელობებს, როგორცაა, მაგალითად: „რიტმის“ ქვენ ავტორი (ე. ი. ჩვენ — ა. ს.) გულისხმობს მისი (?! — ა. ს.) დღევანდელი განვითარების (?! — ს. ს.) დონეს (?! — ა. ს.) ქართულ ლექსში (?! — ა. ს.), წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა იზოსილა-

ბიზმის — სილაბური ლექსთწყობის სისტემის საფუძვლის ურიტმობად (?! — ა. ს.) გამოცხადება (?! — ა. ს.)“. ან გაერკვევა იმაში, რომ მის მიერ ციტირებული ჩვენი დებულება: „ქართულ ლექსთწყობაში ამოქმედებულმა პროსოდიულმა ფაქტორმა თვისებრივად (და არა „თვისობრივად“, როგორც ავტორმა გადმოწერა — ა. ს.) ახალი პრინციპი კი არ შემოიტანა, არამედ გაკვეთის უძველეს, ამორფულად რეალიზებულ, პრიმიტიულ და არაორგანიზებულ პრინციპში შემოიტანა (თანდათანობით, ჯერ — სტრიქონის საწარმოებლად) თვისებრივად (და არა „თვისობრივად“ — ა. ს.) ახალი საფეხური, როდესაც დანაწევრების მონაკვეთები იღებენ რეგულარულ სიგრძეს და ხდებიან რიტმული მონაკვეთები, იქმნება მათი იერარქია და ბინარული სტრუქტურების ერთდროული რეალიზაცია — საბოლოოდ ვიღებთ რთულ და მაღალორგანიზებულ სისტემას ბინარული დანაწევრებისა“, — არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ჩვენს მიერ ფორმულირებული უნივერსალური პრინციპის, როგორც ასეთის, გაერცელებას იზოსილაბიზმზე (?!), ან მის ახსნას რიტმული გასაყარის ფაქტორით, როგორც ეს ავტორს რატომღაც ჰგონია და შემდეგ... იწყებს მის მიერვე გამოგონილი დებულების „კრიტიკას“. საერთოდ, ყველაფერი ძალიან მარტივად გასაგებია. საფუძველს იმისა, რომ ქართული ლექსთწყობის სისტემის ჩამოყალიბებამდე სტადიაზე, გენეზისში, ემბრიონალურად შეიძლებოდა არსებულიყო გაკვეთის არაორგანიზებული გამოვლინებები (სინტაქსურ-ინტონაციურ მონაკვეთებთან დაკავშირებულნი), ქმნის მხოლოდ და მხოლოდ ამ სტადიის შემდგომი განვითარება ლექსთწყობის სისტემის, როგორც ასეთის, ჩამოყალიბების სახით, რადგანაც ამ სისტემაში დამკვიდრებულია სტრუქტურული ფუნქციის მქონე რეგულარული გაკვეთა; სისტემა რომ სხვა წარმომქმნელ ფაქტორს დაფუძნებოდა (ან: სხვა სისტემაზე, სხვა ლექსთწყობაზე რომ გვემსჯელა და არა ქართულზე), მაშინ ყურადღება მიექცეოდა სისტემაზე სტადიაზე, გენეზისში, სხვა ფაქტორის ემბრიონალურ არსებობას, მას მიენიჭებოდა ისეთი მნიშვნელობა, როგორც მიენიჭა გაკვეთას, რადგანაც არაორგანიზებული ფაქტორები ამგვარ სტადიებზე ბევრი შეიძლება იყოს, მაგრამ მხოლოდ ერთი აღმოჩნდება მომავალი სისტემის წარმომქმნელი ფაქტორის როლში. მხოლოდ ერთი შექმნის მომავალში ამ ფაქტორს. (სამწუხაროდ, მეტის ახსნა შეუძლებელია)...

ახსნა იმისა, თუ როგორ აიგება მეცნიერულად სისტემა. ვიტყვი მხოლოდ, რომ მისი კრიტიკა და უარყოფა შეიძლება მხოლოდ აგებული სისტემის მთლიანად უარყოფით, ყოველ შემთხვევაში — არა ამგვარი პუბლიცისტური განცხადებებით: „მდგომარეობიდან ასეთი ორიგინალური გამოსავალი უფრო ფორმალური უნდა იყოს, ვიდრე რეალური ვითარების ამსახველი“. კიდევ ერთი სერიოზული საკითხი: ავტორი იღებს და პროდუქტიულად იყენებს ჩვენი სისტემის ღერძულ ფაქტორს — ზინარულ ერთეულს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ორი შესაძლებლობა არსებობს: ან ავტორი იღებს მთლიანად ჩვენს სისტემას, ან ჩვენი სისტემისვე კორექტირებას ახდენს, მაგრამ ავტორს სურს მესამე შესაძლებლობა შექმნას: იღებს სისტემის წარმომქმნელ ჩვენს ფაქტორს (ისე, რომ ეს დეკლარირებული არ აქვს) — ცდილობს ააგოს სხვა სისტემა...

ახსნა იმისა, თუ რა არის... ნული მათემატიკაში, რა მნიშვნელობა ჰა ფუნქცია აქვს მას. თუ ავტორს, როგორც ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენელს, ესმის რა არის ნული რომელიმე ცნობილ ფორმულაში, ან — ის, რომ რომელიმე Π რომელიმე ფორმულაში შეიძლება იყოს ნულიც, შეიძლება იყოს ვთქვათ, 5-ც, მაშინ მას არ უნდა გაუჭირდეს გაიგოს ჩვენი ასეთი ფორმულაც (უფრო ზუსტად — სიმბოლური ჩანაწერი):

$$n + k \Leftrightarrow (n-2) + (k+2)$$

სადაც $n \geq k$,

$$n = 3, 4, 5; \quad k = 0, 1, 2, 3, 4, 5.$$

ახსნა იმისა, რომ თანამედროვე ფილოლოგებმა იციან ნულის მნიშვნელობა, იციან, რა არის ნიშნის უქონლობა, ნულოვანი მორფემა და ა. შ. (ეს იცოდნენ ადრეც, მაგალითად, შუა საუკუნეების არაბმა გრამატიკოსებმა). აქვე — ახსნა იმისა, თუ რა არის ინტერპრეტირებულ და არაინტერპრეტირებული სისტემა; იმისა, თუ რა მიმართებები არსებობს ფორმულასა და „რეალურ ვითარებას“ შორის; რომ არ შეიძლება ასე ვულგარულად უსადაგებდე ფორმულას რეალურ საგნებს თუ მოვლენებს, ამ შემთხვევაში — კონკრეტულ ლექსს (რადგანაც ფორმულა თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა ზუსტი, მაგრამ ზოგადი განსაზღვრა რომელიღაც კანონის, რომელიღაც წესის, რომელიღაც მიმართების და ა. შ., რომელიც გარკვეული პირობების არსებობისას ასახავს ყველა

კერძო შემთხვევას). რაც შეეხება ჩვენ მიერ აგებულ სისტემას, კიდევ ერთხელ შევეცდებით ავხსნათ ერთ მაგალითზე. ორწევრედის სისტემა ასე გამოიყურება (ეს შეიძლება იყოს მეორე, ქვემოდან, ღონის ერთეულის — სტრიქონის ერთი სუბსისტემაც; ვამბობთ რა ამას, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ავტორი უკვე გაერკვა, იუ როგორ მიიღება ერთეულის სისტემაში ერთი ნაწილი, რომელიც მატერიალურად — და არა ფუნქციურად — ემთხვევა შესაბამისი ქვედა ღონის ერთეულის სისტემას):

I	II	III
5+5	4+4	3+3
5+4	4+3	3+2
5+3	4+2	3+1
5+2	4+1	3+0
5+1	4+0	
5+0		

ავტორს უნდა, იგი დაახლოებით ასე გამოიყურებოდეს:


5+5	4+4	3+3
5+4	4+3	3+2
5+3	4+2	3+1
5+2	4+1	3
5+1	4	
5		

და ყველა აგებულება, კენტი შემადგენლისგან შემდგარი (არა მარტო ამ, არამედ სხვა ღონის ერთეულებშიც), ერთეულთა ცალკე, არაბინარულ ტიპს ქმნიდეს. მოვახსენებთ: ასეც შეიძლება, აქ სიახლე არაფერია, ეს იგივეა, რაც ჩვენი სისტემა, მისი სხვანაირი, მეორენაირი, შესაძლებელი, ინტერპრეტაცია. ავტორს არ უნდა ვაივოს ან ვერაფრით ვერ გაუგია, რომ მის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი ჩვენს კონცეფციაშივე დევს, ჩვენ მასაც ვიხილავთ, ვიძლევიტ ამ არჩევანის შესაძლებლობას და ჩვენი მოდელის აგებისას არჩევანს პირველის სასარგებლოდ ვაკეთებთ. არგუმენტებს აქ აღარ ჩამოვთვლით (მათ შორის არის სისტემის

ანალიზთან დაკავშირებული არგუმენტები, მაგალითად, ის, რომ მეორე შემადგენლის პოზიციაში ნულოვანი, იმპლიციტური ვარიანტის მქონე ერთეულები გამოყენებისას გვიჩვენებენ პარალელურობას აქტუალიზებული მეორე შემადგენლის მქონე ბინარულ ერთეულებთან), მაგრამ ერთზე, დიპრონიასთან დაკავშირებულ არგუმენტზე, კვლავ შევჩერდებით: სისტემის განვითარების პირველ საფეხურზე (რომელიც მე-18 ს.-მდე გრძელდება) ყველა დონის ერთეულში, გამონაკლისის გარეშე, მხოლოდ ბინარული სტრუქტურები გვაქვს (ამასთან, ერთი გამონაკლისის გარდა, ორთოლშემადგენლიანი), — განვითარება მიდის მეორე შემადგენლის დამოკლების გზით; მაგალითად, ორწევრედში (ყველა ტრანსფორმაცია სხვადასხვა დონეებში მასზეა აგებული) გვაქვს 4+4, შემდეგ ჩნდება 4+3 და ა. შ. 4+0-ის ჩათვლით; მაშასადამე, ბინარული სტრუქტურებით აღწერა ამ შემთხვევაში უნივერსალურ სურათს იძლევა — იგი ითვალისწინებს არა მხოლოდ სისტემის დღეს არსებულ სახეს, არამედ მისი რეალიზაციის, ფუნქციონირების ისტორიას (რომელშიც საწყისი საფეხური, გამონაკლისის გარეშე, მხოლოდ ბინარულ სტრუქტურებს შეიცავს). მივაქცევთ ავტორის ყურადღებას კიდევ ერთ მომენტს: ამ სურათის მიხედვით, მისთვის სასურველი კენტშემადგენლიანი სტრუქტურები წარმოადგენენ არა უბრალოდ კენტშემადგენლიან სტრუქტურებს, არამედ ბინარული სტრუქტურებიდან მიღებულ კენტშემადგენლიან სტრუქტურებს. საბოლოოდ, სისტემის აღწერისას მთელ სურათს არეგულირებს მოვლენა (გამოხატული შესაბამის წესში), რომელიც უკვე რამდენიმეჯერ ვახსენეთ: 5+0, 4+0, 3+0 ქმნის მოცემული სიმრავლის ერთ ნაწილს, რომელიც მატერიალურად ემთხვევა შესაბამის ქვედა დონეს (ორწევრედში ეს არის უმცირესი დიფერენციალური შემადგენელი). და ბოლოს, ინტერპრეტაციის არჩევისას ჩვენ გათვალისწინებული გვქონდა სისტემის ეკონომიურობის და სიმეტრიულობის მომენტები...

ასეა იმისა, რომ ქართული ლექსთწყობის ინტერპრეტირება როგორც, ბინარული სტრუქტურების გვერდით, კენტიანი სტრუქტურების შემცველისა, — როგორც ეს ავტორს უნდა — პრინციპულს არაფერს ცვლის ჩვენი კონცეფციის კონკრეტულ ნაწილებში, მაგალითად, არაფერს უშლის სისტემის ამოსავალი მდგომარეობის ჩვენ მიერ განხორციელებულ რეკონსტრუქციას — იგი მაინც კორექტული რჩება. ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია გავავლოთ ვერტიკალური ხაზი, რომე-

ლიც ბინარული სტრუქტურების განვითარების გზის ამსახველი იქნება, ხოლო ამ ხაზის ერთი წერტილიდან გამოვიყვანოთ კიდევ ერთი, გვერდითო, ხაზი, რომელიც გარკვეული პერიოდიდან არაბინარული სტრუქტურების გაჩენის აღმნიშვნელი იქნება, და რეკონსტრუქცია მოვახდინოთ (უკუდერივაციის მიხედვით) პირველად გავლებულ ვერტიკალურ ხაზზე:



ჩატარდება იგივე შინაგანი რეკონსტრუქცია (იხ. ზემოთ), მიიღება იგივე პოსტულირებული საწყისი მდგომარეობა (რომელშიც ბინარულ სტრუქტურაში შემადგენელთა ტოლობის წესია განხორციელებული). განსხვავება ის იქნება, რომ ამჯერად რეკონსტრუქცია ხდება მხოლოდ ბინარული სტრუქტურების განვითარების ხაზზე; ამგვარი ოპერაცია აბსოლუტურად კორექტულია, თუნდაც იმიტომ, რომ ქართული ლექსთწყობის განვითარების პირველ საფეხურზე (აღდგენილის მომდევნო საფეხურზე) და პრაქტიკულად მეორე საფეხურზეც მხოლოდ ბინარული სტრუქტურები გვაქვს...

ახსნა იმისა, რომ ერთი, ზერელე, შესვლით არ შეიძლება მსჯელობა მეცნიერულ ფორმულირებებზე, ეს ვულგარიზაციაა. ასეთ მიდგომას ამჟღავნებს ავტორი ჩვენ მიერ იმ თანამედროვე მდგომარეობის აღწერისადმი (სადაც ტენდენციებიცაა გათვალისწინებული), რომელშიც $n \geq k$ სტრუქტურული პრინციპის გვერდით ჩნდება $n < k$ პრინციპის ამსახველი ნიმუშებიც, რაც გვაფარაულებინებს განვითარების მეტუფე საფეხურის ჩასახვის პროცესს და იმის არგამორიცხვას, რომ მომავალში შესაძლოა სისტემის კორექტირება; აქ ბევრი რამ იგულისხმება, რასაც, სამწუხაროდ, ავტორი ვერ ჩასწვდა, მაგალითად ის, რომ $n < k$ წესის განხორციელება მომავალში შეიძლება მხოლოდ ორწევრედის ალტერნანტზე აგებით შეიზღუდოს, ე. ი. ფაქტიურად არავითარი კორექტირება არ მოხდება, — ამგვარი მდგომარეობა მთლიანად „ჯდება“ ჩვენს სისტემაში. მაგრამ რომც მივიღოთ ის ახალი მდგომარეობა რეალიზებულად,

საქმე სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს და არა იმასთან, რაც ავტორს
 კონია. ამ მდგომარეობის ამსახველი სიმბოლური ჩანაწერი („ფორმუ-
 ლა“), კონტექსტიდან ამოგდებული, რა თქმა უნდა, უაზრობაა, მაგრამ
 მთავარი უაზრობა სწორედ კონტექსტიდან — ამ შემთხვევაში, დიაქრო-
 ნიიდან — ამოგდებაა: $n=k$, $n>k$, $n<k$ მდგომარეობას იმიტომ
 აქვს აზრი, რომ მას წინ უსწრებდა, კანონზომიერი საფეხურის სახით,
 $n \geq k$ მდგომარეობა; თავის მხრივ, ამ უკანასკნელს წინ უსწრებდა კიდევ
 ერთი საფეხური, რომელშიც მხოლოდ $n=k$ იყო რეალიზებული. ე. ი.
 ჩვენ გვაქვს არა უბრალოდ (და უხეშად) ერთდროულად $n \geq k$ და $n < k$,
 არამედ $n=k \rightarrow n \geq k \rightarrow n=k$, $n > k$, $n < k$. ეს არის კანონზომიერი
 ხასიათის სურათი და არავის არ უნდა გაუკვირდეს, რომ ამ სურათში
 ყველა შესაძლებლობა ამოწურულია. ხოლო საერთოდ, მაგალითად, თა-
 ნამედროვე ფიზიკოსებისათვის (დროის ცნებასთან მიმართებაში) ცნო-
 ბილია: განვითარება, ეს არის, განსაზღვრული ზოგადი მოწესრიგებუ-
 ლობის ფარგლებში, მოწესრიგებულობის გარკვეული ხარისხიდან მოუ-
 წესრიგებლობის გარკვეული ხარისხისკენ გზა (მოუწესრიგებელი მდგო-
 მარეობების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე მოწესრიგებულისა).
 იმედი გვაქვს, ეს ცნობილია ავტორისთვის — ისევე, როგორც ენტრო-
 პიის ცნება. თუ ისევ კონკრეტულად ჩვენს საკითხს დავუბრუნდებით.
 უნდა კარგად გვესმოდეს, რა მოვლენასთან, რა „ფენომენთან“ (ავტორის
 გამოთქმით) გვაქვს საქმე. მაგალითად, მოცემული ლექსთწყობის რეალი-
 ზაციისას პოეტურ ფორმებში გვაქვს რითმიანი ნიმუშებიც და ურით-
 მოც, მაგრამ არავის არ მოსდის თავში აზრად გაიკვიროს, რომ ეს
 მდგომარეობა ყველა შესაძლებლობას ამოწურავს, და შესაბამისად უნ-
 და გვეკონდეს ან მხოლოდ რითმიანობა, ან მხოლოდ ურითმობა; სამაგი-
 ეროდ, ყველა ხელავს, რომ ურითმობა ჩნდება მხოლოდ რითმიანობის
 შემდეგ, მისი არსებობის ფონზე, და არა — პირიქით (ე. ი. ანალიზში
 რითმიანობისა და ურითმობის ერთდროული არსებობა კი არ არის მხო-
 ლოდ საინტერესო, არამედ ის, თუ რითმიანობაა მინუსურითმობა, თუ —
 ურითმობაა მინუსრითმიანობა), რომ ურითმობა არის რითმიანობის მდგო-
 მარეობის განვითარება, მისი უარყოფა და ა. შ. $n \geq k$ არის $n=k$
 მდგომარეობის უარყოფა ანუ განვითარება და ამ მოვლენის შედეგად
 მიღებულია მდგომარეობა; $n \geq k$ და $n < k$ არის $n \geq k$ მდგომარეობის

უარყოფა ანუ განვითარება და ამ მოვლენის შედეგად მიღებული მდგომარეობა...

ახსნა ისევ და ისევ იმისა, თუ რა მოვლენასთან, რა „ფენომენტთან“ გვაქვს საქმე. ამ შემთხვევაში აქ, ერთი მხრივ, იგულისხმება ლექსთწყობა და მისი რეალიზება პოეტურ პრაქტიკაში, მეორე მხრივ — ის, თუ რა მიმართებები არსებობს რეალობას და მისი ამსახველი კანონების სისტემად ჩამოყალიბების ფორმალურ გამოსატულებას შორის. ავტორის გაკვირვება გამოუწვევია იმას, რომ, ჩვენს მიხედვით, რომელიმე სამსეგმენტოანი აგებულება $3+3+3$ სტრუქტურულად ორნაირად ინტერპრეტირდება: როგორც $(3+3)+(3+0)$ და როგორც $(3+0)+(3+3)$. ავტორს მოაქვს ლექსითი ნაწყვეტი და გვიჩვენებს, რომ მისი ორნაირი „წაკითხვა“ ან „აღქმა“ შეუძლებელია. ისევ — ვულგარული (უნდა გავიშვოთ ეს გამოთქმა) მიდგომა. ორნაირად „წაკითხვა“ ან „აღქმა“ მართლაც არ შეიძლება, ლექსი ერთნაირია, მაგრამ შეიძლება ეს მოცემული რეალობა მეცნიერულად აგებული შესაბამისი არაინტერპრეტირებული სისტემის ორ სხვადასხვა შესაძლებლობას ასახავდეს — სრულიად ნორმალური, ცნობილი შემთხვევა, როდესაც არსებობს სპეციფიკური ფორმები და მათ გვერდით ყველა სხვა ფორმა ცალსახამიმართებიანია სისტემის კანონებთან და წესებთან; მთავარი აქ ის არის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში კანონზომიერი სურათი გვექონდეს. $(3+3)+(3+0)$ და $(3+0)+(3+3)$ ორგვარი შესაძლებლობა გვაქვს იმიტომ, რომ სისტემაში (კერძოდ — ორწევრდში) მოქმედებს ჩვენ მიერ ფორმულირებული ალტერნაციის კანონი, რის შედეგადაც, ერთი მხრივ, რომელიმე $5+3+5+3$ სტრუქტურა (დაბალი შიარის სტრიქონი) ერთსახად ინტერპრეტირდება — როგორც $(5+3)+(5+3)$, რადგანაც ალტერნაციისას იკვრება ერთი ბირთვი პირველი და მეორე სეგმენტის ფარგლებში და მეორე ბირთვი — მესამე და მეოთხე სეგმენტის ფარგლებში, რაც, საბოლოოდ, გვაძლევს $(5+3/3+5)+(5+3/3+5)$ სტრუქტურას, და გამორიცხავს ისეთ შესაძლებლობას, როგორცაა $5+(3+5)+3$; მაგრამ, მეორე მხრივ, $3+3+3$ სტრიქონი „რეალობაში“ შეიძლება იყოს $(3+0)+(3+3)$ -ც და $(3+3)+(3+0)$ -ც, რადგანაც ალტერნაცია $3+3/1+5$ შეიძლება პირველი და მეორე სეგმენტებისგან აგებულ $3+3$ -ის ფარგლებშიც განხორციელდეს და მეორე და მესამე სეგმენტების $3+3$ -

შიც. მაგრამ მთავარი აქ ისაა — რასაც ვერ ხედავს ავტორი, — რომ ამგვარი სტრიქონის კენტ (სამ)სეგმენტად ინტერპრეტირების შემთხვევაშიც (როგორც ეს ავტორს აქვს), მაინც ორნაირი „წაკითხვა“ და ორნაირი „აღქმა“ გვექნება: $3+(3+3)$ და $(3+3)+3$, რადგანაც, როგორც ითქვა, $3+3+3$ სტრიქონი ორწევრედში ალტერნაციის განხორციელებისას ორნაირად იქცევა, გვინდა ეს ჩვენ თუ არა: გვექნება ან $3+(3+3/1+5)$, ან $(3+3/1+5)+3...$

ასხნა იმისა, თუ რას ნიშნავს სტრუქტურული ნიშანი. ავტორი ავითარებს აზრს, რომ მიუღებელია ჩვენ მიერ გაკვეთის უნივერსალური პრინციპის ბოლო ან ზოგადი გამოხატულების დანახვა ქართულ ვერლიბრში, რადგანაც, მისი აზრით, გაკვეთა საერთოდ წარმოადგენს ყოველივე რიტმულის თუ არარიტმულის(?) თვისებას და არა საკუთრივ ქართული „ფენომენის“. მიუხედავად ერთგვარი გარეგნული მიმზიდველობისა, ამ მსჯელობას აკლია ერთი რამ, მთავარი, — სწორედ ის, რაც ცხადია ყველა განათლებული ფილოლოგისათვის. გაკვეთა მართლაც ყველგან შეიძლება იყოს, მაგრამ ყველგან არ შეიძლება იყოს სტრუქტურული, ფუნქციონალური ღირებულების ფაქტორი (ისევე, როგორც ყველა მეტყველებაში პრაქტიკულად ყველანაირი ბგერაა წარმოდგენილი, მაგრამ ამათგან მხოლოდ რაღაც ნაწილია დისტინქციური ღირებულების მქონე ნიშანი და, შესაბამისად, ამ ბგერათაგან ის, რაც ერთ მოცემულ ენაში ფონემა იქნება, მეორეში შეიძლება არ იყოს ფონემა). იქ, სადაც ლექსთწყობაში იგი სტრუქტურული ნიშანი იქნება, ბუნებრივია და ლოგიკური თავისუფალი ლექსის მიღების სქემაში ამ ნიშნის ტრანსფორმირება დაინახოთ. რაც შეეხება აპელირებას ირჟი ლევის ავტორიტეტის მიმართ, უნდა მოვასხენოთ, რომ ეს ირჟი ლევის აზრია, ჩვენ ჩვენი აზრი გვაქვს: ე. წ. თავისუფალი ლექსი მიიღება მოცემულ ლექსთწყობაში მოქმედი უნივერსალური პრინციპის საფუძველზე, როდესაც, გარკვეული ტრანსფორმაციების შედეგად, იგი „დაცულია“ უკიდურესად თავისუფლად და ა. შ. და აქ გასაკვირი არაფერია: ასეთი ფორმულირებისათვის საფუძველს ქმნის ის, რომ თავისუფალი ლექსი იქმნება მოცემული ლექსთწყობის ფარგლებში, მოცემული შესაძლებლობების მიხედვით, და არა ირრეალური, ზოგადი წესებით. უფრო მეტიც, ირჟი ლევის კონცეფციას, რომ ვერლიბრი მიიღება ლექსთწყობის სისტემაში მეორე-

ხარისხოვანი ფაქტორების წინ წამოწევით (რაც ჩვენთვის სადავოა), არა მარტო უფლება აქვს არსებობისა (ისევე როგორც ჩვენსას, მით უმეტეს, რომ თეორიულად არ არის გამორიცხული „მიღების“ ერთზე მეტი გზის არსებობა ვიგულისხმობთ), არამედ იგი მაინცდამაინც არც ეწინააღმდეგება ჩვენს კონცეფციას. ოღონდ, ყველა შემთხვევაში იდეათა განსჯისას, მათი გაზიარება-არგაზიარებისას, მეტი წინდახედულებაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი უაზრო, მაგრამ ავტორის მიერ მოწონებული და ციტირებული გამონათქვამები შეგვრჩება ხელთ, როგორცაა: „არცერთი ტიპი ქართული ვერლიბრისა არ ემყარება მარცვალთა რიცხოვრივი გაწონასწორების პრინციპს, სილაბურობას. ძირითადი და მთავარი, რაც ქართულში თავისუფალი ლექსის არსებობას განაპირობებს, სწორედ მარცვალთა რაოდენობრივი კანონზომიერების უქონლობაა. ქართულ ვერლიბრში ვერ ვიპოვით სილაბურ ოდენობათა სისტემატურ განლაგებას“...

ასხნა იმისა, თუ რა განსხვავებაა სალექსო და სიტყვათმასვილს შორის. ავტორს რატომღაც ვერ გაუგია ჩვენი დებულება, რომ მოცემული სიგრძის (ე. ი. მარცვალთა რაოდენობის) სალექსო სეგმენტში სალექსო მასვილი (ictus) იქნება იმ ადგილზე, რომელზეც გვაქვს სიტყვათმასვილი იმავე სიგრძის სიტყვაში. ამიტომ მოჰყავს მაგალითები, თუ მასვილთა რამდენნაირი განაწილებაა შესაძლებელი, ვთქვათ, ოთხმარცვლიან სეგმენტში, და ვერ ხედავს, რომ ეს არის სიტყვათმასვილთა განაწილება და არა სალექსო მასვილებისა. ავტორმა უნდა იცოდეს, რომ ქართულში სიტყვათმასვილი ფიქსირებულია (რაც ნიშნავს არა იმას, რომ სიტყვათმასვილი ფიქსირებულია მოცემული სიტყვის, ფუძის და ა. შ. ერთ ადგილზე, არამედ იმას, რომ იგი ფიქსირებულია მოცემული სიგრძის სიტყვის ერთ ადგილზე); რომ, ვთქვათ, ოთხმარცვლიან სიტყვას ერთ მოცემულ ადგილზე აქვს მასვილი (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ადგილზე, რადგანაც აქ აზრთა სხვადასხვაობაა), შესაბამისად, იმავე ადგილზე აქვს მასვილი ოთხმარცვლიან სალექსო სეგმენტს, მაგრამ ამავე სეგმენტს შეიძლება ერთზე მეტი სიტყვათმასვილი ჰქონდეს, რადგანაც ეს სეგმენტი შეიძლება ერთზე მეტი სიტყვისგან შედგებოდეს. ვერ დავუკარგავთ, ავტორი ბოლოს ცდილობს გაერკვეს ვითარებაში: „შეიძლება ავტორი (ე. ი. ჩვენ — ა. ს.) მხოლოდ ე. წ. (?! — ა. ს.) სალექსო მასვილებს ვულისხმობს (? — ა. ს.)?“, მაგრამ ეს ცდა წარმატებით ვერ გვირგვინ-

დება, რადგანაც იქვე ისევ რამდენიმე (ოთხ) ვარიანტს გვთავაზობს სამ-მარცვლიანი სემენტებისთვის და ისევ ვერ ხედავს, რომ ეს არის სიტყ-ვათმასხვილთა განაწილების თეორიული ვარიანტები (პირველ ადგილზე, პირველზე და მესამეზე, პირველზე და მეორეზე, სამსავეზე). ისევ ავხს-ნით: სალექსო მასვილი ადგილით ემთხვევა სიტყვათმასვილს, მაგრამ ყველა სიტყვათმასვილი არ არის სალექსო მასვილი — აქ პირიქითა დამთხვევა არ გვაქვს (მეტის ახსნა შეუძლებელია)...

ახსნა იმისა, რომ ყველა თანამედროვე ლექსი „ჯდება“ ჩვენს სის-ტემაში. სამწუხაროა, რომ ავტორმა ეს მაინც ვერ დაინახა და მოინდომა თვითონ „ჩაესვა“ თავის სისტემაში. სამწუხაროა ისიც, რომ თავისი აზ-რის საილუსტრაციოდ ავტორი უცნაურ ხერხს მიმართავს — მოაქვს ისეთი მაგალითები და ისეთი სალექსო სქემები, რომელთაც ჩვენს მო-დელში თავ-თავისი ადგილიც აქვთ მიჩენილი და გაანალიზებულნიც არიან. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ, მისი აზრით (!), ეს ნიმუშები ჩვენ მიერ ნეგატიური რეალიზაციის მაგალითებადაა მიჩნეული, — კიდევ ერთი შემთხვევა ავტორის მიერ ჩვენი ცნებების ვერგაგებისა. ყვე-ლაზე უფრო სამწუხარო მაინც ისაა, რომ ამ შემთხვევაში ერ-თადერთი რჩევა გვრჩება — ვთხოვოთ ავტორს, კიდევ ერთხელ და დაკ-ვირვებით წაიკითხოს ჩვენი ნაშრომი. გავიმეორებთ: ყველა ნიმუშს ჩვე-ნი სისტემა ხსნის, გარდა ისეთებისა — ბუნებაში ასეთი ნიმუშებიც არ-სებობს (ლიტერატურა ინდივიდუალური შემოქმედებაა), — რომლებიც არაქართულის კალკირებას წარმოადგენენ („კაცმა წავიდა“ ან „ბებიამ შემოგველოს“ ქართული ენისთვის არამარკირებული გამოთქმებია, მაგ-რამ მათ გაიგონებთ); რაც შეეხება განვითარებაში პრინციპულ ინოვაცი-ებს თუ ექსპერიმენტებს (არცერთ სინქრონიულ ჰრილში არ არის გამო-რიცხული პოეტურ პრაქტიკაში ლექსთწყობის სისტემის რეალიზებისას მოცემულ მომენტში კოლექტივისთვის მიუღებელი ან გაუგებარი სქემე-ბის გამოჩენა, რაც მომავალში არ გამორიცხავს მათ დამკვიდრებას), მათთვის ჩვენ მიერ შემდეგი წესია ფორმულირებული: სისტემისთვის მარკირებულ, ტიპურ აგებულებად ითვლება განვითარების მოცემულ სა-ფეხურზე რეალიზებული ისეთი ფორმა, რომელიც უშუალოდ მომდევნო საფეხურზე — და არა საფეხურგამოტოვებით — ამქვეყნებს რეპრო-დუქციის უნარს...

კიდევ ბევრი რამის ახსნა შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად მსჯელობას აღარ განვაგრძობთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ზოგიერთი რამის ახსნა საერთოდ შეუძლებელია. მაგალითად, იმისა, თუ რატომ ვერ გაიგო ავტორმა ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული „ალტერნატივის წესი“, კერძოდ, ორს მინუს ორი რატომ არ არის მისთვის ნული, ან ერთს გამოუაკლო ორი რატომ არ არის მინუს ერთი...; შეუძლებელია აიხსნას, როგორ ეს-მის ავტორს ტერმინები — ერთეული და დონე; ან რას გვეუბნება ი. ლოტ-მანთან დაკავშირებით; ან რატომ ჰგონია, რომ ა. კალანდაძის ერთი ლექსი („აკაციის ტყვრი...“) ჩვენ ნეგატიური რეალიზაციის (ისევ ის, ჩვენ მიერ ნახმარი, ცნება, რომლის არსში ავტორი რატომღაც ვერ გაურკვეა) ნიმუშად მიგვაჩნია; საქმე სრულიად საწინააღმდეგოდაა: ავტორს შეუძლია ჩვენს წიგნში ნახოს ამ ლექსის ვერსიფიკაციული სურათის ამსახველი სქემა, რის შემდეგაც შესაძლოა აღარ ეგონოს, რომ ამ ლექსში 1+5 და 4+2 სტრიქონებია და რომ ამისათვის არგუმენტად კმარა დეფისი შპაციაში და „სინტაგმატური კავშირები“ (?!)...; ძალიან ძნელია აგრეთვე ავტორის მისტიფიკაციების ახსნა, კერძოდ: თურმე ავტორს თავისი სტრიქონები უკვე დაწერილი ჰქონდა, როდესაც ჩვენთან პირად საუბარში ზემოთ ნახსენები ლექსი „მოუყვანია“ და ჩვენ (იგულისხმება — ამჯერად) სწორად წაგვიკითხავს იგი; არ ვიცით, როგორ წაგვიკითხავს, — ჩვენი ის სწორი წაკითხვა, რომელიც მას მოაქვს, არის ზუსტად ჩვენი ის წაკითხვა, რომელიც ჩვენს ნაშრომშია; საერთოდ, არ ვიცით, რას ვკითხულობდით, მაგრამ გვახსოვს, რომ „პირად საუბარში“ ავტორი ჩვენი დახმარებით ცდილობდა გარკვეულიყო ქართული ლექსთწყობის არსში და რომ შევეთანხმდით, რომ კვლავაც გაუწევდით კონსულტაციებს, — სამწუხაროდ, ავტორი შემდეგ ჩვენთან აღარ გამოჩენილა, რომ გამოჩენილიყო, დღეს ბევრი რამ ასახსნელი აღარ გვექნებოდა.

მხოლოდ ერთ საკითხზე საჭიროა ყურადღების შეჩერება. იმას, რომ ჩვენი ზოგი სქოლიო პირდაპირ, სიტყვასიტყვით, ჩვენი კომენტარებით, არის გადაწერილი, — ჩვენ არ მივაქცევთ ყურადღებას, მაგრამ ძალიან ბევრი იდეაც ავტორს მიუთითებლად აქვს აღებული. მაგალითად — იდეა ლექსთწყობათა ტიპოლოგიური სქემის დოგმატურობის შესახებ და რამ. არ არის სავალდებულო მოცემული ლექსთწყობა ზუსტად ჯდებო-

დეს ტიპოლოგიურ ჩარჩოებში, კერძოდ — ქართულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლექსთწყობათა ცნობილ სისტემებს შორის და ა. შ.

რაც მთავარია, ავტორს აღებული აქვს ჩვენგან თავისი გამოკვლევის მთავარი დასკვნა: „ქართულ ლექსში ორი თვისობრივად განსხვავებული სქემაა განსორციელებული“... „პირველი სქემის ერთეულია სეგმენტი, მეორის ერთი ქვესიმრავლისა კი — ორწევრედი“... „ერთი და იგივე სიმეტრიით ორი განსხვავებული რიტმის მიზეზია ერთეულთა განსხვავებული ბუნება“. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოლო გაუგებარ ფრაზას, ეს არის ქართული ლექსთწყობის ჩვენი მოდელი, რომელშიც სეგმენტის, როგორც ერთეულის ადგილზე არის სეგმენტი პლუს ნულოვანი რეალიზაციის სეგმენტი, როგორც ბინარული ერთეული; ინტერპრეტაციის ის შესაძლებლობა, რომელსაც ავტორი ირჩევს, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ჩვენსავე მოდელშია მოცემული.

მეცნიერება, ყველაფერთან ერთად, ზნეობრივი კატეგორიაა. იდეებისა და კვლევის შედეგების სესხება აქ სავსებით მიღებულია, მაგრამ აბსოლუტურად მიუღებელია სესხების კამუფლირება (იქმნება შთაბეჭდილება, რომ სწორედ ამ მიზანს ემსახურება ავტორის ნაშრომის მცირე, სრულიად არაორგანული, მონაკვეთი, რომელიც, ჩვენდამი პანეგირიკის შემდეგ, „კრიტიკას“ ეძღვნება, — ყველაფერ ამას მოსდევს გამოკვლევა, რომელსაც საფუძვლად ედება ჩვენი სისტემა, მისი წარმომქმნელი ფაქტორი, ჩვენი ტერმინები — იგივე „ორწევრედი“, ცნებები და მეთოდოლოგია).

ის, არც თუ მცირე, ადგილი, რაც გამოვეყავით გ. თევზაძის ნაშრომის, უფრო ზუსტად — მისი ერთი პასაჟის, ანალიზს, არ შეიძლება ჩაითვალოს უქმად დაკარგულ ადგილად, რადგანაც, საბოლოოდ, რამდენიმე განზოგადებული დასკვნა ყალიბდება.

პირველი: ჩვენი, ფილოლოგების (საერთოდ — ჰუმანიტარების), სამწუხარო სპეციფიკა ისაა, რომ უნდა ვიკვლიოთ და ვწეროთ არა მარტო სპეციალისტთათვის გასაგებ ენაზე, არამედ არასპეციალისტთა გასაგებადაც, — მათემატიკოსებს ან ბუნებისმეტყველებს, მათდა საბედნიეროდ, ასეთი აუცილებლობა არა აქვთ. ჩვენთვის კიდევ უფრო მეტი სირთულეები იქმნება იმ შემთხვევაში, თუ შენს ნაშრომს არასპეციალისტი, სულ სხვა მეცნიერების წარმომადგენელი, განიხილავს, შემდეგ იმ წიგნს, რომელშიც ეს განხილვაა მოთავსებული, მეორე არასპეციალისტი, იმავე,

სულ სხვა, მეცნიერების წარმომადგენელი, გამოუქვეყნებს რეცენზიას (სწორედ ასეთი რამ მოხდა ჩვენი ავტორის ნაშრომთან დაკავშირებით, იხ. ლიტ. საქართველო, 1994 წ. 10 აგვისტო), — ეს საერთოდ, რაღაც რადიკალური სიახლეა ჩვენს სინამდვილეში, როდესაც საბოლოოდ იქმნება უკვე მთელი სპეციფიკური ქანრის ლიტერატურა, და შენ იძულებული ხარ ახსნა-განმარტებები და დარიგებები უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე წარმოადგინო (მაგალითად, რეცენზენტს აუხსნა, თუ სწორად როგორ იწერება და გამოითქმის მეცნიერების იმ დარგის სახელწოდება, რომელსაც ის უძღვნის თავის ნაშრომს; ან ის, რომ პრობლემათა გადაწყვეტის ის გზები, რაც მას მოსწონს მის მიერ რეცენზირებულ ნაშრომში, დიდი ხანია დასახულია და განხორციელებული და ა. შ.).

მეორე: ამასთან, არ შეიძლება იმის თქმა (ყოველ შემთხვევაში, კატეგორიულად), რომ არასპეციალისტს არ აქვს უფლება იკვლიოს სხვა, არა მისი, სფერო.

მესამე: მას ეს უფლება აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, არ აქვს უფლება აკრიტიკოს; საკმარისია თავისი იდეა შესთავაზოს. (სხვათაშორის, ის მეცნიერები, რომელთა ავტორიტეტსაც იმოწმებს ავტორი, მაგალითად — ა. კოლმოგოროვი, ჯერ ერთი, სწორედ ასე იქცეოდნენ, მეორეც, ძალიან ხშირად თავიანთ ნაშრომებს მეცნიერების სხვა დარგში ქმნიდნენ ამ მოცემული დარგის წარმომადგენელთა თანაავტორობით, ისინი ღვლიდნენ, რომ ამით ბევრ გაუგებრობას აიცილებდნენ თავიდან). მეცნიერულ კვლევათა ინტეგრაცია ასე უფრო წარმატებით განხორციელდება.

დასასრულ, გავიმეორებთ, რომ გ. თევზაძის ნაშრომი წარმოადგენს ჩვენ მიერ აგებული სისტემის თავისებური ინტერპრეტაციის ცდას. როგორც ჩანს, ცდას საინტერესოს, მაგრამ ეს უკვე სხვა მსჯელობის თემაა.

II

ლექსთწყობისა და პოეზიის მიმართების საკითხისათვის

2. 1. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ლექსის სისტემის ფორმალური ანალიზი, ლექსთწყობის დიაქრონიის განსაზღვრა, გარკვეული საფეხურების რეკონსტრუქციის ჩათვლით, ერთ-ერთ მიზნად უფრო ფართო სფეროს — ქართული ლიტერატურის ისტორიის, მათ შორის, მისი უცნობი სტადიების, დადგენის პრობლემათა გადაჭრას უკავშირდება. ამ შემთხვევაში ორი ამოცანა იგულისხმება: ერთი — საკუთრივ ლექსითი სისტემის აღმოცენება-განვითარების სურათის აღდგენა, მეორე — ქართული პოეზიის საფეხურების, კერძოდ — უძველესი, საწყისი, საფეხურების, აღდგენა. თუ, ერთი მხრივ, როგორ სახესაც არ მივსცემთ ისტორიას, წამოიჭრება ვერსიფიკაციის განვითარებაში ქრონოლოგიურად ქვედა ზღვარის პრობლემა, მეორე მხრივ — ამოცანის გადაჭრისას დგება საკითხი ლიტერატურის, კერძოდ პოეზიის, შესაბამის პრობლემასთან მიმართებისა. ერთი შეხედვით, შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ მოცემული პოეზიის ისტორია (იგულისხმება — ლიტერატურულად დამოწმებული საფეხურების სახით) და მოცემული ლექსთწყობის სისტემის ფუნქციონირების ისტორია ქრონოლოგიურად ერთმანეთს შესაძლოა არ ემთხვეოდეს. ჯერ ერთი, ვერსიფიკაციული სისტემა დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება მოქმედებდეს როგორც მხოლოდ ფოლკლორის და არა მწერლობის ფორმალური ელემენტი; გარდა

ამისა, თვით მწერლობის ისტორია შეიძლება გვაწვდიდეს თქმულის მაგალითს. კერძოდ, გვეყვარება ისეთი შემთხვევა, როდესაც პოეზია არსებობს, მაგრამ მასში არ არის გამოყენებული მოცემული ენის ლექსთწყობა. აქ ორი თეორიული ვარიანტია შესაძლებელი.

1. ლექსთწყობა უკვე ჩამოყალიბებულია (განვითარების ადრეული საფეხურებისათვის დამახასიათებელი სახით). მაგრამ მისი რეალიზების უძველესი ნიმუშები ჩვენამდე არ არის მოღწეული — გვაქვს მხოლოდ გარკვეული შემდეგდროინდელი ეტაპის ნიმუშები, ხოლო პოეზიის მათზე ძველი ნიმუშები ამ ლექსთწყობას არ ასახავენ;

2. პოეზია არსებობს, მაგრამ ლექსთწყობის სისტემის ჩამოყალიბება (პირველი საფეხურის მდგომარეობის სახით) არ დასრულებულა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ლიტერატურული პროცესების, როგორც კანონზომიერი მოვლენების, ისტორიაში აშკარად შეინიშნება რამდენიმე შეუსაბამობა, რომელიც ახსნასა და სათანადო დასკვნების გამოტანას საჭიროებს.

2.2. ჩვენ გვაქვს, ერთი მხრივ, პოეზია, მეორე მხრივ, ლექსთწყობის სისტემა, რომელსაც იყენებს პოეზია. საკითხის ასე დასმისას იკვეთება სწორედ ერთ-ერთი შეუსაბამობა, რადგანაც ჩვენი ლიტერატურის განვითარებაში საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან და იმ სქემასთან, რომელიც ზემოთ ჩამოვყალიბეთ: ჩვენი პოეზიის ისტორიასა და ლექსთწყობის სისტემის ფუნქციონირების ისტორიას (როგორც ითქვა, იგულისხმება დადასტურებული და არა აღსადგენი საფეხურები) შორის ზუსტი დამთხვევა არ არის. უძველესი სახით ქართული პოეზია ცნობილია მე-7-8 საუკუნეებიდან სასულიერო პოეზიის — ჰიმნოგრაფიისა და ზოგი სხვა ჟანრის ნიმუშებით (მიღებული, საქრესტომათიო განსაზღვრება — იხ., მაგ., ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 323). ეს ფორმულირება თავის თავში უკვე შეიცავს იმ დებულებას, რომ ქართული პოეზია წარმოგვიდგება ორი სახით — სასულიერო და საერო. მიუხედავად იმისა, რომ დაყოფა პირობითია და ძირითადად მხოლოდ გარკვეული ანალიზის საჭიროებათა პოზიციებიდან გვაქვს, მაინც არსებობს ერთი, ფორმალური, ნიშანი, რომელიც დიფერენცირებას ნაწილობრივ ამაროლებს: ეს ორი სახე, ყოველ შემთხვევაში — განვითარების გარკვეულ საფეხურებზე, ორ

სხვადასხვა რიტმულ სისტემას ემყარება. კერძოდ, უძველესი ქართული სასულიერო პოეზია, თავისთავად ბრწყინვალე როგორც მხატვრული ლიტერატურის მოვლენა, ან ურიტმო იყო (ამის თქმა მხოლოდ პირობითად შეიძლება, როდესაც მხედველობაშია ლექსთწყობასთან, როგორც სისტემასთან, მიმართება), ან ქმნიდა ისეთ ხელოვნურ სქემებს, რომლებმაც ლექსთწყობის სისტემაში ადგილი ვერ პოვეს, ან მეტრიკაში უშუალოდ ეყრდნობოდა ბიზანტიურ ეტალონებს, სახელდობრ — იამბიკოს ფორმას, რომელიც არაქართული მოვლენის იმიტაციას წარმოადგენდა. ამგვარად, ერთი მხრივ, საეკლესიო პოეზია, მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, წარმოადგენს ჩვენი პოეზიის უძველეს საფეხურს, მეორე მხრივ, მასში არ არის გამოყენებული ის სისტემა, რომელიც ჩვენთვის პერცეპტუალურ როგორც ქართული ლექსთწყობა.

აღიქმება როგორც პროზა, მაგალითად, შემდეგი სახის ნიმუში (ნაწყვეტი):

რამეთუ შენ, უფალი, ჩუენ თანა ხარ,
 განმზადებული ჩუენთს ადგილსა ამას კეთილსა,
 განსასუენებელსა ნებისა შენისასა,
 რომელსა შინა ძარადის ვედრებასა შევსწირაეთ
 მოსალოდებელისა ძისთვის დღისა,
 დიდებით მეორედ მოსლვისა შენისასა, ღმერთო.

არ აღიქმება როგორც ლექსი, მაგალითად, შემდეგი ნიმუში (ნაწყვეტი):

- | | |
|--|------|
| დაღაცათუ დამზადებელმან | (9) |
| სიტყუამან ღმრთისამან შეიძოსა კაცებაჲ | (13) |
| და მით ნათელ-ილო ჩუენთს, | (8) |
| ხოლო არაათუ ბუნებით შეირწყუნეს | (11) |
| ღმრთეებაჲ და კაცებაჲ, არამედ შეიყვნეს. | (13) |
| დაღაცათუ ვითარცა ტრედი | (9) |
| იხილვა გუამითა დღეს სული უხილავი | (13) |
| ნათლის-ღებასა ქრისტემსსა, | (8) |
| არამედ არა ბუნებითა აქუნდა | (11) |
| გუამოვნებისა ხატი, გარნა მსგავსებითა. | (13) |

არ აღიქმება როგორც ქართული ლექსი (ლექსი და არა პოეზია), მაგალითად, შემდეგი ნიმუში (ნაწყევტი):

განუკუეთელი განიკუთა ქუეყანაჲ	(5 + 7)
და დაეფლა აბელი, რომელ მოიკლა	(7 + 5)
ძმისა ჯელითა. შეიწყევა ქუეყანაჲ.	(5 + 7)
ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი	(7 + 5)
იკურთხა მის წილ აწ და უკუნისამდე.	(5 + 7)

სხვა სიტყვებით, ამ და მსგავს ნიმუშებს არ აქვთ კავშირი იმ პოეზიასთან, რომელიც ჩვენთვის აღქმადია როგორც ქართული რიტმული პოეზია, დამყარებული ქართული ლექსთწყობის სისტემაზე, როგორც მის ფორმალურ ნიშანზე. მაგრამ თქმული იმასაც ნიშნავს, რომ, აპრიორულად, ქართული ლექსთწყობის ისტორია შეიძლება დაწყებულიყო მე-7 საუკუნის შემდეგაც, მე-7 საუკუნემდეც. ამავე დროს, აპრიორულად, ეს იმასაც ნიშნავს, რომ იმ პოეზიის ისტორიაც, რომლის ფორმალურ მხარესაც ქართული ლექსთწყობა წარმოადგენს, შეიძლებოდა დაწყებულიყო მე-7 საუკუნის შემდეგაც და მე-7 საუკუნემდეც.

2. 3. ისეთი ნიმუშები, ჩვენს ხელთ სადღეისოდ არსებულნი, რომლებიც ავლენენ – და ავლენენ სრულად – სალექსო საზომს ქართული ლექსთწყობისთვის დამახასიათებელი სტრუქტურული ნიშნებით, ძირითადად შომდინარეობენ მე-10-11 საუკუნეებიდან და, სხვათა შორის, როგორც გამონაკლისი მეტრიკული რეპერტუარის თვალსაზრისით, შექმნილნი არიან სასულიერო მწერლობის წიაღშივე. მაშასადამე, ის, რაც ჩვენთვის აღქმადია როგორც ქართული მეტრიკის პრინციპებზე დამყარებული პოეზია, იწყება მე-10-11 საუკუნეებიდან. პირველ ყოვლისა, იგულისხმება იმ ტიპის ნიმუშები, როგორცაა, მაგალითად, ფილიპეს (მე-10 ს.) ცნობილი აკროსტიქი „ფილიპე ბეთლემი“ („ფესვთა მათგან ოქროანთა“):

ფესვთა მათგან ოქროანთა
შემკული ხარ შენ, ქალწული,
იაკინთე ძოწეული
სამოსლად გაქუს, ღმრთისმშობელი,

ლაშპრითა მიჲ ბრწყინვალითა
მიგეგებებით, დედოფალო,
იახოვე შენ მოტევებაჲ
ბრალთა ჩუენითაჲ, დიდებულო,
პატიოსან და წმიდა არს
სახლი შენი, სანატრელო,
ქკლესიაჲ ბეთლემისაჲ
ცათა მსგავს არს, უბიწოო,
ბუნებათა შემოქმედი
ვიცანთ შენგან, მ ბეთლემო,
ემსგავსე შენ სამყაროთა
ზეცისათა, მ წმიდაო,
თაყუანის ვსცემთ ქუაბსა მაგას
დიდებულსა, მ უხრწნელო,
ლოცვაჲ ჩუენი შეიწირე,
ბავასა მას მწოლარეო,
ეც მოსავეთა შენთა პიონაჲ
წყალობისაჲ, სახიერო,
მაღლი შენი მფარველ მეყავენ
მე უღირსსა, მოწყალეო,
ისმინე დღეს თხოვაჲ ჩემი
ციოდვილისაჲ, მწყალობელო.

ან — მე-11 ს-ის უცნობი ავტორის „კანონთათვის (პ. ინგო-
როყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო შემკვიდრეობა, რუს-
თაველის კრებული 750, 1938, გვ. 73):

ოუთქეუამს პირველი კანონი
ოთხთა ბრძნად გამოკულეული,
სამი სამ სამთა ორგან პრთავს
ძედ ქალწულისად წუეული,
ხუათაგან ცხრაძდე ორ-ორსა,
ვითა ვინ იყო ჩუეული,
მეათისათვის თუს-თუსად
მეტყუელებს აუთოეული.

ან — არსენ იყალთოელის სახელით ცნობილი ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა:

ვის ნაჭარმაგევს მეფენი
თორმეტნი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი
საზღვარსა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთანი
იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწღა ამათსა მოქმედსა
ქელნი გულზედან დამესხნეს.

ბოლო ორი ნიმუში დაბალი შაირის სტრიქონებითაა დაწერილი, პირველი — მაღალი შაირით, სამსავე შემთხვევაში — ამ საზომების სტრუქტურის სრული დაცვით, ამასთან — ბოლო ორ შემთხვევაში გვაქვს ზუსტი სახით მოცემული ოთხსტრიქონედი, რაც მათ ვერსიფიკაციულად, ვთქვათ, „ვეფხისტყაოსნის“ დაბალი შაირის სტრიქონის იდენტურს ხდის (შაირის იმ ნიმუშების სია, რომლებიც რუსთაველამდეა შექმნილი, იხ. გ. შიქაძე, ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, 1974, გვ. 51-53; ფისტიკაურის შესახებ იხ. იქვე, გვ. 41).

ამგვარად, საზომთა რეპერტუარის მხრივ ვითარება, რომელიც დამახასიათებელია ჩაზრუხაძის, შავთელის და რუსთაველის ეპოქისათვის (ლექსთწყობის განვითარების პირველი საფეხური). პრაქტიკულად დადასტურებული გვაქვს უფრო ადრე. ამავე დროს, მეხოტბეებისა და რუსთაველის შემდეგ განვითარების მეორე საფეხურამდე ლექსთწყობაში ფაქტიურად არაფერი შეცვლილა (ამ შემთხვევაში კონკრეტულად ძეგრების სისტემა იგულისხმება). ეს ვითარება მართლაც საინტერესოა, რადგანაც პირველი საფეხური, სხვა საფეხურებთან შედარებით, გაცილებით ზანგრძლივია — იგი გრძელდება მე-18 ს-მდე. ამას, როგორც ჩანს, თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. საქმე ისაა, რომ, ჩვენი სქემის მიხედვით (იხ. ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ, გვ. 72), განვითარების ოთხი საფეხური (იგულისხმება — ლექსისა და არა პოეზი-

ისა, თუმცა გარკვეული პროპორციული მიმართებები, როგორც ჩანს, დგინდება) ნაწილდება შემდეგნაირად: I საფეხური — ეს არის პირველი კოდიფიკაციის საფეხური, II საფეხური — პირველი რეფორმის საფეხური, III საფეხური — მეორე კოდიფიკაციის საფეხური, IV საფეხური — მეორე რეფორმის საფეხური; I საფეხური, ეს არის პერიოდი მე-18 ს-მდე, II, საფეხური — მე-18 ს., III — მე-19 ს., IV — მე-20 ს. ამ შემთხვევაში პირველი საფეხური შეიძლება ნებისმიერად გრძელი ან ნებისმიერად მოკლე ყოფილიყო, მაგრამ მეორე საფეხურის — რეფორმის საფეხურის — განხორციელებას განვითარებაში მაშინვე და უშუალოდ უნდა მოსდევდეს კოდიფიკაციის საფეხური (რეფორმის შემდეგი ფილტრაციის ფუნქციით).

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ მეორე საფეხურამდე (მე-18 ს-მდე) — გრძელი პერიოდის განმავლობაში — ლექსთწყობაში (მეტრების სისტემაში) მეხოტბეებისა და რუსთაველის დროის შემდეგ ფაქტიურად არაფერი შეცვლილა.

მეორე იმ შესაბამებათაგან, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, სწორედ აქ ჩნდება. ერთი მხრივ, ის, რაც ლექსთწყობის პოზიციებიდან დამახასიათებელი იყო ქართული პოეზიისათვის მისი განვითარების პირველ ეტაპზე, უკვე არსებობდა შავთელამდე, ჩახრუხაძემდე და რუსთველამდე, მეორე მხრივ, უკვე ეს პირველი პოეტური ნიმუშები გვიჩვენებენ ლექსთწყობის სისტემისათვის დამახასიათებელი ორგანიზაციის მაღალ საფეხურს; შეიძლება ითქვას ასე: გვიჩვენებენ დასრულებულ საფეხურს, რადგანაც მეტრიკის თვალსაზრისით ახალი ქართულ პოეზიაში პრაქტიკულად მე-18 ს-მდე არაფერი შექმნილა. „შესაბამობა“ იმაში მდგომარეობს, რომ ქართული ლექსთწყობის პოეტური რეალიზაცია, ანუ ქართული ლექსთწყობის სისტემაზე დამყარებული პოეზია, თავის არსებობას იწყებს თითქოს არაბუნებრივი გზით — ფორმალური და ზოგადპოეტური პოზიციებიდან უნაკლო ნიმუშებით: არ ჩანს ისეთი ნიმუშები, რომლებიც პოეზიისა და მისი ფორმალური სისტემის ფუნქციონირების სწორედ საწყის ეტაპებს ასახავენ და განვითარების უფრო მაღალი საფეხურების ნიმუშებისაგან შესაბამისად განსხვავდებიან.

დასახელებულ შეუსაბამობათა ახსნა სათანადო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას მოგვცემს.

2. 4. ამგვარად, იმ პირობებში, როდესაც, ერთი მხრივ, ქართული სასულიერო პოეზიის ქრონოლოგია პრინციპულად გარკვეულია, მეორე მხრივ, ამ პოეზიის უძველესი ნიმუშები არ ქმნიან ქართული ლექსთწყობის რეალიზაციას, ქართული პოეზიის საწყის საფეხურზე მსჯელობისას საკითხი შემდეგნაირად დაისმის: რომელია ის უძველესი ეპოქა, რომელშიც ლიტერატურულად იწყებს ფუნქციონირებას ქართული ლექსთწყობა? იგულისხმება, რომ ამ საკითხის გარკვევა ავტომატურად ნიშნავს ქართული პოეზიის უძველესი საფეხურების დადგენას.

საერთოდ, პოეზიის ისტორიაში წერილობით დადასტურებულზე უფრო ძველი, წინა (resp. საწყისი). საფეხურის გამოვლენა, როგორც ჩანს, სამი თეორიული გზით შემოიფარგლება:

ა. ცნობილზე უფრო ძველი ნიმუშების, ან ცნობილზე უფრო ძველი პერიოდის შესახებ უშუალო ცნობების მოპოვება;

ბ. ლიტერატურულ-ისტორიული რეკონსტრუირება უფრო ძველი ეტაპისა, ან არმოდწეული ძველი ნიმუშებისა;

გ. ლექსთწყობის სისტემის უძველესი, ფიქსირებულისწინა, საფეხურის ლიტერატურული არსებობის ფაქტის აღდგენა.

როგორც უკვე ითქვა, ამ მესამე გზის განხორციელება შეადგენს ამჯერად ჩვენს ამოცანას, კერძოდ — აღდგენა იმისა, რომ ლექსთწყობის რეალიზაციის წერილობითად დადასტურებული უძველესი ნიმუშების წინ, დროში არსებობდა ამ სისტემის ლიტერატურული ფუნქციონირების ქრონოლოგიური საფეხური; ლექსთწყობისათვის ქრონოლოგიის დადგენა (აღდგენა) უშუალოდ დაუკავშირდება პოეზიის უძველესი ისტორიის ქრონოლოგიას.

ამ შემთხვევაში დასაწყისისათვის გადასაწყვეტია კიდევ ერთი პრობლემა — საკვლევი, საძებნი, ველის განსაზღვრა. კონკრეტულად დგება ორი საკითხი: 1. აქვს თუ არა პოეზიაში გამოყენებულ მოცემულ ფორმებს ლექსთწყობისათვის, როგორც სისტემისათვის, დამახასიათებელი პრინციპული სახე; 2. აქვს თუ არა რაღაც კონკრეტული სტრუქტურული ნიშნები, რომლებიც შეიძლება აითვისოს

ლექსთწყობის მოცემულმა სისტემამ განვითარების ან ჩამოყალიბების პროცესში. საქმე ისაა, რომ ჩვენ უნდა გამოვთქვათ კიდევ ერთი დებულება: აღდგენის საშუალებას იძლევა მხოლოდ სისტემა, წარმოდგენილი თავისი განვითარების კანონზომიერი საფეხურებით; სხვა ფორმებისათვის ქრონოლოგიის უკან გადაწევა მხოლოდ ახალი მასალების (პირველ რიგში — ნიბუშების) მოპოვებით შეიძლება.

მოცემული მიზანი ფაქტიურად კიდევ ერთ, უფრო ზოგად, პრობლემას მოიცავს: ქართული პოეზიის უძველესი ფორმების საერთო ანალიზს.

III

ფორმები, რომლებიც არ აღიქმება ქართული ლექსთწყობის ნიმუშებად

3.0. ძველი ქართული პოეზიის ნიმუშების და განვითარების პროცესის განხილვისას, როგორც ითქვა, თვალშესახებად შეინიშნება ფორმათა მრავალფეროვნება, მათ შორის — პრინციპულად სხვადასხვა ტიპოლოგიური სახეობები, რომელთათვისაც საჭიროა ადგილის მიჩენა, კერძოდ, მათი მიმართებების დადგენის გზით ლექსთწყობის სისტემასთან. გარდა კვალიფიკაციის პრობლემისა, დგება კიდევ ერთი, კონკრეტული, საკითხი, ძველი ნიმუშების ფორმალურ ანალიზთან დაკავშირებული: შეიძლება თუ არა ქართული ლექსთწყობის სისტემის გენეზისის რაღაც ფარგლებში დაკავშირება სასულიერო პოეზიის იმ ნიმუშებში წარმოდგენილ ფორმებთან ან მათ ელემენტებთან, რომლებიც ჩვენს — ქართული სალექსო მეტყველების მატარებელთა — მიერ არ აღიქმება როგორც ქართული ლექსთწყობის სტრუქტურული კანონებით შესრულებული თხზულებები.

თუ გადავხედავთ ამ უზარმაზარ პოეტურ კორპუსს, ტრადიციული გაგებით, როგორც ითქვა, ორი შემთხვევა გვაქვს — რიტმულად არაორგანიზებული და რიტმულად ორგანიზებული ნიმუშები. პირველ შემთხვევასთან დაკავშირებული პირობითობა ზემოთ ჩვენ უკვე ვახსენეთ, თუმცა ასეთ ნიმუშებს ხშირად პირდაპირ — არც თუ მართე-

ბულად — პროზას უწოდებენ ხოლმე (იხ., მაგ., კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 561). ეს საკითხი — საერთოდ პროზისა და პოეზიის ფორმალური დიფერენცირების საკითხი — ძალიან რთულია თეორიულ დონეზეც და სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს, როდესაც არ გამოირჩევა დიფუზური ფორმების არსებობაც და ა. შ. ჩვენი მსჯელობისათვის ამას ამჯერად არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, მაგრამ საერთოდ უნდა აღვნიშნოთ ხაზგასმით, რომ განზოგადებული ფორმულის ძებნა, როგორც ჩანს, არცაა მიზანშეწონილი, მეორე მხრივ — ცალსახა დიფერენცირება მხოლოდ კონკრეტული მიზნისა და კონკრეტული ჩარჩოების შემთხვევაშია შესაძლებელი, სახელდობრ (რაც ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს) — იმ პოზიციიდან, თუ რა მიმართებაში არიან ძველი სასულიერო პოეზიის ფორმები ლექსთწყობის სისტემასთან — საერთოდ, და ქართული ლექსთწყობის სისტემასთან — კერძოდ.

პ. ინგოროყვა სასულიერო (და არასასულიერო) პოეზიის ფორმებში სამ სახეობას ხედავს (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 557—558; მისივე, თხზულებათა კრებული, III, თბ. 1965, გვ. 14): სილაბური მუხლედოვანი ლექსი (ძველ-ქართული კლასიკური ლექსი), სილაბური უკვეთელი ლექსი (საგალობელთა „მარცვლელი“), „წყობილი სიტყვა რიცხვედი“ („წყობილი სიტყვა“). მიუხედავად იმისა, რომ პრინციპულ უზუსტობასთან გვაქვს საქმე, როდესაც ეს სამი სახეობა კვალიფიცირებულია როგორც ლექსთწყობის (ქართული ლექსთწყობის) სახეობები და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ დეტალთან დაკავშირებით გამოთქმულია სამართლიანი კრიტიკა, (იხ., მაგ., გ. იმედაშვილი, ქართული კლასიკური საგალობლის პოეტიკის საკითხები, ლიტ. ძიებანი, XII,, 1959, XIVII, 1961), ეს კლასიფიკაცია დიფერენცირებულად მოიცავს ძველი ქართული პოეზიის ფორმათა მთელ მრავალფეროვნებას. სხვა საკითხია, რომ დიფერენცირების პრინციპი ყოველთვის არ არის ზუსტი.

1. „პროზაული“ ფორმები

3. I.I. ამ ფორმებში (ყოველ შემთხვევაში – მათ დიდ ნაწილში) შემჩნეულია ე. წ. სახეთა პარალელიზმი, როგორც რიტმიზების ფაქტორი (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 711). მაგრამ კონკრეტულად დასადგენია, როგორ, რა ზოგადი და, მეორე მხრივ, თითოეული ტექსტისათვის დამახასიათებელი რა კონკრეტული საშუალებებით იქმნება რიტმული ორგანიზაცია.

ქვემოთ ჩვენ ვაჩვენებთ, რომ მართლაც არსებობს როგორც ზოგადი, პრინციპული წესები ამგვარი რიტმული სტრუქტურების შექმნისა, ასევე კონკრეტული საშუალებები მათი, ამ წესების, მატერიალიზებისა, და მართლაც შეიძლება მწყობრი შინაგანი რიტმული ორგანიზაციის დანახვა, – იმაზე გაცილებით მეტის, რაც დღემდეა დანახული. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, კითხვას იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ჰქონდეთ ამგვარ ტექსტებს რაღაც კავშირი ქართულა ლექსთწყობის გენეზისთან, უარყოფითი პასუხი გაეცემა: ამგვარი ტექსტები, ერთი მხრივ, შეიცავენ შინაგან რიტმულ წესრავს (და ამ ფორმალური ნიშნით – სხვა ნიშნებთან ერთად – პოეტურ ტექსტებს წარმოადგენენ), მაგრამ, მეორე მხრივ, ეს რიტმული წესრიგა არ არის რეპროდუქციისუნარიანი და, ამდენად, არ არის პერცეპტული სალექსო ფორმა, საბოლოოდ – ლექსთწყობის, როგორც სისტემის, პრინციპულ ბუნებასთან მას არავითარი კავშირი არ აქვს.

ისეთ საგალობლებში, როგორცაა, ვთქვათ, „იამბიკონნი ქართულსა ანბანსა ზედა ძუელნი“ („ანგელოზთა თანა და ძალთა ზეცისათა მოვედით, ერნო...“), ან „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“, ან ბასილი საბაწმიდელის „მამისა საბამის დასდებელნი“ („ბუნებათა შეცვალებითა და ბოროტისა განდევნითა...“) და სხვ., ადვილად ამოსაცნობი პარალელური გამეორებების, ალიტერაციისა და ზოგი სხვა ელემენტის წყალობით, არ არის ძნელი რიტმიზებული ტექსტის დანახვა. ამ მხრივ უფრო რთული ნიმუშებიც არსებობს. საილუსტრაციოდ განვიხილავთ ორ მათგანს.

3.1.2. იოანე საბანისძის „აბოს მარტვილობის“ ფინალი – „ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბომის“ (ტექსტი იხ. – ს. ყუბანეიშვილი, ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია, I):

„აწ მოვედით, ქრისტეს-მორწმუნენო, და ვლესასწაულობდეთ
ქსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას
სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხად ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა.
და სიხარულითა მრავლითა განვახუნეთ საუნჯენი გულთა და გონე-
ბათა ჩუენთანი და მხიარულითა პირითა და განმარტებულებითა ენითა
ვაქებდეთ კეთილად-მოღუაწებასა მისსა და ვიტყოდით:

გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ,
უკუანამსკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ მეთათრმეტისა
ჟამისაჲ მდღევრთა მათ თანა აღმსობილთა მიეწიფე და მათ თანა
სასყიდელსა მათსა არა დააკლდი!

გიხაროდენ, მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ მიემსგავსე
უკუანამსკნელსა მას მოციქულსა პაულეს მამულთა მათ შჯულთა და
მოძღურებათა განგლებითაჲ და ქრისტეს, ძისა ღმრთისა, აღსარე-
ბითა მსგავსადვე მისა თავი მოგეკუეთა.

აწ ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ, ჭეშმარიტად საქებელსა? მნე-
ბავს ქებად შენდა, ყოვლად-ქებულო ქრისტეს მოწამეო, არამედ ვერ
ვიკადრებ, რამეთუ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებაჲ სათ-
ნობათა შენთაჲ. და კუალად მეშინის მე დაღუმებად, რამეთუ სანა-
ტრელითა მით ქრისტეს-მიერიოთა სიყუარულითა შემყუარე მე, ვი-
დრე იყავ-ლა სოფელსა ამას შინა ჩუენსა. აწ ნუჯკუე დაყენებითა ენი-
სა ჩემისაჲთა ქებასა შენსა დაეყენოს ჩემთსცა მოღუაწებაჲ მეოხე-
ბისა შენისაჲ ქრისტეს მიმართ! აწ შენ-მიერვე მოღებითა მადლისა
მის ქრისტესისაჲთა, მსგავსად ძალისა ჩემისა, გაქებდე შენ, შუე-
ნიერებითა შემკულო უფლისა მიერ!

გიხაროდენ, გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ!
რამეთუ შენ თუალით მხილველთა მათ და ჯელით მსახურთა წმიდა-
თა მოციქულთა ქრისტესთა უხილავად სარწმუნოებითა და სიმჯნითა
აღსარებითა ნეტარებაჲ მოიგე!

რამეთუ შენ მამამან ზეცათამან მხოლოდ-შობილისა ძისა თუსი-
სა მიერ გვრგვოსან გყო და სულისა წმიდისა მადლითა აღგავსო!
შენ ძემან მამისა მიერ შეგიწყნარა და სულმან წმიდამან გადი-
და!

შენ სულმან წმიდამან შეგიყუარა და მამისა და ძისა თანა ერთო-
ბითა თუსითა პატივ გცა და ღუაწლისა მძლედ გამოგაჩინა!

შენ ზედა განუკვრდა ანგელოზთა წესსა, რამეთუ ვითარცა უქო-
რცომან დაითმინე სიკუდილი ქრისტსთვის!

შენ ზედა მამათ-მთავარნი იხარებენ, რამეთუ ნეტარმან აბრა-
ჰამ თუსთა ნაშობთაგანი შევიწყნარა წიალთა თუსთა ქრისტსთვის,
რომელ-იგი კარავსა თუსსა შეიწყნარა და მისგან მრავალთა ნათესა-
ვთა გამოჩნდა მამად.

შენ ქრისტს მოწამეთა მათ ნაყოფ ექმენ და მოციქულთა მო-
წაფე!

შენ მოწამეთა მათ შორის ზეცისა მეუფისა მას მატთანსა სახე-
ლით დაიწერე და მარტულთა თანა გურგუნოსან იქმენ!

შენ აღმსარებელთა მათ თანა განეწესე და მართალთა თანა დი-
ღებულ ხარ!

შენთვის ფრიად დამიკვრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ
ეამსა ამას ოდენ მეფობისა ისმაიტელთა დიდებისასა შენ ნეფსით
სიმდაბლმ ქრისტსთვის აღირჩიე და მახულითა პყრობილი იგი
შჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე და ჯუარცუმულსა მას
თაყვანის ეც უფლად და ღმრთად!

ვინაჲ ანუ ვისგან ისწავე ქრისტსთვის ესოდენი ცნობაჲ? რო-
მელმან საკრეველებამან აღგიყვანა შენ დიდებასა მას სასუფეველი-
სასა?

შენ ჭეშმარიტად მარჯუენითსა მას ავაზაკსა ემსგავსე, რამეთუ
გაქენდა შენცა ერთი შენ თანა პყრობილთაგანი, ნაშობი ქრისტეანე-
თაჲ, რომელი განდრეკილ იყო ქრისტსგან და მიღვენებულ სჯულ-
სა უცხოსა, ხოლო კუალად ქრისტს აღსარებისათუხ შენ თანა გა-
ნიკითხოვოდა, არამედ საწყალობელსა მას კუალადცა უბრკუმა და და-
ეცა. რამეთუ შიშისაგან სიკუდილისა საწუთროჲ ესე შეიყუარა და
საუკუნოჲ იგი წარწყმიდა, მტერმან ბიროტმან აღიტაცა და ცხოვარი
იგი ქრისტსი ნამგლევე იქმნა. რამეთუ მწყემსსა მას კეთილსა განე-
შორა და არგანი იგი ქრისტს ძლიერებისაჲ განაგდო კელთაგან
თუსთა, ამისთვისცა იძლია და განვარდა სამწყსოდასაგან პირმეტყუელ-
თა მათ ცხოვართადასა. ხოლო შენ, სანატრელო მოწამეო, კუერთხითა
ბით, ჯუართა თუსითა, დაგიცვა ქრისტემან მსგავსად ძლიერისა მის
სარწმუნოებისა შენისა მისა მიმართ.

შენ ავაზაკსა მიუ ესწორე სარწმუნოებითა და სამოთხესა განე-
წესე!

შენ კარი იგი სამოთხისაა განაღვ ქრისტესითა და მკველთა მათ ქერობინთა ცეცხლის-მსგავსთა ვერ განგიკითხეს, ვითარმედ ვინ ხარ!

და რა-ღა-მე ვთქუა უფროდს, რამეთუ „უფალმან ივნო ჩუენთეს, უბრალომან ბრალეულთათეს“ დასთხია სისხლი თვისი უბიწოდ, ხოლო შენ გარდაიქადე თანანადები, რამეთუ შენცა დასთხიე სისხლს თვისი სიყუარულისა მისისათეს. ამისთვისცა ძლევისა გვრგვინითა შეგამკო შენ და სასუფეველსა მას მამისა მისისასა მკვდრად გამოგაჩინა!

შენ გამო, წმიდო მოწამეო, სიყუარული იგი ქრისტესი ჩუენ-დამი და სარწმუნოება ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა, რამეთუ აღვერიენით ერსა, უცხოთა შჯულითა, განდგომილსა ქრისტესგან, ნათესავსა საწუთრომსა ამის მოყუარესა, თესლსა ურწმუნო-სა მისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვკმონებდით გულის-თქემასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტესგან და დამეიწყებელნი საუკუნომსა ცხორებისანი. ხოლო აწ შენ მიერ მოგუეახლა ქრისტე და ჩუენ გულისხმა ვყავთ კუალად შიში მისი და სიყუარული მისი, და მადლსა მისსა ღირს ვიქმნენით და სიყუარულსა მისსა და წყალობასა დღითი-დღედ მრავალთა სასწაულთა და კურნებათა ჩუენ შორის გამოჩინებითა!

შენ უგუნურთა მათ შემწირველთა შენთა მახულითა და ცეცხლითა უმეტეს აღისა განგაბრწყინვეს; ვერ გულისხმა ყვეს უგულისხმობთა მათ სიტყუად იგი უფლისაა, ვითარმედ „იყოს ყოველმან, რომელმან მოგწყვდნეს თქუენ, ჰგონებდეს, ვითარმედ მსხუერპლი შეწირა ღმრთისა“. მ უგუნურება და უმეტეს უგუნურება იგი მათი, რამეთუ რომელ იგი პირველ არავინ გიცოდა, ვითარმედ ვინ ხარ, ანუ რომლისა ნათესავისაგან, ანუ რომლისა ერისაგან, ანუ რომლითა შჯულითა სცხომდებოდე, აწ ესერა უნებლებით წარმოგაჩინეს საცნაურად ქრისტეს აღმსარებელად, და მარტულად ყოველთა შეგისწავლეს.

შენ ყოველთა დაბადებულთა პატივ გცეს, რამეთუ ცაი მოწამე არს სიმართლესა შენსა უცხოთა ცეცხლისა გარდამოვლინებითა ად-

გილსა მას ზედა, რომელსა, ვითარცა კრავი უმანკომ, შეიწირე, შემწური ცეცხლითა.

შენ ქუეყანამან მსხვერპლად წმიდად და სათნოდ მიგიპყრა ღმერთსა, მას ზედა დაწუეითა პატიოსნისა გუამისა შენისაათა, რამეთუ გექმნა შენ, ვითარცა საკურთხეველ იგი აბელისი, ენუქისი, აბრაჰამისი და ელიამსი, რომელნი-იგი მრგულიად დასაწუველთა მათ ტარიგთა შესწირვიდეს ღმრთისა, და კუალად აღგილი იგი სამსხუერპლომსა შენისაა ემსგავსა ბერვარსა მას აპრონისსა და ზაქარიამსსა მღდელთასა, რამეთუ ნაკურცხალსა მას ზედა ცეცხლისასა აღვიღოდა, ვითარცა სულნელებამ საკუმეველთამ, სულნელებამ ქორცთა მაგათ შენთამ წინაშე უფლისა, წმიდასა მას წმიდათასა, ზეცისა საკურთხეველსა!

შენ მდინარეთა მაგათ შეგიწყნარეს, ვითარცა ქრისტეს მარტული, ხოლო ქრისტემან ღმერთმან სიღრმეთა მათ სიბნელს ზეცისა ნათლითა განაბრწყინვა.

შენ ნათესავთა შენთა უცხო და განგდებულ გყვეს, ხოლო ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგარჩია და მიგიპყრა თუსსა მას ეკლესიასა!

შენ ველური ეგე ზეთის ხილი, მოგიღო ქრისტემან და მტილსა მას შინა თუსსა სამკვდრებელსა ნაყოფად კურთხევისად დაგნერგა, და ნაყოფითა მით სარწმუნოებისა შენისაათა ახარა ეკლესიასა, რომელსა შინა იშუებენ ქრისტეს-მორწმუნენი და ჰნატრიან შენსა მას დიდებულებასა, შენსა მას მოღუაწებასა, შენსა მას სიმკნესა, შენსა მას მარტულობასა, შენსა მას გურგუნოსნებასა!

ვითარ-მე გაქებდე შენ, ღუაწლის-მძლეო წმიდაო მოწამეო? რამეთუ შენ, ახალი ეგე ქრისტეს მორწმუნს, მოძღუარ ჩუენდა იქმენ, სწავლულნი უფრომს გულისხმიერ ჰყვენ, შერყეულნი უფრომს განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ, წარმართნი წადიერ ჰყვენ ქრისტეს მონებად, საცხენებელი მარტულობისა შენისაა ჩუენ დაგუტევე, სახელისა შენისა მოთხრობად ყოველთა ქადაგ ვიქმენ-ნით!

აწ ვევედრებით ყოველნი შენსა ქრისტეს-მოყუარებასა, მეოხმცა ხარ წინაშე მაცხოვრისა ყოველთამსა ჩუენ ყოველთათუს, რომელნი შენ მიერ ითხოვენ წყალობასა ქრისტეს ღმრთისაგან, რომლისა არს

დიდება და პატივი და ძლიერება თანა-მამით და ყოვლად-წმიდით სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამჟამს!”

მოცემული ტექსტის თავში და ბოლოში — პირობითად, პროლოგისა და ეპილოგის სახით — ორი სემანტიკურად გამოყოფილი პასაჟია: ორი წინადადება, რომელთაც თავში უზით „აწ“ („აწ მოვედით, ქრისტესმორწმუნენო, და ვდღესასწაულობდეთ“... „აწ ვევედრებით“...); პირველში წმინდა მოწამე მესამე პირშია მოხსენიებული, მეორეში — მეორე პირში.

ტექსტის დანარჩენი, ძირითადი, ნაწილი მიმართვას მოწამისადმი (მეორე პირი). ამ ნაწილშია წარმოდგენილი მწყობრი რიტმული ორგანიზაცია, დამყარებული ზოგადი პარალელისმის პრინციპზე. გამეორებადი მონაკვეთები შემდეგ სურათს გვიჩვენებენ:

1) გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ...

2) გიხაროდენ, მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ...

3) ... შენ ... შენდა, ყოვლად-ქებულო ქრისტეს მოწამეო... რამეთუ... შენ (თამ)...

4) გიხაროდენ, გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ...

5) რამეთუ შენ...

6) შენ...

7) შენ...

8) შენ (ზედა)... რამეთუ...

9) შენ (ზედა)... რამეთუ...

10) შენ...

11) შენ...

12) შენ...

13) შენ (თუს)... წმიდაო მოწამეო, რამეთუ... შენ...

14) ... შენ...

15) შენ... რამეთუ... შენ (ცა)... რამეთუ... რამეთუ... შენ, სანატრელო მოწამეო...

16) შენ...

17) შენ...

18) შენ... რამეთუ... შენ (ცა)...

19) შენ (გამო), წმიდაო მოწამეო... რამეთუ...

20) შენ... რამეთუ...

21) შენ... რამეთუ...

22) შენ... რამეთუ... შენ... რამეთუ...

23) შენ... ხოლო ქრისტემან...

24) შენ... ხოლო ქრისტემან...

25) შენ... შენ(სა მას)... შენ(სა მას)... შენ(სა მას)... შენ(სა მას)...

შენ(სა მას...).

26) ... შენ, ღუაწლის-მძლეო წმიდაო მოწამეო? რამეთუ შენ...

პარალელური ელემენტების (მონაკვეთების) ეს სქემა თავისთავად ქმნის პირობას რიტმული ორგანიზაციისთვის, მაგრამ, თუ ამ მხრივ დატვირთვის ხარისხს გავითვალისწინებთ, იგი შემდეგ სქემაზე მოდის:

1) გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ...

2) გიხაროდენ, მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ...

3) ... შენ შენ (და)... მოწამეო... რამეთუ... შენ (თამ)...

4) გიხაროდენ, გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ...

5) რამეთუ შენ...

6) შენ...

7) შენ...

8) შენ(ზედა)...

9) შენ(ზედა)...

10) შენ...

11) შენ...

12) შენ...

13) შენ(თუს)...

14) ... შენ...

15) შენ... (რამეთუ... შენ... რამეთუ... სანატრელო მოწამეო...),

16) შენ...

17) შენ...

18) ... შენ... რამეთუ...

19) შენ (გამო)...

- 20) შენ...
- 21) შენ...
- 22) შენ...
- 23) შენ...
- 24) შენ...
- 25) შენ...
- 26) ... შენ, ღვაწლის-მძლეო წმიდაო მოწამეო? რამეთუ შენ..

შენიშენის სახით: ამ, ძირითადი, სქემის გამეორებად სტრუქტურებში რამდენიმე ადგილზე — მე-8, მე-9, მე-20 და ა. შ მონაკვეთებში — „შენ“-ს გვერდით, მარჯვნიდან, „რამეთუ“-ს არ გათვალისწინება ემყარება იმ გარემოებას, რომ ტექსტის შესაბამის ფრაგმენტში, რომლის ნაწილიცაა ეს მონაკვეთები, ყოველთვის არის წარმოდგენილი „შენ“ — ეს ფრაგმენტი ამ ელემენტის გამეორებაზეა აგებული.

ამრიგად, სქემის სინონიმური ელემენტებია: „გიხაროდენ... უფლისა მიერ“, „მოწამეო“, „რამეთუ“, „შენ“. ტექსტში ხმარები სიხშირის მიხედვით შემდეგი რიგია:

- I. შენ.
- II. რამეთუ.
- III. მოწამეო.
- IV. გიხაროდენ... უფლისა მიერ.

ტექსტში მათი გაშლა იძლევა მონაკვეთებს, რომელთა გამოვლენად ბირთვის შემდეგი კომბინაციები წარმოადგენენ:

- I. შენ.
- II. რამეთუ შენ.
- III. ... მოწამეო ... რამეთუ შენ.
- IV. გიხაროდენ... მოწამეო... რამეთუ შენ.

საბოლოოდ, პარალელიზმების ამსახველი ეს სია არ წარმოადგენს უბრალოდ გამეორებად სიტყვებს თუ ფრაზებს. ეს სია და მის

გამლა — სიის წევრების რეალზაცია ტექსტში სინონიმური აგებუ-
ლებების სახით — გვაძლევს გარკვეულ და კანონზომიერ წესრიგს, სამ-
ელემენტთანს.

წესრიგის პირველ ელემენტს ქმნის სიხშირე. როგორც ზემოთ
ვინახეთ, გამეორებადობის ხარისხის მიხედვით, ანუ შერჩევაში, შემ-
დეგი იერარქიაა: ყველაზე ხშირად მეორდება და ამავე დროს ყველა
პარალელურ აგებულებაში არის წარმოდგენილი „შენ“, აღვნიშნოთ:
იგი როგორც a; შემდეგ მოდის „რამეთუ“ — b; შემდეგ მოდის „მო-
წამეო“ — c; ბოლო ადგილზეა „გიხაროდენ.. უფლისა მიერ“ — d.

წესრიგის მეორე ელემენტს ქმნის გაშლის შინაგანი წესი, რო-
მელიც მოცემული გამეორებადი სეგმენტების რეალიზებას, ანუ ტე-
ქსტში მონაწილეობას, განსაზღვრავს. კერძოდ: a, როგორც სიხშირის
იერარქიის პირველი იარუსის წარმომადგენელი, ქმნის გამეორებად
მონაკვეთებს ცალკეც, სხვა სეგმენტების მონაწილეობის გარეშე; b,
როგორც მეორე იარუსის წევრი, მაშინ, როდესაც იგი წარმოდგენი-
ლია ტექსტში, აუცილებლად შეკავშირებულია a-სთან, როგორც
უფრო მაღალი იერარქიული დონის წარმომადგენელთან; c-ს გვერ-
დით, როდესაც იგი წარმოდგენილია ტექსტში, აუცილებლადაა მო-
ცემული პირველი ორი, უფრო მაღალი, დონის წარმომადგენელი —
a და b; d-ს გვერდით, როდესაც იგი წარმოდგენილია ტექსტში, აუ-
ცილებლადაა მოცემული პირველი სამი, უფრო მაღალი დონის, წევ-
რი — a, b, c.

წესრიგის მესამე ელემენტს ქმნის დისტრიბუციის წესი, რომელიც
სეგმენტთა პოზიციურ რიგს განსაზღვრავს: ერთსა და იმავე მონაკვე-
თში გამეორებად სეგმენტთა ერთად წარმოდგენისას კომბინაციაში
მათი განლაგების რიგი სიხშირეში მათი იერარქიული ადგილის შებ-
რუნებულია (ამასთან, პირველი დონის წარმომადგენელი არა მხოლოდ
კომბინაციაში შედის, არამედ შეუძლია ცალკე იყოს), რაც შემდეგ
კომბინაციებს გვაძლევს: a, ba, cba, dcba და გამორიცხავს ისეთ
კომბინაციებს, როგორცაა ab, abc, abcd, badc და ა. შ.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა მწყობრი ორგანიზაცია, რომლის შექ-
მნაში მონაწილეობენ: ა) გამეორებად ელემენტთა სია; ბ) მათი სი-
ნონიმური გამოყენების სიხშირე; გ) მათგან აგებული გამეორებადი
მონაკვეთების (კომბინაციების) სიგრძე; დ) გამეორებად მონაკვეთებ-

ში მათი მონაწილეობის წესი; ე) გამეორებად მონაკვეთებში მათი განლაგების წესი. რაც გვაძლევს ოთხ; უმოკლესიდან დაწყებულ და ყველაზე გრძელით დამთავრებულ, გამეორებად მონაკვეთს, რომლებიც ჯამში ტექსტში 23-ჯერაა წარმოდგენილი და რიტმულად მათ ირგვლივაა გაშლილი ტექსტის დანარჩენი ნაწილი:

I. a.

II. ba.

III. cba.

IV. dcba.

მაშასადამე, საქმე გვაქვს რიტმულ ორგანიზებაზე ორიენტირებულ სტრუქტურასთან, რომელსაც აქვს ელემენტთა სია (პარადიგმატიკა) და გაშლის, რეალიზების წესები (სინტაგმატიკა). გარდა ამისა — რაც განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, — მასში მოქმედებს გარკვეულ საერთო შინაგან მახასიათებელზე დამყარებული ზოგადი პრინციპი. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც სიხშირის კლუბადობის მიხედვით წარმოდგენილი ოთხი ელემენტი, როგორც შემადგენელი, ქმნის ოთხ რიტმულ კომბინაციას — ერთწევრიანს, ორწევრიანს, სამწევრიანს, ოთხწევრიანს, ნახსენები ზოგადი პრინციპი ასეთია: კომბინაციათა კონკრეტული სტრუქტურები მიემართება სიხშირეში ელემენტთა რიგს. მოცემული პრინციპის რეალიზაცია გვაძლევს შემდეგს: ა) ყველაზე მოკლე (ერთწევრიანი) კომბინაცია გამოყენებაში ყველაზე უფრო ხშირი ელემენტისგან შედგება, ყველაზე გრძელი (ოთხწევრიანი) კომბინაცია — ოთხივე ელემენტისგან, მათ შორის განლაგებული კომბინაციები შედგება, ერთ შემთხვევაში (ოთხწევრიანი) — ორი, მეორე შემთხვევაში (სამწევრიანი) — სამი ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებული ელემენტისგან; ბ) კომბინაციებში ელემენტთა პოზიციური რიგი სიხშირის იერარქიაში მათი ადგილის უკუპროპორციულია.

გამეორებად ელემენტებს (სიტყვებს) ამ შემთხვევაში პირობითად შეიძლება ვუწოდოთ შემადგენლები, ხოლო მათ მიერ აგებულ კომბინაციებს — ერთეულები. საბოლოოდ, სახეზეა არა ზოგადად რიტმული ფუნქციის, არამედ კონკრეტულად სალექსო (იმ თვალსაზ-

რისით, რომ იგი განსხვავებულია პროზაულისგან) რიტმული ფუნქციის მქონე სტრუქტურა. იგი ემყარება ფუნქციონალურ ელემენტებს, რომლებიც ქმნიან ფუნქციონალურ მონაკვეთებს; თხზულებაში ამ რეგულარულად გამეორებადი ერთეულების ირგვლივ გაშლილია მთელი ტექსტი. რიტმული ორგანიზაციის ეს სტრუქტურა ნაწარმოების მთლიანი მხატვრული სტრუქტურის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია და, ამგვარად, ნაწარმოები არის არა მხოლოდ ზოგადად პოეტური ტექსტი, არამედ კონკრეტულად რიტმული ტექსტის გარკვეული სახეობა.

3. 1. 3. ამგვარი მწყობრი ორგანიზაცია სხვა ტექსტებშიც გვაქვს. მაგალითისთვის — იოანე მტბევარის (X ს.) „გალობანი წმიდისა ბასილისანი“ (ტექსტი იხ. — პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, თბ. 1913):

„საუნჯესა ღმრთისა სიბრძნისასა და სიმდიდრესა მადლისასა და ეკლესიათა სამეუფოსა გვრგვნსა, მღვდელთ-მოძღუარსა ბასილის, პატივ-ესცემდეთ მორწმუნენო, და გალობით ღირსად ვადიდებდეთ!

სიღრმესა სიბრძნისა შენისასა უხილაისა ფარავოსნი შეჰმუსრენ ბრძოლანი, ვითარცა ეტლნი, ღირსო! ზოლო ერსა ქრისტესსა წარუძედუ გზასა წრფელსა მართლმადიდებლობისასა, ღირსო!

გარდაიცვალე მიცვალებითა ამიერ სოფლით ღმრთისა თანა და მოქალაქობაჲ მოგეცა ცათა შინა. საიდუმლოდ გამოშჩნდი, მეორეო ერუქ ღირსო, და სათნო ყვაჲ ღმერთისა, ბასილი!

ვითარცა კიდობანი, ეკლესიაჲ წყლით-რღუნასა უღმრთოთასა შეუცთომელითა სარწმუნოვებითა შეჰმზადე და შეჰკრიბენ მორწმუნენი მას შინა და ასწაჲე ქებაჲ სამებისაჲ!

ვითარცა რაჲ უბიწომან აბელ შეწირა უფლისა მსხუერპლი ცხოველი, ეგრეთჲე შენ, ნეტარო, შესწირე თავი შენი მსხუერპლად უსიხლოდ ქრისტესა, ბასილი, და აწ, სულითა ცხოველი, იხარებ წინაშე მისსა!

ვითარცა რაჲ მოსე აჰყედ, ღირსო, მთასა მას ღმრთის-შეტყუელებისასა და მსგავსად ბრწყინვალისა პირისა მისისა, განათლდა სული შენი და ბნელსა მას შინა წვალებისასა ჰბრწყინეჲდი ნათლითა საცნაურითა.

ვითარცა რაჲ ელია, აღეგზენ ცეცხლითა საღმრთოისა შურისაჲ-

თა და შესწუენ წვალეებისა იგი ეკალნი, ღმერთ-შემოსილო, და ნა-
ყოფი საღმრთოა ალაყუაველე ცუართა მოძღურებისა შენისადათა!

ვითარცა რაჲ პეტრე, იწოდე ბრძენო, საფუძველ ეკლესიათა;
ბასილი! და პირ იქმენ ქრისტესა, ვითარცა ქადაგი წარმართთაჲ პა-
ველე, და მსგავსად იოვანე ღმრთის-მეტყუელისა, გეუწყნეს საიდუმ-
ლონი დაფარულნი!

სულიერად ტაძრად ღმრთისა გამოშნდი მამაო ღირსო, და აღე-
შსნე საფუძველსა ზედა მოციქულთასა ბასილი, ვითარცა ოქროდათა
და ქვითა პატიოსანათა განპბრწყინდი ყოვლად ნეტარო!

სამწყომსა პირმეტყუელისა მწყემს იქმენ, ნეტარო, და გამოპ-
ზარდენ მეცნიერებით და მწვალებელნი იგი, ვითარცა მკეცნი, განაბ-
ნიენ კუერთხითა ენისა შენისადათა, ღირსო, ამისთვის გადიდებთ შენ!

ხატ სიწმიდისა გამოშნდი ახალი იოსებ, ღირსო, საზრდელი
უკუდავებისაჲ მიეც მორწმუნეთა, მართალი სარწმუნოებაჲ, რომ-
ლითაცა გამოპზარდენ წმიდათა სულნი სწავლითა შენითა!

სიტყუათა შენთა ელვანი გამოუჩნდეს, ღმერთ-შემოსილო, სო-
ფელსა და სულისა ბრწყინვალეზანი ნისლსა ცოდვისასა განიოტებ-
დეს!

კიდობნად შჯულისად გიცნობთ, რამეთუ სიტყუანი საღმრთონი
გქონან შენ, ვითარცა ფიცარნი ქვისანი, საესენი სიბრძნითა სული-
ერთითა!

ლაუმკედრენ მორწმუნეთა მეცნიერებისა სწავლანი ბასილი, და
მოსრენ ვნებათა საცთურნი სიტყუთა შენითა, ღმრთივ განბრძნობილო!

ეკლესიაჲ ქრისტესი განაშუენე სწავლითა მით შენითა საღმრ-
თოდათა სახედ სამკაულისა სამეუფომსა, ნეტარო ბასილი, და იქმენ
ჭეშმარიტად მკედრ ზეცისა სასუფეველისა და მოდასე მოციქულთა
თანა!

სათნოვებისა ხატად ჭეშმარიტად გამოშნდი ბასილი, სიბრძ-
ნითა მით სარწმუნოებისადათა და საქმითა მოლუაწებისადათა საღმ-
რთოდათა, რომლითაცა განპბრწყინდი, ვითარცა მთიები სამყაროსა და
ჰნათობ სოფელსა!

ენითა მით საღმრთოდათა, ვითარცა შურდულითა შეთხზულითა,
ნეტარო, ქრისტეს სახარებითა დაამხუ არიოზის განდგომილებაჲ,

ვითარცა დავით გოლიათი, და ჰქადაგე სამებად ბუნებით სწორი, გასუყოფელად!

განამრავლეს ღელეთა სიტყვერი იფქლი სარწმუნოებისა თესეთა სიტყუათა შენთაითა, ღმერთ-შემოსილო, და აქებენ ღირსად ღლესასწაულსა შენსა!

სამებისა ვედრებითა ბასილი, ცეცხლი სარწმუნოებისა ალაგზენ, ვითარცა ელია, და მღღელნი სიცრუვისანი განჰსდევნენ, ვითარცა ქურუმნი ბაალისნი!

ტყუილისა სიმწარენი, ვითარცა უშვილონი წყალნი, ღირსო, მადლისა მარილითა დაატკბენ და ჰქადაგე მართლ-აღსაარებად სამებისა წმიდისა!

შენ, რომელმან გამოაჩინე ღირსი ბასილი მწყემსად და განმანათლებლად მორწმუნეთა, კურთხეულ ხარ!

შენ, რომელმანცა განახუენ ზეცისა საიდუმლონი და წყარო მადლისა აღმოაცენე სწავლითა, ბრძენო, ყოველნი მორწმუნენი გადიდებთ!

არაა ჰმსახურე ხატსა გმობისასა და სიქადული მძლავრთა შეურაცხ ჰყავ, ბასილი ღირსო, და მემობართა მათ დაუყვენ პირნი, ღმერთ-შემოსილო!

რომელმანცა ენითა უძღურითა, ვითარცა-ღა ლამპრითა ცეცხლისაითა, შეწუნა ეკალნი გმობისანი სულისა წმიდისა მადლითა, მღღელთ-მოძღუარსა ბასილის ყოველნი ვაკურთხევთ!

რომელმანცა მორწმუნეთა მიჰმადლა ყურღოვებად მართლ-მადიდებლობისა სწავლითა საღმრთოთა და უღმრთოებისა ქარნი დააყუდნა, ყოველნი ვაკურთხევთ სოფლისა მნათობსა, დიდსა ბასილის!

რომელმანცა მიანიჭა კლატენი სასუფეველისა ცათაისანი ბასილის, ვითარცა ეკლესიათა თავსა და ბრძენთა მთავარსა, ქრისტესა ვაკურთხევდეთ უკუნისამდე!

რომელმანცა მადლითა სულისაითა ძედ ქუხილის უწოდა და მეგობრად თუსა და თანამოდასედ მოციქულთა ნეტარსა ბასილის, ქრისტესა ვაკურთხევთ უკუნისამდე!

რტოდ ეენაქისა საღმრთოისა გამოშინდი შენ, ბასილი, სათნო-

ვებისა ტევანნი გამოიხუენ, მაძაო, და ღუნოა გულისხმის ყოფისაჲ. ასუ სამწყსოთა ქრისტესთა, ყოვლად ნეტარო!

სახილველთა ზეცისათა აღიტაცე, ბასილი, და სამოთხისაჲ იხილე შეუნიერებაჲ, ღირსო, და ჭურად სიწმიდისად გამოშინდი, ვითარცა ქადაგი წარმართთაჲ პავლე!

სიტყუაჲ შენი უზეშთაჲს მზის-თუალისა განბრწყინდა, რაჟამს განაწესე, ღირსო, კანონი მონაზონთაჲ, განსდევნენ ღრუბელნი ცოდვისანი და გუახარე კუალად ცხოვრებაჲ ცრემლითა!“

აშკარად გამოიყოფა ორი სიტყუა — „ბასილი“, „ღირსი“ (ნახმარი სხვადასხვანაირად — სხვადასხვა ბრუნვაში, ცალკე, ერთ სინტაგმად, ერთ ფრაზაში), რომელთა პარალელურ გამოყენებაზეა აგებული ტექსტის რიტმული სურათი. მაგრამ ეს, ერთი შეხედვით მარტივი, სქემა საკმაოდ რთულ შინაგან რიტმულ სტრუქტურად რეალიზდება.

რიტმული ორგანიზაციის თვალსაზრისით, ტექსტში შეიძლება გამოიყოს პირველი მონაკვეთი, რომელშიც ეს ორი სიტყუა დასახელებულია.

შემდეგ მოდის ძირითადი ტექსტა, რომელშიც მოცემული ორ ელემენტი უმთავრესად ვოკატივად არის გაფორმებული; ტექსტს აქვს ორი ჩართული ნაწილი, ერთი — „ვითარცა“ სიტყვის, მეორე — „რომელმან“ სიტყვის, ირგვლივ გაწყობილი; გარდა ამისა, გვაქვს მონაკვეთი, სადაც „ბასილი“ (ერთხელ — „ღირსთან“ ერთად) არ არის წოდებითში; და ბოლოს, გამეორებადი წოდებითის პოზიციაში გვაქვს სხვა სიტყვებიც („ღმერთ-შემოსილო“, „ბრძენო“, „ნეტარო“, „ღმრთივ განბრძნობილო“, „მაძაო“):

- 1) ... ბასილის ... ღირსად ...
- 2) ... ღირსო ... ღირსო
- 3) ... ღირსო ... ბასილი
- 4) ვითარცა ...
- 5) ვითარცა ... ნეტარო ... ბასილი ...
- 6) ვითარცა ... ღირსო
- 7) ვითარცა ... ღმერთ-შემოსილო ...
- 8) ვითარცა ... ბრძენო ... ბასილი ...

- 9) ... ღირსო ... ბასილი ...
- 10) ... ნეტარო ... ღირსო ...
- 11) ... ღირსო ...
- 12) ... ღმერთ-შემოსილო ...
- 13) —
- 14) ... ბასილი ... ღმრთივ განბრძნობილო ...
- 15) ... ნეტარო ბასილი ...
- 16) ... ბასილი ...
- 17) ... ნეტარო ...
- 18) ... ღმერთ-შემოსილო ...
- 19) ... ბასილი ...
- 20) ... ღირსო ...
- 21) ... რომელმან ... ღირსი ბასილი ...
- 22) ... რომელმანცა ... ბრძენო ...
- 23) ... ბასილი ღირსო ... ღმერთ-შემოსილო ...
- 24) ... რომელმანცა ... ბასილის ...
- 25) ... რომელმანცა ... ბასილის ...
- 26) ... რომელმანცა ... ბასილის ...
- 27) ... რომელმანცა ... ბასილის ...
- 28) ... ბასილი ... მამაო ... ნეტარო ...
- 29) ... ბასილი ... ღირსო ...
- 30) ... ღირსო ...

„ვითარცა“ და „რომელმან (რომელმანცა)“ გამეორებათა სისტემის ჩართულ ელემენტებად უნდა მივიჩნიოთ. ძირითადი სისტემა ორ გამეორებად ერთეულს შეიცავს: გვაქვს არა მხოლოდ სიტყვებას (სხვადასხვა ფორმით — სხვადასხვა ბრუნვაში — ნახმარი „ბასილი“ და „ღირსი“), როგორც ელემენტების, პარალელიზმი, გამოხატული პატერიალურ შესაბამისობებში, არამედ გრამატიკული ფორმის (ვოკატივი). როგორც ელემენტის, პარალელიზმიც, გამოხატული რელაციურ შესაბამისობებში (გრამატიკული კატეგორიის აქტუალიზაციის შესახებ პოეზიაში იხ. R. Jakobson, Selected Writings, III, Mouton Publishers, The Hague—Paris—New York, p. 63-86), რაც შემდეგ სქემას გვაძლევს:

- 1) ... ბასილის ... ღირსად ...
- 2) ... ღირსო ... ღირსო
- 3) ... ღირსო ... ბასილი
- 4) —
- 5) ... ნეტარო ... ბასილი ...
- 6) ... ღირსო ...
- 7) ... ღმერთ-შემოსილო ...
- 8) ... ბრძენო ... ბასილი ...
- 9) ... ღირსო ... ბასილი ...
- 10) ... ნეტარო ... ღირსო ...
- 11) ... ღირსო ...
- 12) ... ღმერთ-შემოსილო ...
- 13) —
- 14) ... ბასილი ... ღმრთივ განბრძნობილო ...
- 15) ... ნეტარო ბასილი ...
- 16) ... ბასილი ...
- 17) ... ნეტარო ...
- 18) ... ღმერთ-შემოსილო ...
- 19) ... ბასილი ...
- 20) ... ღირსო ...
- 21) ... ღირსი ბასილი ...
- 22) ... ბრძენო ...
- 23) ... ბასილი ღირსო ... ღმერთ-შემოსილო ...
- 24) ... ბასილის ...
- 25) ... ბასილის ...
- 26) ... ბასილის ...
- 27) ... ბასილის ...
- 28) ... ბასილი ... მამაო ... ნეტარო ...
- 29) ... ბასილი ... ღირსო
- 30) ... ღირსო ...

მთავარი გამეორებადი სიტყვებია „ბასილი“ და „ღირსი“ (შემთხვევითი არაა, რომ ავტორი ამ სიტყვების ან ცალკე, ან ერთი ფრაზის შემადგენლობაში ხმარების შემდეგ 21-ე და 23-ე მონაკვეთებში

ნათ ხაზგასმულად ერთად, ერთ სინტაგმად — „ღირსი ბასილი“, „ბასილი ღირსო“ — წარმოვიდგენს). მაგრამ, როგორც ითქვა, საქმე გვაქვს პარალელური ელემენტების, როგორც რიტმული მონაკვეთების შემადგენლების, ორგანიზაციასთან და იგი მარტივი არაა. მას ორი წყარო აქვს: ა) სიტყვები („ღირსი“, „ბასილი“), რომლებიც, წოდებითის გარდა, სხვა ბრუნვებშიც იხმარება, — იქმნება სიტყვათა, როგორც რიტმული ელემენტების, პარალელიზმი; ბ) ფორმა (ეოკატივი), რომლის მატერიალიზებაში ორი ძირითადი სიტყვის გარდა, სხვა სიტყვებიც მონაწილეობენ, — იქმნება გრამატიკული ფორმის, როგორც რიტმული ელემენტის, პარალელიზმი.

ამრიგად, გვაქვს ორი გამეორებადი ელემენტი: ერთი — ეოკატივი, აღენიშნოთ იგი V-თი, და მეორე — ორი სიტყვა „ბასილი“ და „ღირსი“, აღენიშნოთ ისინი, შესაბამისად, როგორც a და b. მაგრამ, გარდა ამისა, გვაქვს ამ ელემენტების გაფორმება ანუ რეალიზაცია ტექსტში და მასში მონაწილეობენ პირველ შემთხვევაში — სხვა სიტყვებიც, მეორე შემთხვევაში — სხვა ფორმებიც (ბრუნვები). შესაბამისად ამისა, წოდებითი ბრუნვის პარალელურ გამოყენებაში a სიტყვის მონაწილეობა აღენიშნოთ როგორც v(a), b სიტყვისა — როგორც v(b), ყველა სხვა სიტყვისა — როგორც v(a, b); ხოლო მრცემული ორი გამეორებადი სიტყვის პარალელიზმში წოდებითის მონაწილეობა აღენიშნოთ როგორც a(v) და b(v), ყველა სხვა ფორმისა — როგორც a(v) და b(v).

რიტმულ ორგანიზაციაში მონაწილე გამეორებად ელემენტთა სისტემა რეალურად შემდეგი წევრებისაგან შედგება:

- I: 1. v(a)
 2. v(b)
 3. v(a, b)
- II: 4. a(v)
 5. b(v)
 6. a(v), b(v).

ელემენტთა ეს სისტემა სტრუქტურის ერთი ნაწილია. რიტმულად ორგანიზებული სტრუქტურა ჩვენ გვაქვს იმიტომ, რომ არსე-

ბობს სტრუქტურის მეორე ნაწილი — მოცემულ ელემენტთა რეალიზების წესები. საბოლოოდ, ჩვენს წინაშეა რთული რიტმული ორგანიზაცია, რომელშიც გვაქვს: 1) გამეორებადი ელემენტები: $v(a)$, $v(b)$, $v(\bar{a}, \bar{b})$, $a(v)$, $b(v)$, $a(\bar{v})$, $b(\bar{v})$; და რეალიზების წესები: 2) მათი გამოყენების წესი: გამოიყენებიან ან ცალკე, ან ერთ მონაკვეთში ერთად, ან ერთ სინტაგმად; 3) სიტყვების (ორი სიტყვის) პარალელუზმის წესი: იხმარება სხვადასხვა ბრუნვები ისე, რომ ერთი ძირითადია; 4) ფორმის (ვოკატივი) პარალელუზმის წესი: იხმარება სხვადასხვა სიტყვები ისე, რომ ორი ძირითადია.

და ბოლოს, აქაც გვაქვს ის, რასაც ჩვენ ზოგადი შინაგანი პრინციპი ვუწოდებთ; იგი ელემენტების ორ სერიას, დამატებით ელემენტებს და რეალიზების წესებს ურთიერთმიმართულს ქმნის. მოცემული რიტმული სტრუქტურის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ საქმე გვაქვს არა უბრალოდ გამეორებასთან ერთი და იმავე სიტყვებისა (ორი სიტყვა) ერთსა და იმავე ფორმაში (წოდებითში), არამედ ერთდროულად ორივე ელემენტის თავისთავადი პარალელუზმი, გვაქვს ერთდროულად ლექსიკური პარალელუზმიც და გრამატიკული პარალელუზმიც. საფუძველს ამ შემთხვევაში ის ქმნის, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, სტრუქტურის რეალიზებაში წარმოდგენილი არიან არა მარტო ეს მოცემული ფორმა და არა მარტო ეს ორი მოცემული სიტყვა, არამედ დამატებითი ელემენტები (თუ უფრო ზუსტნი ვიქნებით, გამეორებადი სემანტების აგებაში მონაწილენი) — დამატებითი სიტყვები (მოცემული გამეორებადი ფორმისთვის) და დამატებითი ბრუნვები (მოცემული გამეორებადი სიტყვებისთვის). შედეგად, ყალიბდება ბუნებრივი ვითარება, როდესაც ფორმის ფორმად მარკირებისთვის რამდენიმე სიტყვა (ამ შემთხვევაში — ორზე მეტი) გვჭირდება, ხოლო სიტყვის სიტყვად მარკირებისთვის — რამდენიმე ფორმა (ამ შემთხვევაში — ერთზე მეტი); სხვადასხვა სიტყვა ფორმას გვაძლევს, სხვადასხვა ფორმა — სიტყვას. საბოლოოდ, მოცემული ორი სიტყვა ქმნის თავის პარალელუზმს და მონაწილეობს მეორე (ფორმის) პარალელუზმის შექმნაში, ასევე — მოცემული ფორმა ქმნის თავის პარალელუზმს და მონაწილეობს პირველ (სიტყვების) პარალელუზმში. ამავე დროს, ორი სიტყვის პარალელუზმის გაფორმებაში სხვა ფორმებიც მონაწილეობენ, ხოლო მოცემული ფორმის პარალელუზმის

გაფორმებაში — სხვა სიტყვებიც. ეს: ა) მარკირებულს ხდის ფორმის თავისთავად პარალელიზმს, როგორც ასეთს, და სიტყვების თავისთავად პარალელიზმს, როგორც ასეთს; ბ) გვაძლევს პარალელური სტრუქტურების ერთდროულობას. ამგვარად, გვაქვს ზემოთ ნახსენები ზოგადი შინაგანი პრინციპი, რომელიც, როგორც ითქვა, ურთიერთ-მიმართულს ქმნის ელემენტებს (ძირითადად და დამატებითს) და მათი რეალიზაციის წესებს. პრინციპი ასე ფორმულირდება: ერთი მხრივ, ელემენტები V და a, b მონაწილეობენ ერთიმეორის პარალელური სტრუქტურების შექმნაში და, გარდა ამისა, ქმნიან საკუთარ პარალელიზმებსაც, მეორე მხრივ, თითოეული მათგანის პარალელიზმის შექმნაში მონაწილეობენ სხვა, დამატებითი, ელემენტები (ფორმები და სიტყვები), მაგრამ ისინი საკუთარ პარალელურ სტრუქტურებს არ ქმნიან.

როგორც ვხედავთ, რიტმული სტრუქტურა არსებობს და იგი მართლაც რთულია, ამავე დროს — მწყობრი და ფუნქციონალური. მოცემული ტექსტი რიტმული, პოეტური ტექსტია.

3.1.4. წარმოდგენილი ანალიზიდან რამდენიმე, ჩვენთვის მნიშვნელოვანი, დასკვნა გამოიტანება.

თეორიის (მეთოდოლოგიის) პოზიციებიდან: იმ ტიპის რიტმული სტრუქტურის, როგორც ასეთის, განსაზღვრისათვის, რომლის მაგალითებიც ზემოთ იყო განხილული, შემდეგი წესები უნდა ჩამოყალიბდეს: I. იგი ვლინდება მხოლოდ კონკრეტულად მოცემულ ტექსტში და განეკუთვნება მხოლოდ მოცემულ, კონკრეტულ, ტექსტს — ეს არის მთავარი, სპეციფიკური ნიშანი ამგვარი რიტმული ორგანიზაციისა. II. გარდა ამისა, მისი არსებობისათვის სამი ნიშნის ქონაა საჭირო: ა) ელემენტთა სისტემა (სია), ბ) რეალიზაციის სინტაგმატური წესები, გ) სტრუქტურის ზოგადი შინაგანი პრინციპი; შეიძლება ასეთი ფორმულირებაც: პირველი ორი ნიშანი აუცილებელია, მაგრამ მესამის გარეშე რიტმულ პოეტურ სტრუქტურაზე ლაპარაკი, მკაცრი მიდგომით, არ შეიძლება.

3.1.5. რაც შეეხება დასკვნებს იმ მსჯელობისათვის, რომელსაც ამჯერად ეძღვნება ჩვენი ნაშრომი, აქ შემდეგი უნდა ითქვას. საეკლესიო მწერლობის განხილული კორპუსი შეიცავს ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც არა მარტო პოეტურ ტექსტებს წარმოადგენენ, არა-

მედ რიტმულ (რიტმიზებულ) ტექსტებსაც. მეორე მხრივ — ისინი (უფრო ფართოდ კი — პრაქტიკულად ყველაფერი, რაც იამბიკოს ფორმით არ არის შესრულებული), როგორი მწყობრი შინაგანი სტრუქტურებიც არ უნდა აღმოვაჩინოთ მათში, იმ ტიპის რიტმულ ორგანიზაციას შეიცავენ, რომელსაც, როგორც ითქვა, პრინციპულად არა აქვს არავითარი კავშირი ლექსთწყობის სისტემასთან; მათ, კერძოდ, არ გააჩნიათ და არც შეიძლება ჰქონდეთ რეპროდუქციისუნარიობის თვისება, რაც ლექსთწყობის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია (იხ. ა. სილაგაძე, ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ, გვ. 9).

ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის მნიშვნელობა სწორედ იმ ფაქტს აქვს, რომ ასეთი ტიპის ნიმუშებში გამოვლენილი შინაგანი რიტმული პრინციპი არის მხოლოდ მოცემული ნაწარმოების პრინციპი, ეს არ არის სისტემის პრინციპი, არ არის პრინციპი რიტმული სისტემისა, რომლის რეალიზაციის ნიმუშსაც მოცემული ნაწარმოები წარმოადგენს, — ასეთი სისტემა არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ამგვარ ტექსტებში ქართული ლექსთწყობის საწყისი საფეხურების ძებნა გამოირიცხება არა იმის გამო, რომ ისინი არ შეესაბამებიან ქართული ლექსთწყობის კანონებს, არამედ იმის გამო, რომ ისინი პრინციპულად არ შეესაბამებიან საერთოდ ლექსთწყობის, როგორც სისტემის, კანონებს. ამავე დროს, მათში არ შეიძლება აღმოჩნდეს არც ელემენტები, პრინციპულად დამახასიათებელი ლექსთწყობისათვის.

კიდევ უფრო კონკრეტული დასკვნა ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის: ამგვარ ფორმებში არ შეიძლება აღმოჩნდეს არც კვალი ლექსთწყობის სისტემის პარალელური, სინქრონიზული ფუნქციონირებისა, ან პარალელური დროში წინგასწრებული არსებობისა, — ისევე როგორც არც დადასტურება მისი არარსებობისა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ისეთ, თეორიულად შესაძლებელ, ვარიანტს, როდესაც ტექსტში ციტატის სახით, ან რაღაც სხვა საჭიროებისათვის, წარმოდგენილია ლექსთწყობის სისტემის რეალიზაციის ამსახველი ფრაგმენტი, აღებული სხვა ტექსტიდან; მაგრამ ეს სპეციფიკური შემთხვევაა, დაკავშირებული არა საკუთრივ ფორმასთან, არამედ საკუთრივ ტექსტთან).

2. სტროფული ლექსი

3.2.1. ამ პირობითი სახელწოდების ქვეშ იგულისხმება ის, რასაც პ. ინგოროყვა სხვანაირად უწოდებდა „სილაბურ უკვეთელ ლექსს“ („ძველქართულ თავისუფალ ლექსს“, „საგალობელთა მარცვლედს“); მასში იგი „საგალობლის კლასიკურ ფორმას“ ხედავდა. „სტროფულ-ტაეპობრივი“ სქემა ამ ფორმებში ემყარება იმ მოვლენას, რომ გამოვრებად სტრუქტურას წარმოადგენს არა სტრიქონი, არამედ უფრო დიდი დონის ერთეული — სტროფი: მასში სტრიქონებს („ტაეპებს“) სხვადასხვა სიგრძე აქვთ, მაგრამ ერთნაირია მათი რაოდენობა და განლაგება, ერთნაირია განლაგებაში ერთსა და იმავე ადგილზე მყოფ სტრიქონებში მარცვალთა რაოდენობა. მაგალითად, ასე იქმნება გამოვრებადი მონაკვეთი 7-8-14-8-8-8, რომელიც დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ პირველ გალობაში ოთხჯერ მეორდება:

რო.მლისაცა წინაშე (სტრიქონში — 7 მარცვალი)
ქედ-დადრეკილ არს ყოველი, (8)
მუჭლი ყოველი მოდრეკების და ენაჲ ყოველი (14)
შენსა ჰმობს აღსარებასა, (8)
მეცა, ზენაო სატყუაო, (8)
აღმსარებელსა მომხედენ (8)

მომდევნო „სტროფი“ („ანტისტროფი“):

ხატსა თავსა მამსგავსე (7)
და საკრველად გრძნობადისა (8)
და გონიერისა მყოფობისა დამაწესე, (14)
შენებრ არსთა სიტყუებისა, (8)
ჩემ შორისცა შეკრებითა, (8)
ხოლო მე უმადლო გექმენ. (8)

და ა. შ. — სულ ოთხჯერ.

მეორე გალობაში გამოვრებადია მონაკვეთი 8-8-9-11-8-8-11, მესამეში — 8-8-12-13-12, მეოთხეში — 5-11-9-12-10, მეხუთეში —

6-9-4-18-11-14, მეექვსეში — 5-15-12-7-6-7, მეშვიდეში — 12-8-11-10-9-10-11-11, მერვეში — 16-14-6-7-7-11.

იოანე მინჩხის ერთ-ერთი საგალობელი („მწყემსო კეთილო, საღმრთოთა სამწყსოთაო“, ტექსტი იხ. — პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია) შეიცავს შემდეგი სახის გამეორებად ერთეულს: 5-7-5-11-11-6-5-5; მისივე სხვა ჰიმნი („რაჟამს მოხუედი ზეცით ქუყენად“) აგებულია 5-10-5-11-5-8-10 მონაკვეთის გამეორებაზე; მიქაელ მოდრეკილს ნახმარი აქვს 7-12-7-12-7-12-7-7-11 განლაგების გამეორება („აღამის თხემსა ზედა“) და ა. შ.

3.2.2. პ. ინგოროყვამ ის მნიშვნელოვანი ფაქტიც დაადგინა, რომ გარკვეული „საზომის“ სქემას გვაძლევენ „ძლისპირები“. ვთქვათ, ძლისპირი „სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს“ შეიცავს შემდეგი სტრიქონებისაგან აგებულ გამეორებად ოდენობას: 7-მარცვლელი პლუს 7-მარცვლელი პლუს 7-მარცვლელი პლუს 11-მარცვლელი პლუს 7-მარცვლელი პლუს 7-მარცვლელი პლუს 5-მარცვლელი, და ყველა (სხვადასხვა ავტორის) ჰიმნოგრაფიული ტექსტი, რომელსაც აქვს ზედწერილი „სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს“ (ან: „სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს“ ამათ ზედა“), მისდევს ზუსტად ამ სქემას. მაგალითად, მე-9-10 სს. ანონიმი ავტორის „გალობანი ნათელთანის“ მეხუთე გალობა — „ტყავისა სამოსელსა“ (ტექსტი იხ. — პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 617):

ტყავისა სამოსელსა	(7)
განიძარცუავს დღეს ადამ	(7)
იორდანესა შინა	(7)
და შეიმოსს ნათლისა სამოსელსა	(11)
საღმრთოდითა მით მადლითა	(7)
სულისაგან და წყლისა	(7)
განახლებულსა.	(5)

ასეთივეა იოანე მტბევეარის „გალობანი შობისანის“ მეხუთე გალობა — „ესერა თუსთა თანა“ და სხვ.

ძლისპირი „ვითარცა რაჲ სიონს“ და შესაბამისი „საზომი“ გულისხმობს 11 (4+7)-8-8-7-7-13-13 (6+7) ფორმულას; ძლისპირი:

რი „გიზაროდენ ქალწულთა სიქადულო“ გვაძლევს 11-7-7-10 (7+3) „საზომს“; ძლისპირი „შენ დიდებულო ქალწულო“ 8-7-7-8-10 (7+3) სქემა; „ღალად-ვეყე დღეს“ არის 8(4+4)-8-12(5+7)-12(5+7); „იხარებს ეკლესიამ“: 7-11-7-10; „არავინ არს წმიდაჲ შენებრ“: 8-7-7-7-11(4+7); „ქუეყანასა მწყურნებსა“: 12-16-10-13; „უგალობდეთ უფალსა, რომელმან განიყვანა“: 7-11-7-11; „ძლიერებითა შენითა“: 8-8-11-11-9-9); „არავინ არის წმიდაჲ“; 11(6+5)-7-14(7+7)-11(6+5); „მემსმა უფალო განგებაჲ“: 8-12-9-11; „რომელმან დაკრთუნ“: 5-9-9-11(4+7)-5-7-9-15(6+9); „ცაწყურდეს ზესენელს“: 11-11-12(7+5)-8-12(7+5)-7-8; „უგალობდეთ უფალსა“: 7-7-7; „კლდესა მას ზედა“: 10-10 და ა. შ.

3.2.3. ქართული სასულიერო პოეზიის ეს ფორმა აშკარად სპეციფიკურია — ის არ გვიჩვენებს რიტმულ სტრუქტურებს.

კერძოდ, მარტივი ანალიზი ცხადყოფს შემდეგ ორ ფაქტს.

1) არ ჩანს არავითარი სტრუქტურული წესი სტრიქონთა გაერთიანებისა ერთი, უფრო დიდი დონის, მონაკვეთის ფარგლებში. რამდენიმე მაგალითი:

მაღლი ბაგეთა შენთა, მირონის სახედ (12)

აღმომცენარე, დააწუთე ჩემ ზედა, ტკბილო მამაო, (16)

რათა განბრძნობილმან გონებითა (10)

გერგენი ქებისაჲ ღმრთიე-ბრწყინვალე შევითხზნა (13)

ორნატთა შინა საღმრთოთა მოძღურებათა (12)

აღმოსცენდა შენ, ნერგი ეგე წმიდაჲ, ღმრთიე-დანერგული, (16)

და სულისა ნეკტართა მირწყული (10)

ნამუშაჲკევად ღმრთისა გამოსჩნდი ვიორგი (13)

როგორც ვხედავთ, ამ ნაწყვეტში, თითოეულ გამეორებად მონაკვეთში, ერთმანეთის გვერდით მეზობლობენ სხვადასხვა სიგრძის — 12-, 16-, 10-, და 13-მარცვლიანი — სტრიქონები. სხვა ტექსტის სტროფში გვაქვს, მაგალითად, 13-, 10-, 8-, 9- და 7-მარცვლედების თანამეზობლობა:

ეტყოდა რაჲ ჰაბო ნათესავთა მათ თუსთა:	(13)
კეთილ არს დატევებამ ბნელისამ	(10)
და მოწრაფებამ ნათელსა	(8)
ღმრთისა მეცნიერებისასა,	(9)
მონებად სამებისა.	(7)

კიდევ ერთი მაგალითი, რომელშიც ასევე სხვადასხვა სიგრძის – 8-, 11- და 9-მარცვლიანი – სტრიქონებია გაერთიანებული:

არამ დაჰკსნდი შენ, წმიდაო,	(8)
ღუაწლთა მოთმინებისაგან,	(8)
არცა მიენდვე განზრახვასა შენსა,	(11)
დაღაცათუ უფსკრულ იყავ სიბრნისამ,	(11)
არამედ შეუდეგ ნებასა	(9)
შენ მამათა სულიერთასა.	(9)

და ა. შ.

ამ და სხვა ნებისმიერ ნიმუშში არც პოლიმეტრია შეიძლება ვეძიოთ, რადგანაც ქართული პოლიმეტრიული ლექსის სტრუქტურა გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება, კერძოდ – სხვადასხვა სი-
 ლაბური სიგრძის სტრიქონების გაერთიანებისას ერთმანეთთან მეზო-
 ბლობენ ისეთი სტრიქონები (სტრუქტურულად ახლოს მდგომნი),
 რომლებიც ერთი და იმავე პარადიგმის წევრები არიან, რაც კონკრე-
 ტულად იმაში გამოიხატება, რომ მათ (მიუხედავად სიგრძეების გან-
 სხვავებისა) ერთი და იგივე სალექსო გასაყარი აქვთ (პირველი სეგ-
 მენტის შემდეგ); ამიტომ სტროფის შემადგენლობაში ერთმანეთის
 გვერდით შეიძლება იყოს, მაგალითად, 4+X პარადიგმის წარმომად-
 გენლები: 4+4, 4+3, 4+2, 4+1, 4+0, მაგრამ არ შეიძლება ერ-
 თმანეთის გვერდით, მაგალითად, 4+4 და 5+5. ნიმუში მარკირებუ-
 ლი სტრუქტურისა:

შორეული ქალის ეშხი	(4+4)
მოვა... მაგრამ როდის?	(4+2)

ან:

ფერი მზესა და ქარს მოჰყავს	(4+4)
გაზაფხულის სადარი,	(4+3)
შენ კი ლოყას	(4+0)
გადაგკეროდა ზამთარი.	(4+3)

ან:

სიკედლის პირად ოდეს ვიქნები,	(5+5)
მე ჩემს დემონებს	(5+0)
ესთხოვ, რომ დახურონ ყველა წიგნები,	(5+5)
სადაც არა ერთს გაკიხსენებ ნანგრევ შენობას	(5+4+5)

2) არ ჩანს არავითარი სტრუქტურული წესი სტრიქონის აგებისა. ქართულში სალექსო სტრიქონის სტრუქტურული ფორმა არ გამოიხატება მარცვალთა აბსოლუტური რაოდენობით: რომელიმე 10-მარცვლიანი სტრიქონი, ეს არის ან 5+5, ან 4+4+2, ან 3+3+3+1, და ყოველი ეს აგებულება ტიპოლოგიურად სხვადასხვა სტრიქონია (რომლებიც ერთმანეთის გვერდით არ გვხვდება); ასევე, რომელიმე 9-მარცვლიანი სტრიქონი, ეს არის ან 5+4, ან 3+3+3, ან 4+4+1 და ა. შ. ამ თვალსაზრისით, რომ განვიხილოთ სასულიერო პოეზიის ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშები, პირველში 10-მარცვლიანი მონაკვეთი სხვადასხვა „აგებულებას“ გვიჩვენებს: 6+4 და 7+3 (ან 4+6), მესამეში 9-მარცვლელი ორი სახისაა: 6+3 (ან 3+6, ან 3+3+3) და 4+5 და ა. შ.

3.2.4. რა შეიძლება ითქვას ამ მოვლენის შესახებ?

ზოგადად:

1) პ. ინგოროყვა აბსოლუტურად სწორია, როდესაც ე. წ. მეტრული პუნქტუაციის ფაქტორზე დაყრდნობით გამოავლენს ქართულ სასულიერო პოეზიაში ამ ფორმალურ ფაქტს (მდრ. ლ. ხაჩიძე, ილიანე მინჩხის პოეზია, თბ. 1987, გვ. 46). მაგრამ საბოლოოდ არ არის ზუსტი, როდესაც ხმარობს გამოთქმას „საზომი“ და ხედავს ლექსთწყობის ერთ-ერთ სახეობას, — ისევე, როგორც არ არის სწორი, როდესაც მიიჩნევს, რომ ძველ ქართულ პოეზიაში არსებულა არა ერთი, არამედ სამი სახის ლექსთწყობა (იხ. პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 551).

2) კ. კეკელიძე არ არის სწორი, როდესაც უარყოფს ე. წ. მეტრული პუნქტუაციის არსებობას და მის ფორმალურ დანიშნულებას, მაგრამ,

როგორც ჩანს, აქვს საფუძველი არ დააკავშიროს ეს ნიშნები რეალურ პროსოდიულ ფუნქციასთან და, საბოლოოდ, არ დაინახოს ლექსი (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 590-591; აგრეთვე — ახალი შრომა ძველი ქართული პოეზიის შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI, გვ. 447-461).

კონკრეტულად:

1) ქართული ჰიმნოგრაფიის სტროფული ფორმის გენეზისი ბიზანტიურ საგალობლებს უნდა დაუკავშიროთ, როგორც ზოგადად მიუთითებდა პ. ინგოროყვა (საინტერესოა, რომ მის მიერ მონახულია „მეტრული“ პარალელი ბიზანტიურ ნიმუშებში, კერძოდ, გრიგოლ ხანძთელის „გალობანი შობისანისთვის“, რომელიც თარგმნილია კოზმან იერუსალიმელიდან, — იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 826-827). უფრო კონკრეტულად უნდა ითქვას, რომ დაუკავშიროთ უნდა ბიზანტიურ ე. წ. რიტმულ პოეზიას, რომელიც, საგალობლების ფორმის სახით, წარმოადგენს სტროფულ მეტრიკას (ე. წ. ანტიფონური სილაბიკა), დამყარებულს არა სტრიქონთა, არამედ სტროფთა გამეორებადობაზე (პირველი სტროფი — ირმოსი, დანარჩენი — ტროპარები): გამეორებადი ერთეულების — „სტროფების“ — სტრუქტურული იდენტურობა ამ დროს ეფუძნება მათ შიგნით სხვადასხვა სიგრძის სტრიქონების ერთსა და იმავე განლაგებას (ბიზანტიური ფორმის შესახებ იხ. — ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. III, ბიზანტიური პერიოდის ლიტერატურა, თბ. 1973, გვ. 131-135). ბიზანტიურ ძირებთან კავშირში კონკრეტულად უნდა ვილაპარაკოთ VI-VII საუკუნეების პერიოდის კონტაკიონების (მათ შორის, პოპულარული აკათისტოს) და VIII-X საუკუნეების პერიოდის კანონების ფორმაზე, — მიუხედავად გარკვეული განსხვავებისა (კერძოდ, შესრულებამაც, როდესაც კონტაკიონები ცხრა კანონიკურ გალობას შორის განთავსდებოდა, ხოლო კანონები — ბოლოში), ეს ორი ფორმა პრინციპულად, სტრუქტურულად, ერთნაირია. რაც შეეხება ბიზანტიურიდან ამგვარი ათვისების ფაქტს, იგი ცნობილია არა მარტო ქართული სინამდვილისათვის, არამედ სხვაგანაც, მაგალითად, ძველსლავურ ლიტურგიკულ ტექსტებში, სადაც სწორედ ეს ფორმაა გადმოტანილი (მსგავსი ძველსლავური ადრეული ერთი ნიმუში რ. იაკობსონმა აღადგინა — R. Jakobson, The Slavic Response

to Byzantine Poetry. Actes 12em Congress internationale d'études Byzantines, Belgrad, 1961, v. 3, p. 249-267).

2) მაგრამ ეს ფორმა არ უნდა ჩავთვალოთ ქართულში პირდაპირი იმიტირების ნიმუშად (ასეთი ნიმუში სხვაა — იხ. ქვემოთ). ბიზანტიურ ეტალონს ამ შემთხვევაში ბიძგის მიმცემის, „კატალიზატორის“ როლი უნდა მიეკუთვნოს; იგულისხმება, რომ დასაწყისში ეს ეტალონი მოქმედებდა, მაგრამ შემდგომი განვითარება ქართული სინამდვილის ასახვაა. ქართულის მთავარი სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ფორმა, განსხვავებით ბერძნულისგან, არ იყო მხოლოდ ჰანგური, საგალობო შესრულებისთვის შექმნილი, არამედ კითხვისთვისაც; იგულისხმება, რომ ნაწილი ტექსტებისა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, განვითარების გარკვეული ეტაპიდან მთლიანად ფორმა კითხვისთვის იყო განკუთვნილი. ქართულ ნიადაგზე განვითარების მთავარი ნიშანი სწორედ აქ უნდა ვეძიოთ: კითხვისთვის (ლექსისთვის) განკუთვნილება განვითარებაში საკუთრივ სალექსო სტრუქტურებზე ორიენტირებას გულისხმობდა. ამისი შედეგია ორი საგულისხმო მომენტი: ა) რეფრენული სტრუქტურის ნაკლები განვითარებულობა ბერძნულთან შედარებით; ბ) რაც მთავარია, ქართულში კონკრეტულ ფორმათა, „საზომთა“, ფანტასტიური რაოდენობა (უფრო ზუსტად, ეს მეორე მომენტი ქართული ფორმის ჩამოყალიბება-განვითარების განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარეობს, რის შესახებაც — ოდნავ ქვემოთ) — 1200-ზე მეტი (პ. ინგოროყვას დათვლით, გალობათა ძლისპირნი გვაძლევენ 893 ფორმას, სტიქარონთა ძლისპირნი — 324-ს).

ამრიგად, ქართული საგალობლების სტროფული სახეობის არსი განსასაზღვრია არა გალობის, არამედ ლექსის პარამეტრებში. მეორე მხრივ, მისი ფორმები არ თავსდება ქართული ლექსთწყობის სისტემაში — ჩვენს წინაშეა ამ სისტემის გარეთ არსებული მოვლენა. მაგრამ მხოლოდ ეს კვალიფიკაცია ვერ განსაზღვრავს სრულად ამ მოვლენას. საქმე ისაა, რომ, როგორც ითქვა, ეს ფორმა საკუთარ კანონზომიერებებს ვერ ამჟღავნებს:

ა. ერთი შეხედვით, გარეგნულად, ლექსთწყობისათვის დამახასიათებელი ელემენტები არსებობს, არსებობს რაღაც ზოგადი წესიც (სტრიქონების განლაგება სტროფებში). მაგრამ — მხოლოდ ერთი

შეხედვით. სინამდვილეში ეს წესიც და მოცემული სქემებიც არ ქმნიან სტრუქტურებს, ხოლო მათი ერთობლიობა არ ქმნის სისტემას: არ გამოიყვანება სტრუქტურული წესები, რომლებითაც აიგება შესაბამისი ერთეულის, კერძოდ — სტრიქონის, სტრუქტურები; არ გამოიყვანება დისტრიბუციული წესები, რომლებითაც უკავშირდებიან ერთმანეთს მონაკვეთები, კერძოდ — სტრიქონები; არ გამოიყვანება შეზღუდვის წესები, რომელთა მეშვეობითაც რეგლამენტირდება დაკავშირება და განისაზღვრება ერთმანეთთან შეუთავსებელი სტრუქტურები; საბოლოოდ, არ არსებობს სტროფის — გამოორებადი „ერთეულის“ — სტრუქტურის განმსაზღვრელი წესი; არ არსებობს უნივერსალური პრინციპი, რომელიც ზოგადად საერთოა ყველა იერარქიული დონის ერთეულისათვის; არ არსებობს ასეთი დონეები და არ არსებობს მათი სისტემა; არ არსებობს არც ამ სისტემის წარმომქმნელი ფაქტორი. საბოლოოდ, არ არსებობს არაფერი, რადგანაც ჩვენ არ ვიცით და არც შეიძლება ვიცოდეთ, რა როგორ აიგება, რა რას შეუერთდება და ა. შ. ფაქტიურად, ნებისმიერად დასაშვებია ყველაფერი (აქედან — „საზომთა“ ფანტასტიური რაოდენობა).

ბ. არის მხოლოდ სქემა. მაგრამ იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს აგებისა და შეერთების სტრუქტურული წესები, იგი არ ემყარება აღქმადობის პრინციპს. შესაბამისად, რეპროდუქციისუნარიანობა არის გარეგნული, მექანიკური ხასიათისა (გავიხსენოთ ძლისპირები), რადგანაც წინასწარ მოცემული სქემის მიხედვით გამოორება შეიძლება, მაგრამ იგი არ არის აღქმადი, ამოსაცნობი მოცემული სალექსო-რიტმული მეტყველების მატარებელთათვის; უფრო მეტიც, ჩვენთვის თვით სქემის არსებობა მხოლოდ მეცნიერული აღმოჩენის შედეგია. საბოლოოდ, ვიღებთ პარადოქსულ სიტუაციას: სქემა არსებობს, მაგრამ იგი არაფერს წარმოადგენს, გარდა წინასწარ მოცემული სქემისა; სქემის მიხედვით შეიძლება ტექსტის გაკეთება, მაგრამ ეს არ არის ფორმა, რადგანაც არ არის პერცეპტული როგორც ლექსი: იგი არ აღიქმება — შეიძლება მხოლოდ მისი „აღმოჩენა“, რასაც ან მეცნიერული კვლევა სჭირდება, ან სქემის წინასწარი ცოდნა, მაგრამ აღქმა, როგორც ასეთი, ორსავე შემთხვევაში გამორიცხულია.

გ. საბოლოოდ, არ გვაქვს სისტემა და არ არის ლექსთწყობა (შემთხვევითი არ არის, რომ ქართული ლექსთწყობის ჩვენთვის აღქმად

სისტემაში ადგილი ვერ პოვა ვერც ამ ფორმამ და ვერც მისმა რაიმე ელემენტმა).

3.2.5. რით შეიძლება აიხსნას ეს მოვლენა (მათ შორის, კერძოდ, სხვადასხვანაირი — საბოლოოდ გაურკვეველი — სამეცნიერო დამოკიდებულება მის მიმართ)?

ახსნა საძიებელია არა უბრალოდ იმ ფაქტში, რომ ე. წ. „საგალობელთა მარცვლედს“ არაფერი აქვს საერთო ქართულ ლექსთწყობასთან, არამედ იმაში, რომ არა აქვს პრინციპულად და შეგნებულად. ის ვარემოება, რომ „მარცვლედის“ ფორმები არ აღიქმება არც ქართული ლექსთწყობის რეპრეზენტაციად, არც საერთოდ ლექსად, უნდა ვივარაუდოთ, ნიშნავს ერთადერთს: ჩვენს წინაშეა კვალი პროცესისა, როდესაც: 1) პრინციპულად, შეგნებულად უარიყოფა ქართული ლექსთწყობა, უკვე არსებული და დამკვიდრებული; 2) მის საპირისპიროდ განხორციელდება ცდა, შეიქმნას სხვა ფორმა; 3) ეს სხვა ფორმა გენეზისში უცხო, მაგრამ ქრისტიანულ, გარემოს უკავშირდება, — იგულისხმება, რომ ის ტრადიციული ფორმა, რომელსაც ახალი უპირისპირდება, არ არის გენეტიკურად ამგვარი გარემოს ნაყოფი. ის ფაქტი, რომ ცდა არ გვაძლევს ლექსთწყობას და მოცემული ფორმა არც აღიქმება და არც მკვიდრდება, პრინციპული შედეგია სწორედ მოქმედი ლექსთწყობის უარყოფისა: ენას აქვს ერთადერთი შესაძლებლობა, მოცემულ პროსოდიულ ელემენტზე ააგოს თავისი ლექსთწყობა, ხოლო ლექსთწყობის სისტემას აქვს ერთადერთი შესაძლებლობა მოცემული განმსაზღვრელი პრინციპისა და თავისი იმანენტური კანონზომიერებების მიხედვით ააგოს დონეების იერარქია, ერთეულთა სტრუქტურული წესები, შეთავსებადობის ფორმულები და ა. შ. ქართული ლექსთწყობის უარყოფით მიიღება არა უბრალოდ არაქართული ლექსთწყობა, არამედ არალექსთწყობა, რადგანაც, ერთი მხრივ, არ არსებობს აბსტრაგირებული ლექსთწყობა — არსებობს მხოლოდ სპეციფიზირებული სისტემა, ხოლო, მეორე მხრივ, მოცემულენოვანი ლექსთწყობისათვის არ არსებობს ენის ერთზე მეტი, სხვადასხვა, პროსოდიული სისტემა და არც ერთზე მეტა, ტოპოლოგიურად სხვადასხვა, ვერსიფიკაციული კანონზომიერებები შესაბამისი სხვადასხვა სტრუქტურული წესების კორპუსებით.

როგორც ჩანს, მხოლოდ ამგვარად შეიძლება გაეცეს პასუხი ორ

კითხვას: 1. რატომ შეიქმნა ე. წ. „საგალობელთა მარცვლედის“ ფორმა; 2. რატომ იყო ეს ცდა საბოლოოდ მარცხიანი — რატომ ვერ შეიქმნა „ლექსთწყობის სხვა სახეობა“ და რატომ არ გვაქვს აღექვატურად აღქმადი ლექსი.

მაგრამ, ყველა შემთხვევაში: 1. ეს მოვლენა ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ფაქტია და იგი დარჩება ფაქტად; 2. მიუხედავად იმისა, რომ ლექსთწყობის შექმნა ან რადიკალური ტრანსფორმაცია ვერ განხორციელდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ რაღაც ფორმალური ნოვაციის მცდელობას არ ჰქონდა ადგილი; 3. ყველაფერი თქმული მხოლოდ ვერსიფიკაციის სფეროს განეკუთვნება და არაფერს აკლებს შესაბამის თხზულებებს მხატვრულობისა და პოეტურობის თვალსაზრისით (პ. ინგოროყვას რომ არ აღმოეჩინა რაღაც ფორმალური — მართალია, მექანიკური — სქემები, ვერსიფიკაციულ მხარეზე არც იქნებოდა მსჯელობა და დავა, იქნებოდა მსჯელობა მხოლოდ მხატვრული ღირებულების პოზიციებიდან).

3. 2. 6. იმ მსჯელობასათვის, რომელსაც ამჯერად ეძღვნება ჩვენი ნაშრომი, დასკვნა ასეთია: ქართული ლექსთწყობის საწყისი საფეხურების ძებნა ამგვარ ფორმებში გამოირიცხება იმის გამო, რომ ისინი პრინციპულად არ შეესაბამებიან ქართული ლექსთწყობის კანონებს (ხოლო, საერთოდ, როგორც ითქვა, ლექსთწყობას, როგორც ასეთს, არ ქმნიან). მაგრამ, ამასთან, უნდა ვაკეთდეს კიდევ ერთი, ჩვენთვის ნიშანდობლივი, დასკვნაც: სწორედ ის ფაქტი, რომ მოცემულ ფორმებში, ერთი მხრივ, არ არის რეალიზებული ქართული ლექსთწყობის კანონები, მეორე მხრივ, შექმნილია ხელოვნური სქემები, რომელთა რიტმულობა არ აღიქმება და არც რაიმე ფრაგმენტის სახით მკვიდრდება ქართული ლექსთწყობის განვითარების პროცესში. ნიშნავს შემდეგს: ეს არის რეაქცია ქართული ლექსთწყობის ფუნქციონირებაზე, პრინციპული ცდა მისი უარყოფისა, ე. ი. ტრადიციული, ფეხმოკიდებული, ქართული ლექსთწყობის ახლით შეცვლისა (რაც, როგორც ითქვა, ვგაძლევს არალექსთწყობას; შემთხვევითი არ არის, რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ქართული ლექსთწყობის მოქმედების კვალი, მისი ზოგიერთი ელემენტი, მხოლოდ იამბიკოებში ჩანს, რომელთაც, საერთოდ, ლექსთწყობის სისჩემასთან კავშირი აქვთ).

3. 2. 7. რაც შეეხება „აბუკურას“ („წამებად წმიდისა მიქაელისი, რომელი იყო ლაერასა დიდსა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა“). რომლის ფორმას პ. ინგოროყვა განხილული ფორმის ქვესახეობად მიიჩნევს, წინასწარი სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ჩანს, იგი არ წარმოადგენს რიტმული სტრუქტურების შემცველ ლექსს, — ეს არის გართმული პროზა. მოცემული თეზისი დასაზუსტებელია და შესამოწმებელი. ყოველ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ, ტრადიციული თვალსაზრისით, თხზულება ნათარგმნია არაბულიდან (P. Peeters, *La Passion de S. Michael le Sabaitte, Analecta Bollandiana*, t. 48, 1930, p. 65; ეს დებულება გადასულია ზოგადი ხასიათის ნაშრომებში: G. Graf, *Geschichte der christlichen Arabischen Literatur, Zweiter Band*, 1947, S. 24; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 191; თუმცა საკითხი სადისკუსიოა, რადგანაც ამ თვალსაზრისში ეჭვია შეტანილი, იხ. ლ. დათიაშვილი, „აბუკურას“ ორიგინალობის საკითხისათვის, მაცნე, № 6, 1967, გვ. 169-194; გასათვალისწინებელია აქვე, რომ საბოლოოდ ავტორი მაინც არ გამოირიცხავეს ამ სიუჟეტის მქონე ნაწარმოების არსებობას რომელიმე სხვა ენაზე — არაბულზე ან ბერძნულზე), ხოლო არაბულში, გარკვეული ჟანრის თხზულებებში, გამოყენებულია სწორედ გართმული ფორმა (ე.წ. საჯ'). ქართულ ტექსტში გართმევა ძირითადად ემყარება პარალელურ სინტაქსურ კონსტრუქციებს, როდესაც დაბოლოებებში წარმოდგენილია ერთი და იგივე გრამატიკული ფორმები, ერთი და იგივე ფლექსია და ა. შ. ამგვარი რითმები (მაგ., „ჰასაკითა — ჟამითა — ხატითა — პირითა — მარხვითა — მღვიძარებითა“, „სოფლისა — უფლისა — ცოდვისა — მაღლისა“, „ჩემდა იყო — კეთილი გიყო. — შენდა ვიყო — მრავალთასა იყო“, „საქებელ — საქიქებელ — საშეებელ — საენებელ — საწადელ — საძაგელ“) კმნიან რიტმიზაციის გარკვეულ ეფექტს, რადგანაც სტრიქონთა მარჯვენა, უკიდურესად ბოლო, მონაკვეთებში წარმოშობენ ერთნაირ, ან დაახლოებით ერთნაირ, სილაბურ სეგმენტებს.

3. იამბიკო

3.3.1. კორპუსის მესამე, დიდ, ნაწილს წარმოადგენს იამბიკოს ფორმით შესრულებული თხზულებები.

ამგვარი ტექსტები აგრეთვე არ ქმნიან იმ ევლს, რომელშიც შეიძლება ქართული ლექსთწყობის საწყისი მდგომარეობის ძიება, ოღონდ განსხვავებული მიზეზის გამო: იამბიკოს ფორმას ლექსთწყობისთვის დამახასიათებელი თვისებები, კერძოდ — რეპროდუქციისუნარიანობა, აქვს, მაგრამ იამბიკო ქართული ლექსთწყობის სისტემას არ შეესაბამება, იგი ამ სისტემის წევრი არ არის. უფრო მეტის თქმაც შეიძლება: 1) მოცემული სახით წარმოდგენილი, იგარიტმული ორგანიზაციის იმ პრინციპებს შეესაბამება, რომლებსაც ლექსთწყობა, როგორც ასეთი, ქმნის, მაგრამ ასეთი სახით წარმოდგენილიც, იგი 2) არა მარტო ქართული ლექსთწყობის სისტემის წევრი არ არის, არამედ 3) არცერთი სისტემისა, რადგანაც ქართულში რეალიზებული, იგი არის ფრაგმენტი ქართულისთვის უცნობი რაღაც სისტემისა.

მეორე მხრივ, იამბიკოს ფორმის და მისი განვითარების ანალიზი იძლევა საყურადღებო მასალას ჩვენი პრობლემის გარკვევისათვის. კერძოდ — ჩანს, ერთი მხრივ, მისი ფორმისა და გამოყენების სპეციფიკურობა, მეორე მხრივ, გარკვეული, ჩვენთვის ნიშანდობლივი, ტრანსფორმაციები, მიმანიშნებელი იმაზე, რომ ეს ფორმა, რომელმაც ადგილი ვერ პოვა ქართული ლექსთწყობის სისტემაში (რეალიზებულში „საერო“ პოეზიაში), ჯერ ერთი, ხმარებისას აგრეთვე დაუპირისპირდა საკუთრივ ქართულ ფორმას, მეორეც, მისი განვითარების პროცესში ყოველთვის იგრძნობა ბუნებრივი, ქართული, ლექსთწყობის პარალელური ფუნქციონირების კვალი, უფრო მეტიც — იამბიკო ვერ ასცდა მის გარკვეულ გავლენას.

3.3.2. იამბიკო, როგორც ქართული ჰიმნოგრაფიის ფორმა, საეკლესიო პოეზიაში დაახლოებით მე-8 ს-იდან ვითარდება (იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტ. ისტორია, ტ. 1, გვ. 592; პ. ბერაძე, ქართული იამბიკოს შესახებ, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. IV, № 6, 1943, გვ. 584-592 და სხვ.). იგი არაქართული წარმოშობისაა, მისი წყაროა ბიზანტიური ჰიმნოგრაფია,

ბერძნული ენის ფონოლოგიურ სისტემაში მესამე საუკუნისთვის განხორციელებულმა პრინციპულმა ცვლილებებმა ბიძგი მისცეს შესაბამის პროცესს ლექსთწყობაში, რომელიც დასრულდა მეექვსე საუკუნისთვის ახალი, სილაბური ტიპის (აქცენტური მახასიათებლებით), სისტემის ჩამოყალიბებით. კონკრეტული სალექსო გარდაქმნებისათვის ბაზას წარმოადგენდა ძველი, კვანტიტატიური, მეტრიკა. თუმცა ბევრი რამ იქიდან, ბუნებრივია. დაიკარგა, მაგალითად, ვერ დამკვიდრდა მოდერნიზებული ჰექსამეტრი. სამაგიეროდ, ზოგიერთმა სხვა ფორმამ ადვილად იპოვა ადგილი, მაგალითად, ტროქეულმა ტეტრამეტრმა მოგვცა 8+7 სქემის 15-მარცვლელი (ე. წ. „პოლიტიკური ლექსი“), ხოლო იამბურმა ტრიმეტრმა — 12-მარცვლელი ცეზურით 5 ან 7 მარცვლის შემდეგ.

ქართული იამბიკო წარმოადგენს იმიტაციას ბიზანტიური 12-მარცვლელისა (მისი სტრუქტურის შესახებ იხ. P. Maas, *Der byzantinische Zwölfsilber*. Byzantinische Zeitschrift, Zwölfter Band, Leipzig 1903, S.278-323). ეს არის 5-სტრიქონიანი ფორმა, სტრიქონებში 12 მარცვლით, ცეზურა 5 ან 7 მარცვლის შემდეგაა. (ამგვარი იმიტაციის შემთხვევები არ არის მხოლოდ ქართული სინამდვილის კუთვნილება; მაგალითად, 5+7 ტიპის სილაბური 12-მარცვლელი — ასევე ბიზანტიური ნიმუშის მიხედვით — ძველსლავურ ლიტურგიკაშიც გვხვდება).

გარდა სტრუქტურის აღწერისა, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფორმა კვალიფიცირებულიცაა, კერძოდ, აღნიშნულია მისი აშკარა სპეციფიკურობა, კონკრეტულად — შეუსაბამობა ქართული ლექსთწყობის პრინციპებთან. მ. კელენჯერიძე აღნიშნავდა „იამბიკო ძველი ფორმის ლექსია და ჩვენს ენაში ყველაზე მეტად უმსგავსოა“ (მ. კელენჯერიძე, ლექსთწყობა ანუ წყობილსიტყვაობა, წიგნში: ქართული პოეტიკის ქრესტომათია, გ. მიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ. 1954, გვ. 18), ხოლო კირიონი და გრ. ყიფშიძე იამბიკოს სქემად აჩვენებენ 7+7-ს, ე. ი. 14-მარცვლიან სტრიქონს, ცეზურით შუაზე გაყოფილს (არქიმანდრიტი კირიონი და გრ. ყიფშიძე, სიტყვიერების თეორია, იქვე, გვ. 162) — მიუხედავად იმისა, რომ დებულება არ შეესაბამება რეალობას, სიმპტომატურია ის, რომ

ავტორები ფაქტიურად შეეცადნენ, იამბიკოს ფორმა ხელოვნურად მიესადაგებინათ ქართულა ლექსთწყობის პრინციპებისათვის (7+7 სტრიქონი ძველ იამბიკოებში მოინახება ხოლმე).

3.3.3. მაგრამ ჩვენი მსჯელობებისათვის მთავარია იამბიკოს განვითარებისა და ფუნქციონირების ძველი სურათი.

თუ კონკრეტულად ავიღებთ იამბიკოს ნიმუშებს, ვნახავთ, რომ მისი, სახედობრ — მისი სტრიქონის, სტრუქტურა ხშირად ამორფულია: არც სტრიქონის სიგრძეა დაცული (12-მარცვლიანობა), არც ცეზურის ერთი ან ორი მუდმივი ადგილი. ასეა ძველ, კლასიკურ ნიმუშებშიც. მაგალითისთვის, იოანე მტბეპარის „შობისათეს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და კსენება იოსეფ მართლისა“, რამდენიმე ნაწყვეტი:

იხარებდით ყოველი დაბადებული,	$7 + 5 = 12$
რამეთუ ღმერთი გამოჩნდა დღეს ჯორცითა,	$5 + 7 = 12$
და ბეთლემს შინა შობილი, ქუაბსა შინა	$5 + 7 = 12$
შეხუეული, აცხოვნებს ადამიანთა	$7 + 5 = 12$
და გამოუბრწყინებებს ნათელსა საღმრთოსა.	$6 + 6 = 12$

ეჰა დიდებულო განსაკრვებელი	$6 + 6 = 12$
ახლისა ამის შეერთებისა ჩუენდა,	$5 + 7 = 12$
რამეთუ რომელი-იგი უხილავ არს,	$8 + 4 = 12$
სრულიად შეიმოსს კაცებასა ჩუენსა	$6 + 6 = 12$
და ჰგიეს უქცეველად ღმრთეებასავე თსსა.	$7 + 7 = 14$

ვითარ შვა ქალწულმან, ვისწავოთ, და ვითარ	$6 + 6 = 12$
ცეცხლი საღმრთოა წიაღითა იტურთა დღეს	$8 + 4 = 12$
და არა შეიწუვა ვითარ მაყუალი,	$6 + 5 = 11$
რომელი გამოჰსახვიდა საიდუმლოდ	$8 + 4 = 12$
შობასა შენსა, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო.	$5 + 7 = 12$

ვითარ უკუე გონებამან კაცობრივმან	$8 + 4 = 12$
მიუთხრას, გამოუთქუმელი განგებულება	$8 + 5 = 13$

შენი, ქრისტე, მამისა სიბრძნეო,	7 + 3 = 10
რამეთუ ბუნებით ღმერთ ხარ და კსნისათუს	6 + 6 = 12
კაცთაჲსა მიიღე ბუნებაჲ კაცობრივი.	6 + 7 = 13

მოცემული სურათის მიხედვით, თუ შეიძლება იმის თქმა, რომ სტრიქონის სიგრძე მაინც განსაზღვრულია და ფიქსირებული, მეორე მხრივ, არ არსებობს არგუმენტი იმის სათქმელად, რომ სტრიქონის სტრუქტურაში გვაქვს გაყოფის (გაკვეთის) პრინციპი და ამგვარა სტრუქტურის შექმნაში მონაწილეობს მუდმივი ცეზურა.

ყველაზე უფრო ადვილია იმ დასკვნის გაკეთება, რომ იამბიკოს სტრუქტურა განვითარების გარკვეულ საფეხურზე ჩამოყალიბებულია, ამ საფეხურზე გვაქვს ტენდენციები, რომლებიც შემდგომ შექმნიან სტაბილურ და მყარ სურათს. მაგრამ ასეთი დასკვნის საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამგვარი ნიმუშების გვერდით იმავე ქრონოლოგიურ ჭრილში გვაქვს ნიმუშები, რომლებშიც იამბიკოს სტრუქტურა ჩამოყალიბებულიცაა და ზუსტად დაცულიც მაგალითისთვის, რამდენიმე ნაწყვეტი მიქელ მოდრეკილიდან:

უბიწოდათა მით ვნებითა, ქრისტე, ღმერთო	5 + 7 = 12
განკურნენ მკსნელო, ვნებანი სოფლისანი	5 + 7 = 12
რაჟამს ჯორცითა აღჰმალღდი ჯუარსა ზედა,	5 + 7 = 12
დაეც სიმაღლჴ, მტერისა მაცთურისაჲ	5 + 7 = 12
და აღადგინე ბუნებაჲ კაცობრივი.	5 + 7 = 12

უსხელოდათა საღმრთოდათა ბუნებითა	5 + 7 = 12
ეგე უზრწნელად, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო,	5 + 7 = 12
რაჟამს დაიდევ საფლავსა შეუცავო,	5 + 7 = 12
მოჰკალ სიკუდილი, სიკუდილითა უკუდავო	5 + 7 = 12
და აღადგინენ მკუდარნი საფლავისაგან.	5 + 7 = 12

ამიტომ კორექტული დასკვნა შემდეგი შინაარსისა უნდა იყოს: ერთი მხრივ, იამბიკოს რატიმული სტრუქტურა, უფრო ზუსტად — მისი პრინციპი, თავიდანვე ჩამოყალიბებული და ცნობილი იყო, მეორე მხრივ, იამბიკო, როგორც არაქართული ფორმის ქართული იმი-

ტაცია, არ იძლეოდა ისეთ წესებს, რომლებიც შეესაბამებინან ქართული ლექსთწყობის ბუნებას, და ქმნიდა პირობებს იმისათვის, რომ ეს სტრუქტურა გააზრებულყო ინდივიდუალურად. ეს ბოლო ორივე ფაქტორი, თავიანთი მხრივ, საბოლოოდ განაპირობებდა წესების დარღვევის შესაძლებლობასაც და ხშირ შემთხვევაში სტრუქტურის ამორფულობასაც. სხვა საკითხია, რომ ყოველი შემდგომი ეპოქა ცდილობდა სურათის სტაბილურობის შექმნას, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ერთი მყარი, დაურღვეველი სიტუაცია მაინც ვერ ჩამოყალიბდა. ყოველ შემთხვევაში, მთლიან სურათში ჩვენ ყოველთვის გვაქვს, ერთი მხრივ, ისეთი კრისტალიზებული ნიმუშები, რიგორიცაა, ვთქვათ, დიმიტრი მეფის შედეკრი:

შენ ხარ ვენაჯი, ახლად ადყუავებული,	$5 + 7 = 12$
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,	$5 + 7 = 12$
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,	$5 + 7 = 12$
ღმერთმან შეგამყო, ვერაჲინ გჯობს ქებული,	$5 + 7 = 12$
და თავით თუსით მზე ხარ განბრწყინებული.	$5 + 7 = 12$

მაგრამ, მეორე მხრივ, ყოველთვის გვაქვს არაკანონიკური ფორმის ნიმუშებიც, მაგალითად, იოანე შავთელთან („გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“), თვით ისეთ დახვეწილ ავტორებთანაც, რიგორიცაა, მაგალითად, ეფრემ მცირე (მასზე — ქვემოთ).

3.3.4. საბოლოოდ შეგვიძლია დავინახოთ რამდენიმე, ჩვენთვის საინტერესო, მოვლენა.

სასულიერო პოეზიაში მიმდინარეობდა პროცესი იამბიკოს ფორმის გააზრებისა. ამგვარი პროცესი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ რეალიზებისას იამბიკოს ფორმა — პირველ რიგში, მისი უცხოობის გამო — კრისტალიზებული სახით ჩამოყალიბებული არ ყოფილა. პროცესი, კერძოდ, ვლინდება იმაში, რომ იამბიკო აღქმულ იქნას, როგორც მდგრადი ფორმა სტრუქტურით $5 + 7$. პროცესის ასეთ შინაარსზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ ამგვარ მიზანზე ორიენტირება ხდება მაშინ, როდესაც, ნაწარმოების სპეციფიკიდან გამო-

მდინარე, ავტორი იძულებულია გაიაზროს სალექსო ფორმის სტრუქტურა, კერძოდ — მის შემადგენელთა სეგმენტაცია. ეს, კერძოდ, თვალსაჩინოდ ჩანს აკროსტიქის ისეთი ფორმის შემთხვევაში, როგორცაა „ორპირად კიდურწერილი“, რადგანაც ამ დროს თავკიდურა ასოები სტრიქონის შიგნითაც უნდა ჩაჯდეს, რაც ბუნებრივად გულისხმობს სტრიქონის სეგმენტაციას. ჩვენთვის ამ შემთხვევაში საგულისხმო ისაა, რომ თავკიდურა ასოების ადგილები სტრიქონში გვაძლევენ პირველი მარცვლის პირველ ასოს და მეექვსე მარცვლის პირველ ასოს, რაც სწორედ 5+7 სტრუქტურას ქმნის. მაგალითად, გაიოზ არქიერის შემდეგი აკროსტიქი („ევესტატისთვის“):

მესტატის თავი, (5) **თ**ავს ადამანტის წარხდა, (7)
 შინაღგან აქა (5) **ი**პოვების საკვირველ (7)
 სიმტკიცე, სიბრძნე, (5) **ს**ხვანი მიღმოებანი, (7)
 ტრფიალებითნი, (5) **თ**ჰმით ზესთ გონების მმტვიფრი, (7)
 ალთა გულისთა, (5) **ს**ავსე მმცხადე ნიადაგ. (7)

იგივე ხდება, როდესაც საქმე გვაქვს „სამიან კიდურწერილთან“ (პირველი მარცვლის პირველი ასო — მეექვსე მარცვლის პირველი ასო — მეთორმეტე მარცვლის ბოლო ასო); მაგალითად, („გაქებ მამაო იოანე“):

ზანჰსწმნდი აქა რა, (5) **მ**ამაო, სხვა მოსეი, (7)
 აღნი რა გულსა (5) **ა**ლატყინე ზესთ-საღმრთო, (7)
ჰმნილ ღმრთისა მიერ, (5) **მ**ოძრაობითა წმინდა, (7)
ელვა მსოფლიო, (5) **ა**მაონი განჰსთხიენ, (7)
ბრძენ განსაკვირველ, (5) **ო**ოქროვან იოანე. (7)

იგივე გვაქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც „ოთხიანი კიდურწერილია“ (პირველი მარცვლის პირველი ასო — მეხუთე მარცვლის ბოლო ასო — მეექვსე მარცვლის პირველი ასო — მეთორმეტე მარც-

ვლის ბოლო ასო); მაგალითად, იოანე პეტრიწის აკროსტიქი („არ სიყუაროლისათვის სოფლისა“):

ამას მიაართუ (5) იწყე, ბრძენო, გონებას (7)
რადთგან არა (5) სოფელი მოიძულეო, (7)
საწუთროს ვითარ (5) არ მყოფსა მყოფად ნუ ჰყოშ, (7)
იმას ახედეო (5) თქმით-მყოფსა უფროს მართალ (7)
ჟივლითურთ მიხვალ (5) საუკუნუსა მზისა. (7)

5+7 სტრუქტურა შეიძლება აღმოვაჩინოთ ანბანთქების შემთხვევაშიც; ანტონი კათალიკოსი:

აბო, ბრძენ, გნობ, დიდ, (5) ესთ, ვინ ზე ზე, თეით, ირის, (7)
კეთილ, ლალ, მკვირვალ, (5) ნარდ, ოღვის, ჰაიზონებ, (7)
ჟირ, რაზარინებ, (5) სუმბულთ, ტეევანთ, უფროს, ფშვი, (7)
ქარებრ ღრუბელთ ყრი, (5) შლი ჩირითა, ციერ ძლიერთ (7)
წრთვით ჭირთა ხშირთა, (5) ესნი ჯვართ ჰავთ მ წმინდაო. (7)

მოცემულ კონტექსტში მისათითებელია ისიც, რომ, მაგალითად, იოანე ბაგრატიონი და თეიმურაზ ბაგრატიონი იამბიკოზე მსჯელობისას გვაწვდიან შერჩეულ ნიმუშებს, რომლებიც ძირითადად 5+7 სტრუქტურას გვიჩვენებენ.

მაგრამ, უნდა გავიგეოროთ, ყველა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გააზრებასთან, რომელიც, როგორც ითქვა, რეალობაში ჭრელი სურათის არსებობის ამსახველია.

3. 3. 5. მთავარი ის არის (ყველაფერი, რაც ზემოთ აღინიშნა, მაინც კონსტატაციის სფეროს განეკუთვნება), რომ იამბიკოს ფორმისთვის პოეტურ პრაქტიკაში თუნდაც ცალსახად დადგენილად ჩავთვალოთ სტრუქტურა, ეს სტრუქტურა (5+7-ც, მისი ალტერნანტიც 7+5) არ წარმოადგენს ქართული ლექსთწყობისთვის კანონზომიერ აგებულებას, იგი ეწინააღმდეგება პრინციპულ სახეს ქართული სისტემისა, რომელშიც რიტმული ფორმები და აგებულებები, ბუნებრი-

ვია, კანონზომიერადაა განსაზღვრული და ამოცნობადი და რომელ-
მაც ცნობილია მარკირებული (დასაშვები) და არამარკირებული (შე-
უძლებელი) ფორმები.

კერძოდ:

ა) 5+7 ეწინააღმდეგება ქართულ სისტემაში რეალიზებულ იმ
წესს, რომლის თანახმადაც ორწევრიან (ბინარულ) რიტმულ ერთე-
ულში პირველი წევრი მეორის ტოლია ან მასზე გრძელია (მეტა-
მარცვლების რაოდენობის შექცევლი). იმ შემთხვევაში, როდესაც
განვითარების რომელიღაც საფეხურზე საწინააღმდეგო წესით („მე-
ორე პირველზე გრძელია“) აგებულ ერთეულზე დამყარებული ნიმუში
გამოჩნდება სპორადულად (კერძოდ, ამგვარი შემთხვევა გვაქვს, მაგა-
ლითად, გურამიშვილთან, აგებულება 4+5: „კიხაროდენ, ანგელოზო
დასნო“ და „კმარა, კმარა, ნულარა სცოდავ“), იგი რჩება ექსპერიმენ-
ტის სახით, რადგანაც აღარ მეორდება განვითარების მომდევნო სა-
ფეხურზე; ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ვერ ამჟღავნებს რეპროდუქცი-
ისუნარიანობას, ე. ი. მას სისტემა არ იღებს ანუ უარყოფს (განვი-
თარების დღევანდელ ეტაპზე მოინახუბა ხოლმე ამგვარი სახის ნი-
მუშები, კერძოდ 3+4, მაგრამ ასეთ შემთხვევებს ჯერჯერობით არ
მოუნახავთ ადგილი სისტემაში, მხოლოდ განვითარების მომდევნო
ეტაპზე გახდება ცნობილი, გამოამჟღავნებს თუ არა მათ რეპროდუქ-
ციის თვისება და, შესაბამისად, ამგვარი ნიმუშების მიხედვით კო-
რექტირდება თუ არა სისტემის ცნობილი წესები; ამის შესახებ იხ.
ა. სილაგაძე, თანამედროვე ქართული ლექსის განვითარების ტენდე-
ციები, აღმანახი „კრიტიკა“, № 6, 1986, გვ. 121-142).

ბ) 7+5 ეწინააღმდეგება ქართულ სისტემაში რეალიზებულ იმ
წესს, რომლის მიხედვითაც ორწევრიანი ერთეულის (ორწევრედის
ან სტრიქონის) პირველი წევრი არ შეიძლება იყოს 5-მარცვლიანზე
მეტე სიგრძისა; პირველი წევრისთვის დასაშვები სილაბური სიგრძე
არის 3, 4 და 5 (ზოგიერთი გამოჩაკლისის შესახებ, მაგალითად ბე-
იოკთან ან თანამედროვე ეტაპზე, იგივე ითქმის, რაც ითქვა ზემოთ
1+5 კომბინაციასთან დაკავშირებით; იხ. ა. სილაგაძე, დას. ნაშრ.)

საბოლოოდ:

ორწევრიან რიტმულ აგებულებათა (ეს შეიძლება იყოს უმცი-
ოესი დონის ბინარული ერთეული — ორწევრედი, შეიძლება იყოს
მომდევნო დონის ბინარული ერთეული — სტრიქონი) სისტემა, რო-
გორც ნაშრომის შესავალში ითქვა, ასე გამოიყურება:

I	II	III
5 + 5	4 + 4	3 + 3
5 + 4	4 + 3	3 + 2
5 + 3	4 + 2	3 + 1
5 + 2	4 + 1	3 + 0
5 + 1	4 + 0	
5 + 0		

როგორც ვხედავთ, პირველ ქვესისტემაში, რომლის სპეციფი-
კური ნიშანია ის, რომ ბინარულ ერთეულში პირველი წევრი 5-
მარცვლიანია, არ არის ადგილი ისეთი აგებულებებისთვის, რომლებ-
შიც მეორე წევრი 5-მარცვლიანზე გრძელია, მათ შორის 5+7-თვის:
5+6, 5+7, 5+8 და ა. შ. რაც შეეხება 7+5-ს, როგორც ვხედავთ,
სისტემაში არ არსებობს ქვესისტემა, რომლის სპეციფიკური ნიშანი
ერთეულში პირველი წევრის 7-მარცვლიანობაა.

3.3.6. თუ, ერთი მხრივ, იამბიკო არ გამხდარა ქართულ
ლექსთწყობის სისტემის წევრი, მეორე მხრივ, საინტერესოა ის ინო-
ვაციები, რაც აღინიშნება მისი გამოყენებისას, და ის, თუ რა ელ-
მათ საფუძვლად.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ რიგ შემთხვევაში იამბიკოს კანონიკურს
სტრუქტურა ირღვევა; ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული შემ-
დეგი დასკვნა: ირღვევა — და აქ „სილაბური უკვეთელი“ ლექსის
ნიშნუებიც უნდა ვიგულისხმოთ — იმის გამო, რომ არა მარტო მკი-
თხველისათვის, არამედ ავტორთათვისაც, როგორც ქართული სალექ-
სო მეტყველების მატარებელთათვის, ფორმა არ არის ბუნებრივი, არ
შეესაბამება ქართული ლექსთწყობის სისტემის აღქმად სტრუქტუ-
რებს (წინააღმდეგ ამისა, ქართული ლექსთწყობის სისტემის პოეტუ-
რი რეალიზებისას ავტორებთან ფაკულტატურ დარღვევებს პრაქტი-

„ელად ადგილი არ აქვს — ავტორებს, ისევ და ისევ როგორც ქართული სალექსო მეტყველების მატარებლებს, არ სჭირდებათ მარცხვალთა რაოდენობის დათვლა, ხოლო დარღვევები — თუ ისინი აღინიშნება — შეგნებულ ექსპერიმენტებს, რაღაც ეტალონიდან შეგნებულ გადახრებს წარმოადგენენ).

იამბიკოს ნიმუშებში დარღვევათაგან ჩვენთვის საინტერესოა ისეთი ფაქტები, რომლებშიც ჩანს ცდები, დაუახლოვონ ეს ფორმალური ლექსის ბუნებრივ აგებულებებს.

აქ რამდენიმე შემთხვევაა აღსანიშნავი.

გვაქვს ფაქტები სტრიქონად (უფრო ხშირად — ბოლო ან პირველ) 7+7 სტრუქტურის ხმარებისა. მაგ. დიმიტრი მეფის (იხ. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია):

ცასა ბეწუთა ეკიდა, ვნახე კაცი,
და მასვე კაცს შუბის წუერს ედგნეს დარბაზნი,
მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდედა ქურციკთა,
და ზღუასა ზედა მოარბედა ცხენითა.
და ესრეთ ღაღადებდა: „ღმერთო, შენ კურთხეულ ხარ!“ (7+7)

ასევე გვაქვს შემთხვევები 5+5 სტრუქტურის გამოჩენისა. გიორგი მთაწმინდელის ანდერძი პავლეს ეპისტოლეთა თარგმანისა — „ქებაჲ პავლესი“ (ტექსტი იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩული, გვ. 580-581) თავის დიდ ნაწილში სწორედ ამ აგებულების სტრიქონებს შეიცავს (სულ რამდენიმეჯერ წარმოდგენილი 5+7, 7+5, 12 და სხვ. ფორმების გვერდით); მაგალითად:

აჰჲდ სამ ცამდე / ღმრთივ სწავლულ იქმენ,
პირნი ბრძენთა მათ / ზუავთანი დაჰქმენ,
აცხოვნენ კაცნი, / იქსენ სოფელი,
ვითარცა მზე რაჲ / აღავსე სოფლით.
ლოცვით მადლობაჲ / ღმრთისაჲ შოგუმადლე,
ემშაკთა მტერთა / საბრკენი დაჰქსენ
და სხვ.

საინტერესოა, რომ „გალობანი ვიორგისნი“-ში, რომლის ავტორობა გრიგოლ ხანძთელს მიეწერება (პ. ინგოროყვა) და რომლის რვა გალობიდან შვიდი იამბიკოს კლასიკური სქემითაა წარმოდგენილი. მეხუთე გალობა („უზემთავს არს“ — ამათ ზედა“) სრულიად ორიგინალურ ფორმას კვიჩვენებს სწორედ 7+7 და 5+5 სტრიქონების გამოჩენის ხარჯზე: ყოველ ხუთსტრიქონედში (სულ — 4) პირველი სტრიქონია 7+7, მეორე სტრიქონია 5+5, დანარჩენი სამი იამბიკოსთვის ჩვეულებრივი, 12-მარცვლიანი, აგებულებაა; მაგალითი:

ქალწულის დედოფლისა მადლის დედისა ღმრთისა,	7+7
მისა მიმართ შენ შესწარე ძღვენი	5+5
მართლად აღსარებისაჲ, მ ახოვანო!	7+5
სიმღიდრეჲ იგი ნიჭთაჲ ძისა მისისაჲ	5+7
მიიღე და განსუყაე მაქებელთ შენთა.	7+5

ყველა დასახელებულ შემთხვევაში ჩვენ უნდა, გარკვეული სა-რწმუნოებით, დავინახოთ ანარეკლი ქართული ლექსთწყობის გავლენისა. ჯერ ერთი, ორივე სტრუქტურა ბინარულია, შუაზე გაკვეთილი (განსხვავებით, ვთქვათ, იმ 10-მარცვლიანი სტრიქონებისგან, რომლებიც „საგალობელთა მარცვლედში“ შეიძლება აღმოვაჩინოთ: აქ 10-იანები არ ქმნიან კანონზომიერ სტრუქტურას, შეიძლება იყოს 7+3, 6+4, 5+5, 4+6 და ა. შ.; ისევე, როგორც, ვთქვათ, 20-მარცვლიანი სტრიქონი — მაგალითად, იოანე მინჩხისაძეში მიწერილ ძლისპირში „ჟამნი ჩემნი“ — შეიძლება იყოს 10+10-ც, 9+11-ც და ა. შ.); სხვა სიტყვებით — გვაქვს ქართული ლექსთწყობისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი კანონის რეალიზება: ორწევრიან აგებულებაში პირველი წევრი მეორეზე მოკლე არ უნდა იყოს, ხოლო დასასვებ სტრუქტურათა შორის გვაქვს ორი ტოლი წევრისგან შემდგარი (შდრ. თეიმურაზ ბაგრატიონის გამოხატულებაში: „იამბიკოს ტაეპი თანასწორედ, საშუალოზედ არ განიყოფება“); ამასთან, პირველ შემთხვევაში ქართული ლექსის ყველა კანონი არ არის გათვალისწინებული (რადგანაც 7-მარცვლიანი შემადგენელი ორწევრედში ქართულს არა აქვს, 7-მარცვლელი ქართულში უნდა იყოს ორი სხვადასხვა ბინარული სტრუქტურა: 4+3 ან 5+2), მეორე შემთხვევაში

რეალიზება სრულდა: 5+5 ქართული ლექსთწყობის სისტემაში ან ორწევრედის ქვესისტემის, ან სტრიქონის ქვესისტემის სრულფ-
ლებიანი წვერია, რომელსაც ალტერნანტი არ აქვს.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო მაგალითს გვაწვდის ეფრემ მცირე, კერძოდ იმისა, რომ სასულიერო პოეზიის წიაღშივე იყო ცლები იამბიკოს ფორმის გააზრებისა — ფაქტიურად გადაკეთებისა — ქართული ლექსთწყობისათვის მისაღები პრინციპების მიხედვით. ამ შემთხვევაში დაცულია სტრიქონის 12-მარცვლიანობა, მაგრამ მიზ-
ფარგლებში რიტმული სეგმენტაცია აღარ გვაძლევს შემადგენლებად 5- და 7-მარცვლედს, — აღებულია და სამჯერ გამეორებული (12-
მარცვლიანი სიდიდის ფარგლებში) ქართულისთვის ბუნებრივი 4-
მარცვლიანი სეგმენტი. საბოლოოდ, ვიღებთ ქართულ სისტემისათვის სტრიქონის მარკირებულ აკებულებას. ეფრემ მცირეს ცნობილი იამ-
ბიკო „ჴ ადამის ზესთა ქმნილო“ (60 სტრიქონი) პრაქტიკულად მთლიანად ამგვარი სტრიქონებით აქვს წარმოდგენილი (გამონაკ-
ლისი 9 სტრიქონიდან ზოგისთვის აშკარაა კონიექტურის საჭიროება):

ჴ ადამის / ზესთა ქმნილო / დამცუელ ზატის
ფრთე ოქროვან / სასოებით / ენოსისებრ,
რომლისათვის / ნოე ყოფად / ითქუმიოდეს, თუ
ისაკისებრ / აბრაამის / მსხუერპლ ხარ დაკლულ.
ათორმეტ შვილ / მამათ-მთავრად / განკუთუნვილბ,
ორ-კერძო მქსნელ / მივლინებულ / მსგავს მოსესა,
მეექუსისა / განმზადება / ჰყავ დასაბამ
ოტებითა / ბანაკოათა / ისო ქმნული,
ძეობისა / პატვისა რა / წარმატებით
ღმრთივ წოდებით / სამგზის დაასხ / საკუერთისა მას.

და ა. შ. (ტექსტი იხ. ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერა-
ტურის ქრესტომათია).

ეფრემ მცირისთვის ეს შეგნებული ექსპერიმენტია, რადგანაც მასვე აქვს სხვა იამბიკოებიც (ორიგინალურიც, ნათარგმნიც), სადაც იამბიკოს ტრადიციული ფორმაა გამოყენებული, მაგალითად, „სახელ სიბრძნისა“ მთლიანად მხოლოდ 5+7 სტრიქონითაა წარმოდგენილი.

ეფრემ მცირისეული ფორმა რომ მართლაც $12 = 4 + 4 + 4$ სტრუქტურას ემყარება და გამოირიცხება სტრიქონის სხვაგვარი (მაგ., $8 + 4$) სეგმენტაცია, იმ ლექსებიდან ჩანს, რომელთა კიდურწერილობა ზუსტად განსაზღვრავს $4 + 4 + 4$ აგებულებას. „იქმნა ემბან“, მუხლელთა კიდურ-წერილი იტყვს ლექსად: „იქმნა ემბან სულის დავით და ძალ ნიშთა“:

ათნი ესმ/ სრულ რიცხუედალ/ ლამპრად გაქუნდინ,
ნაწილ და გუამ/ იყენედ შენდა/ ანეულნი,
მათნი ჯეჯლებ/ ლოცვათა ხუამ/ ძალ მტერთ უშიშ.
ქებით ბრძენსა/ შგალობდი/ აღიტყუ ესრეთ:
იქმნა ემბან/ სულის დავით/ და ძალ ნიშთა.

„მომეც მადლი“, მუხლელთა კიდურ-წერილი იტყვს ლექსად: „მომეც მადლი ნიჭთა დიდთა ქებად შენთა“:

ტუდად მოშრიმ/ არის ყოლაღ/ დიდად მოშიშ,
ენაჲ შენდა/ თეთ მოსრული/ აღიტყუ ესმ,
მვედრებელად/ ჭეშმარიტად/ ბნელი დაქკენ,
ოუნდომ მყავ სრულ/ ისმენდა მათ/ მსრეთ კმობით:
მომეც მადლი/ ნიჭთა დიდთა/ ქებად შენთა.

(ტექსტები იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 582).

ეფრემ მცირისეულ ფორმას უკვალოდ არ ჩაუვლია. მას ვხვდებით მე-13 ს.-ში პეტრე გელათელთან, ამასთან — აქაც იმგვარივე სახის კიდურწერილობა (ამ შემთხვევაში — „კიბედ ვინაჲ ცად მიავლენ, წარმიმართე“) განსაზღვრავს $4 + 4 + 4$ სეგმენტაციის რეალურობას:

დასთა დასცამ/ იყვან ზენა/ ილუწი რაბამ
მგზა ეგვი/ მათ აღელად ფრჯიმ/ მისლვად ღმრთისა
ბაძეად ამცენ/ და კმნად პირველ/ რათა დაშუშრ
იმსთვე აწცა/ ასწრეე მართემ/ აღსაუალთამთ
კიბედ ვინაჲ/ ცად მიავლენ/ წარმიმართე.

(ტექსტი იხ. — ს. ყუბანეიშვილი, ძვ. ქ. ლიტ. ქრესტომათია, გვ. 394).

საბოლოოდ, ჩვენ გვაქვს მეტად ნიშანდობლივი შემთხვევა, რომელიც შემდეგნაირად კვალიფიცირდება: ეს არის ცდა არა იამბიკოს, როგორც ასეთის, უარყოფისა, არამედ მისი ერთ-ერთი მთავარი მახასიათებლის — სტრიქონის ცნობილი სილაბური სიგრძის — შენარჩუნების ფონზე, ისეთი ტრანსფორმაციების, რომლებიც უცხო, ქართულისათვის არაბუნებრივ, ფორმას ქართულისთვის ბუნებრივ და მისაღებ სახეს აძლევენ.

სისტემისთვის წარმოუდგენელ და შეუძლებელ სტრუქტურათა გარდა, არსებობს მოცემულ სინქრონიულ ჭრილში არარეალიზებული, მაგრამ შესაძლებელი (და ე. ი. პროგნოზირებადი) ფორმები. 12-მარცვლიანი სტრიქონი 4+4+4 აგებულებისა ქართული ლექსითი სისტემის სრულყოფილებიანი წევრია და ასეთად რეალიზდება და მკვიდრდება სისტემის განვითარების მე-20 ს-ის ეტაპზე. მაგალითი:

და როდესაც/ მზეს შევხედე/ გვირგვინოსანს,
ჩემო კარგო,/ქვეყანაზე/გაჟრნდი ოდეს.

ეფრემ მცირისეული ფორმა ზუსტად ემთხვევა მე-20 საუკუნისეულ ფორმას; როგორც ჩანს, სწორედ დამთხვევა უნდა აღვნიშნოთ, რადგანაც, როგორც ითქვა, იგი წარმოიშვა იამბიკოს ფორმის ფარგლებში ისეთი ტრანსფორმაციების გზით, როდესაც ქართულისთვის ბუნებრივ წყობას ვიღებთ. გარდა ამისა, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სამეღმენტიანი სტრიქონები ქართულში სპორადულად ჩნდება მხოლოდ განვითარების მე-18 ს-ის ეტაპიდან, ხოლო ნამდვილ გავრცელებას მე-20 ს-ის ეტაპზე პოუვებს.

3. 3. 7. ზემოთ თქმულის კონტექსტში, საინტერესოა ის, თუ რა ექართებოდა ამ ფორმას უფრო გვიან, „საერო“ პოეტების ხელში.

აქ სამი მოვლენაა აღსანიშნავი.

პირველი — ის, რომ იამბიკოს ფორმა უარყო ქართული ლექსთწყობის სისტემამ, პრაქტიკულად განხორციელდა სწორედ საერო პოეზიის წარმომადგენელთა მიერ, რომლებმაც ეს ფორმა არ აღიქვეს იმ სისტემის წევრად, რასაც ისინი იყენებდნენ.

მეორე — იამბიკოს ფორმა თავისი კანონიკური სახით მათთან მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოჩნდებოდა ხოლმე, როდესაც მიმართავდნენ სასულიერო (ან ჟანრობრივად მასთან ახლოს მდგომ) თემატიკას.

მესამე, რაც მთავარია, საერო პოეტების ხელში და საერო თემატიკის ფარგლებში ჩვენ ვხედავთ შემთხვევებს, როდესაც იამბიკოს ფორმა გადაკეთდებოდა ხოლმე ჩვეულებრივ, პერცეპტულ ქართულ რიტმულ აგებულებად, რომელშიც იამბიკოსგან ფორმალურად არაფერი რჩება, გარდა 5-სტრიქონიანობისა. სხვა სიტყვებით, ავტორები — სწორედ იამბიკოს ფორმის მიუღებლობის გამო — ცდილობდნენ მისადგებინათ იგი ქართული ლექსისათვის. მაგალითი — სულხან-საბა ორბელიანი („ქილილა და დამანადან“):

იამბიკო

თუცა ღრუბელსა ცვარი ენამა,
ალად გაჯადის სიცხემ ზენამა,
მალლად მყრინველი მოკლის ფრენამა,
ვითარ ფარვანა სანთლის ჩენამა,
„ჰაერი შეწვა!“ — ვერ თქვის ენამა.

ჩვენს წინაშეა ქართულში დღეს ყველაზე გავრცელებული საზომი, რომლის სტრუქტურაა $5 + 5 = 10$.

კიდევ უფრო საინტერესოა მეორე შემთხვევა (ისევ „ქილილა და დამანადან“):

იამბიკო

მრავალთა ჟამთა მოგებად თემთა იარო,
ეგოდენ ზრუნვა უმეტეს გაიზიარო,
ანგარის თვალი აღვსებად ვერ აღიარო,
სადაფთ მუცელი თუცაღა მოამშვიარო,
მარგალიტს ვერა აღიხვამს, რაზომცა მოამცბიარო.

ამ შემთხვევაში საინტერესო ისაა, რომ, თუ პირველ მაგალითში უბრალოდ, ილემენტარულად, უარყოფილია იამბიკოს სტრიქონის

სტრუქტურა და შეცვლილია ცნობილი, ქართულისთვის მარკირებული, აგებულებით, მეორე მაგალითში შეიძლება შეგნებული „მუშაობის“ კვალის დანახვა: ავტორი ითვალისწინებს იამბიკოს ფორმას, ოღონდ რაღაც მოცემულობის ფარგლებში ცვლის მას ისე, რომ მიიღოს ქართულის თვალსაზრისით მისაღები ფორმა, მაგრამ ამ დროს ამოსავლად წინ უდევს ცნობილი, პოეტურ პრაქტიკაში რეალიზებული და გავრცელებული, ფორმა; განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ მიღებული ფორმა იმ დროისათვის (საბას დროისათვის) ქართულში ცნობილი არ იყო. შეიძლება აღვადგინოთ მისი მიღების მექანიზმი, კერძოდ – შემდეგი სახისა: 1) იამბიკოს 12-მარცვლიანი სტრიქონის პირველი, ხუთმარცვლიანი, მონაკვეთი, სტრუქტურა $5+0$, პლუს 2) სტრიქონის მეორე ნაწილი, რომელიც ამ მიზეზით, რომ პირველი ნაწილი $5+X$ სიის წარმომადგენელია, უნდა იწყებოდეს 5-მარცვლიანი სეგმენტით, 3) და მთავრდებოდეს 3-მარცვლიანით, რადგანაც ამ დროისათვის 5-მარცვლიანი პირველი სეგმენტით შედგენილი აგებულებებიდან გვაქვს $5+3$ და $5+5$, მაგრამ ამ ბოლო აგებულებას იამბიკოს 12-მარცვლიანი სტრუქტურა ვერ აიტანს; საბოლოოდ ვიღებთ 13-მარცვლიან სტრიქონს (იგი, როგორც ვნახეთ, ზოგჯერ გვხვდება იამბიკოებში) სტრუქტურით $(5+0) + (5+3)$. ასეთი სტრუქტურა, ერთი მხრივ, არ შეესაბამება იამბიკოს კანონიკურ ფორმას, მეორე მხრივ, სრულუფლებიანი წევრია ქართული ლექსთწყობისთვის ცნობილი სტრიქონთა სიისა – ასეთი სტრუქტურის სტრიქონი რეალიზდა განვითარების მე-20 ს-ის ეტაპზე (თუმცა პირველი ნიმუშები, მთელი ტექსტის თვალსაზრისით – არა სრულყოფილი სახისა, გურამიშვილთანაც მოიძებნება: „უსჯულოება ამხოცე, უფროს განმბანე, / და ეს სიმღერა მის თქმას. მოძახილს აბანე“). ეს უკანასკნელი ფაქტიც ჩვენთვის ძალზე სიმპტომატურია, რადგანაც მიუთითებს იმაზე, რომ საბასთვის ყველაფერი ეს შეგნებული ექსპერიმენტი იყო, რამაც საბოლოოდ მოგვცა იმ დროისთვის უცნობი, მაგრამ სისტემისთვის თეორიულად შესაძლებელი (პროგნოზირებადი), რიტმული აგებულება.

და ბოლოს – იმ პოზიციებიდან, რომ საქმე გვაქვს გააზრებულ მოქმედებასთან, – განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის, რომ ტექსტის ბოლო, მეხუთე, სტრიქონი (საბას ხელში მოცემულ შემთხვე-

ვაში იამბიკოსგან მხოლოდ 5-სტრიქონიანობა დარჩა, თუმცა აღსანიშნავია, რომ 5-სტრიქონიანობის წესიც ზშირად ირღვეოდა სასულიერო პოეზიის წიაღშივე) ნორმალური დაბალი შაირია, წარმოდგენილი სტრიქონის ერთ-ერთი შესაძლებელი ვარიანტით $(5+3) + (3+5)$; სხვა სიტყვებით, ავტორისვე მიერ მითითებული ამოსავალი, „სწორი“ ფორმა. ამგვარი ვითარება უნდა ჩავთვალოთ დამახასიათებლად სწორედ შეგნებული ექსპერიმენტისათვის: მის საფუძველს ყველა შემთხვევაში ქმნის ის, რომ არსებობს დადგენილი (მოქმედი) სისტემა დადგენილი სტრუქტურული წესებით, ამიტომ ჩვენ ყოველთვის გვაქვს საშუალება დავადასტუროთ ამოსავალი ფორმა, რომელშიც მოქმედ წესებზე რაღაც სიახლის დადებით, ან მთლიანად უარყოფით მიიღება ახალი ფორმა. ამ მხრივ ქართულ პოეზიაში შეინიშნება ერთი მეტად საინტერესო მოვლენა (იხ. ა. სილაძე, ლექსმცოდნეობითი ანალიზის პრინციპების შესახებ, გვ. 82): არის შემთხვევები, როდესაც მოცემული სიახლე გატარებულია მთელ ლექსში, მაგრამ ბოლო ნაწილის – ბოლო სტროფის, ან ბოლო სტრიქონის – გამოკლებით, ამ ნაწილში წარმოდგენილია „სწორი“ ფორმა, ე. ი. მითითებულია, რომელი ფორმა, როგორც ეტალონური, უარიყოფა. ამგვარი შემთხვევები შეიძლება აღმოვაჩინოთ გურამიშვილთან, გ. ტაბიძესთან, ა. კალანდაძესთან და სხვ. მაგალითად, გურამიშვილის „მესამე დავითის შესხმა“ 15 მონაკვეთს შეიცავს, ამათგან პირველი 14 „უცნაურია“: ა) 6-სტრიქონიანი (მიღებული 4-სტრიქონიანის საწინააღმდეგოდ), ბ) ორნაწილიანი (მიღებული სტროფული მთლიანობის საწინააღმდეგოდ), რაც გამოიხატება იმაში, რომ, ჯერ ერთი, გართმვის ორმაგი სქემაა $aabcbcb$ (მიღებული ერთი სქემის საწინააღმდეგოდ), მეორეც, ბიმეტრულობაა (მიღებული მონომეტრულობის საწინააღმდეგოდ) – მონაცვლეობს ორი მეტრი $5+3$ და $3+3$:

აწ მე აღვიძრავ ენასა,
 ვადიდებ ღმერთსა ზენასა.
 ვიწყო მე გალობა,
 მიყოს მან წყალობა,

მან ქმნა ვაჟ-ქალობა,
მისცა ტრფიალობა.

მაგრამ ბოლო, მე-15, მონაკვეთი სწორი, მიღებული ფორმაა, რომელიც ამოსავლად უნდა ჩავთვალოთ: 8-სტრიქონიანი (ოთხი პლუს ოთხი), გართმევის ნორმალური სქემით (ოთხი პლუს ოთხი), მონომეტრული (დაბალი შაირის სტრიქონებისგან შემდგარი):

დაჯდა სიტყვებრად გოდებად,
თავთა ხლად ხე-ქვე-ლოდებად,
გულსა სახმილის მოდებად,
შესაბრაღ-შესაცოდებად.

ვაი, რა შესაზარია
მისი მოთქმა და ზარია,
გოდება ანუ არია,
მთქმელთათვის ყველა მწარია.

პრინციპულად ამგვარი შემთხვევა გვაქვს საბას ზემოთ განხილული იამბიკოს სახით: ექსპერიმენტისთვის გათვალისწინებული იყო იამბიკოს სპეციფიკა, მაგრამ გამიზნული მოდიფიკაციისთვის საყრდენს წარმოადგენდა ნორმალური, მიღებული დაბალი შაირი, რომლის სტრუქტურა, 16-მარცვლიანი, წარმოადგენილია კიდევ ტექსტის ბოლო სტრიქონად დანარჩენი, ნოვაციით მიღებული, სტრიქონების გვერდით.

ყველა შემთხვევაში, ჩვენს წინაშეა მაგალითი იმისა, რომ საერო პოეტთა ხელში იამბიკოს ფორმა გადაკეთდება ჩვეულებრივ, პერცეპტულ ქართულ რიტმულ აგებულებად.

3.3.8. საბოლოოდ:

იამბიკოს ფორმაში, მიუხედავად საერთოდ ლექსთწყობისათვის დამახასიათებელი თვისებების, კერძოდ რეპროდუქციისუნარიანობის, არსებობისა, არ შეიძლება ვეძიოთ ქართული ვერსიფიკაციის საწყის ეტაპები, რადგანაც: 1) იგი არ არის ქართული ლექსთწყობის

სისტემის წევრი; სხვა სიტყვებით — მასში განხორციელებული პრინციპების მიხედვით არ შექმნილა და არ განვითარებულა ქართული ლექსთწყობა; საბოლოო ჯამში — ქართულში რეალიზებული, იგი არცერთი სისტემის წევრი არ არის. 2) მასში ჩანს კვალი საკუთრივ ქართული ლექსთწყობის პარალელური ფუნქციონირებისა. და აქაც იგივე მდგომარეობაა, რომელიც აღინიშნა წინა პარაგრაფში: ქართულ ფორმას უპირისპირდება უცხო, მაგრამ ქრისტიანული, გარემოს ბაზაზე შექმნილი ფორმა.

რჩება პასუხის გაცემა კითხვაზე: შეიძლება თუ არა მასში დანახვა ქართული პოეზიის საწყისი, პირველი საფეხურებისა.

IV

ქართული ლექსთწყობის რეალიზების უქველესი ფრაგმენტული ნიმუშები

4.1. ზემოთ თქმულის მიხედვით, ჩამოსაყალიბებელია შემდეგი დებულება: საერო და საეკლესიო პოეზიის პირობითი დიფერენცირება ჩვენთვის ნიშნავს იმას, რომ პირველი იყენებს ქართული ლექსთწყობის ცნობილ სისტემას, მეორე — არა (მეორე შემთხვევაში გარკვეული ქრონოლოგიური ჩარჩოები იგულისხმება); სხვა სიტყვებით — ამ კრიტერიუმით: საერო პოეზია ის პოეზიაა, რომელსაც ფორმალურ ბაზად ქართული ლექსთწყობის სისტემა აქვს, სასულიერო — ის პოეზია, რომელსაც ბაზად აქვს ის, რაც არ შედის ამ სისტემაში. (ამავე კრიტერიუმით: იმ შემთხვევაში, როდესაც „საერო“ პოეტი, ვთქვათ, ბესიკი, მიმართავს იამბიკოს, თუ გავითვალისწინებთ სათანადო ნაწარმოების თემატიკასაც, იგი „სასულიერო“ პოეტია).

მაშინ ჩამოსაყალიბებელია შემდეგი დებულება: ქართული პოეზიის ფიქსირებული განვითარების პირველ საფეხურებზე პოეტური კულტურა, გამოვლენილი სასულიერო პოეზიის ნიმუშებში, თავისთავად ძალიან მაღალ (უმაღლეს) დონეს გვიჩვენებს, მაგრამ ამ კულტურის რეალიზაცია არ ეხება ქართული ლექსთწყობის ჩვენთვის დღეისათვის აღქმად სისტემას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხი შემდეგნაირად შეიძლება დავავყენოთ: ქართული პოეზიის განვითარების საწყისი საფეხურები. (ე. ი. გან-

ვითარებაში ქვედა ზღვარი) 1) შეიძლება განისაზღვროს სასულიერო პოეზიაში შემონახული პირველი ნიმუშებით — ან იმ ნიმუშებით, რომლებიც გვაქვს ფიქსირებული სახით, ან იმ ნიმუშებით, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს მომავალში, როგორც ქრონოლოგიურად უფრო ძველი მდგომარეობის ფაქტები; 2) ამავე შესაძლებლობათა ფარგლებში, შეიძლება დადგენილ იქნას არასასულიერო პოეზიის, ე. ი. საერო პოეზიის (ზემოთ მითითებული გაგებით) პირველი ნიმუშები.

მეორე შემთხვევა — იმის გათვალისწინებით, რომ სასულიერო პოეზიის ნიმუშები ქრონოლოგიურად უფრო ძველია, იმას ნიშნავს, რომ სათანადო ანალიზმა შეიძლება მოგვცეს საბაბი უფრო ძველი მდგომარეობის რეკონსტრუირებისათვის. საბოლოო ჯამში, ჩვენ საქმე გვაქვს ისევ ქართული ლექსთწყობის სისტემის, როგორც ასეთის, მატერიალური ფუნქციონირების პირველი, საწყისი საფეხურების დადგენასთან.

4.2. წინა თავში განხილულმა ნიმუშებმა იმ საერთო დასკვნის საშუალება მოგვცეს, რომ ისინი არ გამოდგებიან ქართული ლექსთწყობის ფორმალურ წყაროდ; რეკონსტრუირების პოზიციებიდან, მათი ანალიზი პრაქტიკულად არაფერს მოგვცემს სისტემის ლიტერატურული ფუნქციონირების უძველესი (წერილობით უცნობი) ეტაპის გარკვევისათვის. მეორე მხრივ, ანალიზი გვიჩვენებს არა უბრალოდ იმ ფაქტს, რომ ქართული ლექსთწყობის სისტემა მოქმედია პარალელურად, არამედ იძლევა შემდგომი მსჯელობისთვის იმ საბუთად დასკვნის გამოტანას, რომ იგი შეგნებულად უარიყოფა, მაგრამ მაინც ფუნქციონირებს და ტოვებს კვალს თავისი ფუნქციონირების ფარგლებს გარეთ, ე. ი. ამ ველშიც მოქმედებს ლატენტურად. ატენტი დასკვნაში სწორედ უარყოფის მომენტზე უნდა გაკეთდეს, რაც 1) თავისთავად უარყოფაში მყლავნდება, როდესაც იქმნება ისეთი ფორმები, რომლებიც არ ქმნიან ლექსთწყობას, არ აღიქმებიან და არ მკვიდრდებიან (თვითონ უარიყოფიან შემდგომი განვითარების ძიერ); 2) მყლავნდება იმაშიც, რომ გავლენის კვალს ტოვებს.

ამ ასპექტში განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ზემოთ გამოთქმული თეზისი — „სასულიერო პოეზიაში გამოვლენილი მაღალი პოეტური კულტურა არ ეხება ქართული ლექსთწყობის სისტემას“ —

არ არის აბსოლუტური შინაარსისა, მას აქვს გარკვეული გამოწკ-
ლისებიც: სასულიერო პოეზიის წიაღშივე (ან სასულიერო პოეტების
ხელში), როგორც უკვე აღვნიშნეთ, გვაქვს ქართული ლექსთწყობის
სისტემის სრულფასოვანი რეალიზების ნიმუშებიც.

პირველ რიგში, ეს არის ფილიპეს (მე-10 ს.) უკვე ნახსენები
აკროსტიქი, რომელიც მთლიანად სასულიერო პიმნის ნორმებს მის-
დევს, მაგრამ აქვს ერთი არსებითი გადახრა: მასში წარმოდგენილია
მაღალი შაირი — ქართული ლექსთწყობის სისტემაში მოცემული
ერთ-ერთი მეტრი. ყოველი სტრიქონის სტრუქტურაა $16 = 8 + 8 =$
 $(4 + 4) + (4 + 4)$.

ეს ნიმუში, კერძოდ, საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც
გარკვეულწილად იძლევა საშუალებას კიდევ ერთხელ ჩამოყალიბდეს
შემდეგი სამუშაო დასკვნა: ქართული ლექსთწყობის სისტემა უკვე
რეალიზებული იყო (იმ სახით, რომლითაც იგი განვითარების ჩვენს
ნიერ დადგენილი პირველი საფეხურისთვის იყო დამახასიათებელი),
შესაბამისად — არსებობდა მისი მატარებელი პოეზია, ოღონდ ამ-
გჯერად რეალიზებული ლექსთწყობის სამოქმედო ველში არ შედი-
ოდა საეკლესიო პოეზია (ან პირიქით — საეკლესიო პოეზიის სამოქ-
მედო ველში არ შედიოდა ლექსთწყობის სისტემა), რომელსაც თავი-
სი პოეტიკა და თავისი მეტრული ნორმები ჰქონდა. ამ პირობებში ზე-
მოთ მოტანილი აკროსტიქი იმას გვიჩვენებს, რომ მის ავტორს სხვა,
არსებული, სფეროდან გადმოაქვს მისი ელემენტი თავის საარსებო
სფეროში; მამსადამე, ფილიპეს ტექსტი წარმოადგენს, ერთი მხრივ,
გადახრას მოცემული „ჟანრის“ პოეტიკის ნორმებიდან (ან — ერთი
ნორმიდან), მეორე მხრივ, რაც ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთ-
რებით მნიშვნელოვანია, ანარეკლს სხვა პოეტური ნორმის რეალური
არსებობისა (კერძოდ, ამ პოეტური ნორმის ერთი ელემენტისა —
ლექსთწყობის სისტემისა), „სხვა პოეზიის“ არსებობისა.

სასულიერო პოეზიის წიაღშივე გვაქვს, როგორც ითქვა, შემ-
ცხვევა დაბალი შაირის სრული გამოჩენისა, თანაც — კლასიკური
ოთხსტრიქონედის სახით.

ჩვენთვის კიდევ უფრო საგულისხმო ჩანს სასულიერო პოეზი-
აში ისეთი ტიპის ტექსტის არსებობა, როგორიცაა, მაგალითად,
იოანე-ზოსიმეს „გუნდნი იგი ზეცისანი“:

გუნდნი იგი ზეცისანი
შენ, წმიდასა, განწყობითნი
გიგალობენ: მე უღირსი
შეგიერდები, რათა ვიყო
მათანავე შენგან უძაგ,

ესე შესხმა სულიერი,
შენ მიერვე მოცემული,
კაცთა მიერ მოლუაწეთა
ფრიად სიბრძნით გამოთქუმითა
შეიწირე ჩემ მიერცა
კაცთ-მოყუარე.

და ა. შ.

პირველი მონაკვეთი ჩვენს მიერ მოცემულია ოდნავ განსხვავებულად, ვიდრე პ. ბერაძის გამოცემაშია (იხ. საქ. მეცნ. აკადემიის „მოამბე“, ტ. IV, № 6, გვ. 591), კერძოდ — ისე, რომ ყველა სტრიქონი 8-მარცვლიანია (4+4), განსხვავებით გამოცემისეული სქემისა 8-8-4-8-8-4. საერთოდ, ტექსტი 6-მონაკვეთიანია, თითოეულში სტრიქონები 8-მარცვლიანია, სტრუქტურით 4+4, ერთგვარი გამოწკლისია მეორე, მეოთხე და მეხუთე მონაკვეთები, რომლებშიც 8-მარცვლიანი სტრიქონების გვერდით ბოლო სტრიქონად წარმოდგენილია ოთხმარცვლიანი სეგმენტი.

საბოლოოდ, შეიძლება იმის თქმა, რომ მოცემული ტექსტი რიტმულად ძირითადად აგებულია ორწევრედზე (4+4), მწყობრი ორგანიზაციის გარეშე.

იონანე-ზოსიმეს თხზულებაში, განსხვავებით ფილიპეს ტექსტისგან, ქართული ლექსთწყობის პრინციპული წესები მხოლოდ ნაწილობრივ აისახება — უმცირეს რიტმულ ერთეულში და არა მთლიან სალექსო ორგანიზაციაში. ეს ტექსტი ამიტომ არის ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო, რადგანაც ზემოთ თქმული იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს კვალი ქართულა ლექსთწყობის სისტემის ნაწილობრივი გავლენისა სასულიერო პოეზიის ფორმაზე. ეს

იმას ნიშნავს, რომ ფილიპესეული გადახრა ნორმიდან (resp. ნო-
კაცია) მდგომარეობს იმაში, რომ ავტორს შეგნებულად გადმოაქვს
ის, რაც (მზამზარეულად) არსებობს სხვა პოეტურ ნორმაში, ხოლო
იოანე-ზოსიმეს შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს შეუგნე-
ბელ გავლენასთან. ორსავე შემთხვევაში, ნათელია, რომ სასული-
ერო პოეზიის კანონების გვერდით არსებობს და მოქმედებს სხვა პო-
ეზიის კანონები, კერძოდ — რიტმული ორგანიზაციისა. მეორე შემ-
თხვევაში ქართული ლექსთწყობის სისტემის ფუნქციონირებაზე
მწიგნობა შეიძლება იმ თვალსაზრისით, რომ ჩანს კვალი მისი ნა-
წილობრივი გავლენისა — ე. ი. ჩანს მისი ზემოქმედება — სასული-
ერო პოეზიის ფორმაზე. (ზემოთ მოცემულ კონტექსტში შეიძლება
მწიგნობა სხვა ფაქტებზეც, მაგალითად, მიქელ მოდრეკილის და-
ბალი შაირის სტრიქონზე — იხ. გ. იმედაშვილი, „ვეფხისტყაოს-
ნის“ პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, რუს-
თაგელის სახ. ლიტ. ინსტიტუტი, ლიტერატურული ძიებანი, II,
1945, გვ. 197—218).

4.3. მაგრამ მთავარი ის არის, რომ არც მე-10 საუკუნე და არც
მე-7—8, აგრეთვე არც ზემოთ განხილული შემთხვევები არ წარმო-
გვიდგენენ იმ უძველეს ნიმუშებს, რომლებშიც პირველადაა ასახუ-
ლი ქართული ლექსთწყობის სისტემა. გვაქვს ამ სისტემის ასახვის
გაცილებით უფრო ძველი შემთხვევები, შემონახული აგრეთვე სა-
სულიერო მწერლობის — მაგრამ არა პოეზიის — წიაღში.
მათი ანალიზი და სათანადო (ახლებური) ინტერ-
პრეტაცია იძლევა საშუალებას, ვილაპარაკოთ ქართული ლექსთ-
წყობის და მასზე დამყარებული პოეზიის ფუნქციონირების უძვე-
ლესი საფეხურების შესახებ, რომლებიც საკუთრივ სასულიერო პო-
ეზიის ნიმუშებს დროში წინ უსწრებენ. (ამ შემთხვევაში სასული-
ერო პოეზიის განხილული ნიმუშები იამბიკოს და სხვა ტიპისა არა
მარტო იმ მიზეზების გამო ვერ იქნებიან ქართული ლექსის განვი-
ჯარების საწყისი საფეხურების ამსახველი, რომლებზეც ზემოთ იყო
საუბარი, არამედ იმის გამო, რომ შეიძლება განისაზღვროს მათზე
უფრო ძველი სიტუაციის არსებობა).

მხედველობაშია სასულიერო ლიტერატურის ძეგლებში აღმო-
ჩენილი, ჩვენთვის საინტერესო საკითხის პოზიციებიდან განსაკუთ-

რებული მნიშვნელობის მქონე, ნიმუშები ისეთი უმცირესი სიგრძის მეტრული სტრუქტურების, კერძოდ — სტრიქონის, რეალიზაციისა, რომლებიც ქართული სალექსო (რიტმული) მეტყველების მატარებლისათვის პერცეპტულია როგორც ნორმალური ქართული ლექსი. ვითარება ასეთია: ერთი მხრივ, უძველესი ქართული პოეტური თხზულებები არ არიან შესრულებული ქართული ლექსთწყობის კანონების მიხედვით, მეორე მხრივ, გვაქვს მათზე უფრო ძველი თარგმნითი პროზაული(!) ტექსტები, რომლებშიც ციტატის სახით მოცემულია ლექსითი ფრაგმენტები და ყველა ისინი ქართული ლექსთწყობის რეალიზაციას წარმოადგენენ.

საკითხის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ იმ ფაქტს აქვს, რომ საკუთრივ ქართული ლექსთწყობის ამსახველ პირველ ნიმუშებს გვაწვდის არა პოეზია, არამედ — როგორი საოცარიც არ უნდა იყოს — პროზა (ფრაგმენტულად). ჩვენ უკვე საბოლოო სახით შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ შემდეგი სამუშაო დებულება: ეს ფაქტი მეტყველებს არა მარტო იმაზე, რომ ქართული ლექსთწყობა ჩამოყალიბებული იყო იქამდე, ვიდრე გაჩნდნენ ჩვენამდე შემონახული უძველესი პოეტური თხზულებები (შესრულებულნი არა ამ ლექსთწყობის მიხედვით), არამედ, რაც მთავარია, იმაზე, რომ სასულიერო პოეზიამ შეგნებულად უარყო ტრადიციული ფორმა, ხოლო ის სიტუაცია — შეგნებულად უარყოფილი — უნებლიეთ აისახა თარგმნილ პროზაულ ტექსტებში.

ამგვარად, უძველესი პროზაული ტექსტები გვაძლევენ: 1) უძველეს ქართულ ლექსით ნიმუშებს; 2) ახსნას მთლიანი (უცნაური) სურათისა: რატომაა უძველესი სალექსო ფორმები შემონახული პროზაში და არა პოეზიაში.

ამ საკითხების გარკვევა უკავშირდება ქართული პოეზიის ქრონოლოგიური ჩარჩოების საკითხს.

4. 4. რაც შეეხება უძველეს სალექსო სტრიქონებს, ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ოცმარცვლიანი ლექსის ერთი სტრიქონი ევსები კესარიელის თხზულების „წამებაი წმიდისა პროკოპისი“ ქართული თარგმანიდან, რომელიც პირველად შენიშნა ჰომეროსისადმი უძველეს ქართულ მწერლობაში ინტერესზე მსჯელობისას პავლე ინგოროყვამ (პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო

ექვედრობა, რუსთაველის კრებული, 750, გვ. 51): „არა კეთილ არს მრავალ-უფლებამ, ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფმ“.

ქართული ტექსტი წარმოადგენს თარგმანს ბერძნული ორიგინალისა — პროზაული თხზულებისა, რომელშიც ციტატის სახით მოტანილია ჰომეროსის „ილიადას“ პოეტური ნაწყვეტი (ჰექსამეტრით შესრულებული); ზემოთ მითითებული ოცმარცვლიანი ქართული ლექსითი სტრიქონი ორიგინალის ამ ნაწყვეტს შეესაბამება — ქართულ თარგმანში (პროზაულ ტექსტში) მოტანილი ოცმარცვლიანი სტრიქონი (ფისტიკაური) წარმოადგენს ლექსით თარგმანს ჰომეროსის ციტატისა, რომელიც მოცემულია სათარგმნ ტექსტში. ეს უნდა ნიშნავს, რომ განსახილველი სტრიქონი მართლაც ლექსია — სალექსო სტრიქონი, და არა შემთხვევით აღმოცენებული თანამიმდევრობა სიტყვებისა, რომელიც ემთხვევა ქართულ სალექსო რიტმულ სტრუქტურას. კონტექსტი, რომელშიც მოცემულია ეს სტრიქონი, ასეთია (ტექსტი იხ. კ. კეკელიძე, ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, II, 1946, გვ. 113):

„მაშინ წმიდამან მან მოწამემან ღმრთისამან ესეცა სიტყუაჲ ფრომს განვეკიცხა ფრიად და პირველთა მათ უმეროსისთა წარიღებდა სტრიქონთა, რომელ იგი მათ ყოველთა მიერ სიტყუსოქმედთა განსაკრეველ იყო. და თქუა ესრტთ: „არა კეთილ არს მრავალ-უფლებამ, ერთ უფალ იყავნ და ერთ მეუფმ!“

ქართული თარგმანი — უშუალოდ ბერძნულიდან — შესრულებულია არა უგვიანეს მე-7 საუკუნისა (კ. კეკელიძე, დას. ნაშრ., გვ. 109). სავარაუდებელია მე-5 და მე-6 საუკუნე (კ. ინგოროყვა, დას. აშრ., გვ. 52; ს. ყაუხჩიშვილი, ეფრემ მცირე და ბერძნულ-ბიზანტიური ლექსთწყობის საკითხები, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXVII b, 1946, გვ. 73).

საბოლოოდ, სტრიქონი, სემანტიკურებული ქართული ვერსიფიკაციის ნორმების მიხედვით, ასე გამოიყურება:

არა კეთილ არს / მრავალუფლება
ერთ უფალ იყავნ / და ერთ მეუფე.

ანალიზის პოზიციიდან, განსაკუთრებულად აღსანიშნავია ის, რომ ამგვარი რამ — პროზაულ ტექსტში ერთი სალექსო სტრიქონის,

როგორც ციტატის, გამოჩენა — ჩვეულებრივი ვითარებაა, „გვაქვს სხვაგანაც და სხვა დროშიც. ეფრემ მცირე, მაგალითად, დიონისე არეოპაგელის თხზულების — „საიდუმლოდ ღმრთისმეტყუელებისათვის“, კერძოდ — მაქსიმე აღმსარებლის სქოლიონის, თარგმანში აკრეთვე გვაწვდის „ილიადას“ ერთი სტრიქონის (ჰექსამეტრი) შეს. ტყვისს (ს. ყაუხჩიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 71—73):

„ამას თანა შეისწავე ესეცა, ვითარმედ „მრავალსიტყუა“ უწოდინ მრავალ-მეტყუელსაცა, ხოლო აქა უღრმესითა სიტყუთა დიდი ესე მოძღუარი „მრავალსიტყუად“ იტყვს მრავალთა სიტყუათა მოქნეობასა ღმრთისათვის რასმე თქუმად და ეგრეთვე „მცირე-სიტყუობაჲ“ სხუაგან მცირედ-მეტყუელისათვის ითქუმის, ხოლო აქა ნაცვლად გამოუთქუმელობისა და მცირედ-სათქუმელობისა, და უმცირესი სიტყუობაჲ, ვითარ იგი „პირმშო-შობ“ განყო უმბროს, რაჲთა რაჲჟამს ესრეთ გაჰკრას პირმშო-შობ ყრმასა მოასწავებდეს პირმშოდ შობილსა. ხოლო რამეთუ ესრეთ თქუას პირმშო დედაკაცსა იტყოდის პირმშოდ მშობელსა, რომლისათვის იგივე უმბროს იტყვს: „ბარბით მცემელობს პირმშო-შობ ვერ მეცნიერი შობისაჲ“.

ჰომეროსის ციტატა:

ბარბით მცემელობს / პირმშო-შობ
ვერ მეცნიერი / შობისა.

როგორც ვხედავთ, აქ 16-მარცვლიანი დაბალი შაირია წარმოდგენილი. ეფრემ მცირეს ოცმარცვლიანი ფისტიკაურის სტრიქონიც აქვს გამოყენებული ჰომეროსის ჰექსამეტრის სათარგმნელად, მაგალითად (იხ. პ. ინგოროყვა, დას. ნაშრ., გვ. 52), „ელინთა ზღაპრობანში“ („ზღაპრობანი, რომელნი საწარმართოთა წიგნთაგან მოუჯსენებიენ წიგნთა შინა თუსთა წმიდასა და დიდსა ღმრთისმეტყუელსა გრიგოლის“), რომელიც ნონეს (მე-6 ს.) კომენტარებს წარმოადგენს გრიგოლ ნაზიანზელის სათანადო ადგილებისთვის. კერძოდ, კომენტარის — „თხრობანი (ზღაპრობანი) დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შინა შემოღებულნი“ თარგმანში „ილიადას“ ჰექსამეტრული ციტატა თარგმნილი:

„ომბროსს გამომეტყუელსა ენება რაჲ გამოჩინებაჲ სიმახულისა და მკურვალეობისაჲ, რომელ აქუნდა დიომიდის ბრძოლათა, იგავეთ

ქობამსგავსა იგი იროას და გამოთქუა მისთვის სიტყუად მარცულელი.
ეთარმედ: ამის ვისიმე დგომა ცხენისა სასმენელ იქმნა ბაგათა
"ზედა" (ტექსტი იხ.: ილ. აბულაძე, ელინთა ზღაპრობანი, ენიმკის
მოამბე, X, 1941, გვ. 28).

ჰომეროსის ციტატა:

ამის ვისიმე / დგომა ცხენისა
სასმენელ იქმნა / ბაგათა ზედა.

ეს ფაქტები — რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, მე-5-7 საუ-
კუნის თარგმანი და მასში შემონახული ერთი სალექსო სტრიქონი,
ქართული ლექსთწყობის კანონების მიხედვით შესრულებული (ქვე-
მოთ ვისაუბრებთ იმაზეც, რომ არსებობს უფრო ძველი ნიმუშიც და
სტრიქონზე უფრო მოკლე სალექსო მონაკვეთიც) — განსაკუთრე-
ბული ყურადღებისა და ანალიზის ღირსია. ისინი ახლებურ გააზ-
რებას მოითხოვს. ყველა შემთხვევაში, არ იქნება სწორი მსჯელობა
მხოლოდ უძველეს ნიმუშზე და, რაც მთავარია, მეტრის ჩანასახზე
ან საწყის ფორმაზე.

სათანადო დასკვნების მისაღებად ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ
შემდეგი მონაცემები:

ა. ყველა დასახელებულ შემთხვევაში საქმე გვაქვს პროზაულ
ძეგლთან;

ბ. საქმე გვაქვს სასულიერო მწერლობის ძეგლთან;

გ. სასულიერო მწერლობის ძეგლი გვაწვდის არასასულიერო
პოეზიის ნიმუშს, ქართული ლექსთწყობისთვის მარკირებული ფორ-
მით;

დ. გვაწვდის არა სრულ ან მოზრდილ (ვერსიფიკაციული თვალ-
საზრისით) ლექსით ნიმუშს, არამედ უმოკლეს ნაწყვეტს.

ამ მონაცემების ანალიზისათვის უნდა შემოვიტანოთ ცნება
ფრაგმენტისა, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ნიშნავს
მოცემული ტექსტის ნაწილს, არამედ ნაწილს პოეტური, კერძოდ
ვერსიფიკაციული, სიტუაციისა, მის ფრაგმენტულ ასახვას.

მაშინ უნდა ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დებულებები:

ქართული ტექსტის ავტორი (მთარგმნელი) თარგმნის ლექსით
ლიტატას, ფრაგმენტს (ერთსტრიქონიანს) ჰომეროსიდან — არა

ჰომეროსის ტექსტიდან, რომელიც მას წინ არ უდევს, არამედ სა-
თარგმნი ტექსტიდან, რომელიც მას წინ უდევს და რომელშიც წარ-
მოადგენილია ჰომეროსის ტექსტის ფრაგმენტი, და იგი მასაც თარ-
გმნის. თარგმნის რა ლექსს ლექსად (სალექსო ფრაგმენტს სალექსო
ფრაგმენტად), იგი ქმნის დედნის ადეკვატურ სურათს, რაც ლექს-
მცოდნეობის ენაზე ასე აღიწერება: იგი ქმნის ქართულ ერთსტრი-
ქონიან სალექსო ტექსტს, შესრულებულს ქართული ლექსთწყობის
კანონების მიხედვით (ისევე, როგორც დედანში წარმოადგენილი ჰო-
მეროსის ნაწყვეტი სათანადო ლექსთწყობის კანონების მიხედვითაა
შესრულებული), ე. ი. ქმნის ფრაგმენტს (ერთსტრიქონიანს) ქარ-
თული ლექსისა (ისევე როგორც ჰომეროსის ციტატა წარმოადგენს
ფრაგმენტს ბერძნული ლექსისა). ასეთი ფრაგმენტი არ შეიძლება
განვიხილოთ გამოვლენად მოცემული ქართული რიტმული აგებუ-
ლების ჩასახვისა, არ შეიძლება მივიჩნიოთ საწყის ეტაპად, — პირ-
იქით, ის, როგორც ფრაგმენტი, უნდა წარმოადგენდეს ამ მოცემუ-
ლი აგებულების სრულად, არა ერთ სტრიქონად, არა ფრაგმენტუ-
ლად, რეალიზაციის არსებობის შემდგომი ვითარების ასახვას.

4. 5. უფრო დეტალურად შემდეგ დასკვნებს ვიღებთ:

1) ქართული ლექსთწყობის სისტემის რეალიზაციის პირველ,
ჩვენამდე მოღწეულ, ნიმუშებს ქმნის სასულიერო მწერლობა. მაგრამ
უნდა დაისვას შემდეგი კითხვა: როგორ და რატომ ქმნის, რომელ
სამოქმედო კანონებს მისდევს ამ დროს, და საბოლოოდ — რა ვითა-
რების ამსახველია ეს პროცესი? ამ ასპექტში შეტად საყურადღე-
ზოა სიმონ ყაუხჩიშვილის ერთი დაკვირვება, რომლის მიხედვითაც
შეიძლება ვიმსჯელოთ სასულიერო მწერლობის დამოკიდებულებაზე
პოეტური ფორმებისადმი, კერძოდ — საზომებისადმი. დაკვირვება
იმაში მდგომარეობს, რომ ეფრემ მცირე დაქტილურ ჰექსამეტრს
სხვადასხვანაირად გადმოსცემს თარგმნისას: საღვთისმეტყველო პო-
ეტური ტექსტის გადმოღებისას მას ქართულში უფარდებს იამბიკოს,
ხოლო, როდესაც თარგმნის ჰომეროსის ტაქტებს, მიმართავს დაბალ
შაირსა და ფისტიკაურს (ს. ყაუხჩიშვილი, დას. ნაშრ., 71). იღვა
უფრო სრულადაა გამოთქმული ნაშრომის რუსულ რეზიუმეში:
«...в византийскую эпоху гекзаметры христианского содержа-
ния грузинские переводчики передавали ямбическим разме-

რომ, ა გექამეტრე ნეხრისტიანსკოგო ხარაქტერა პერევიდილი რაზმერაში, თაკ სკაზათ, სვეტსკოგო ხარაქტერა». აქ კონკრეტულად ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ეფრემ მცირეს არეოპაგელის ხუთი ტრაქტატი აქვს თარგმნილი, ყოველ მათგანს წინ უძღვარებს თარგმნილ ეპიგრაფებს, რომლებსაც იძლევა იამბიკოს ფორმით (ძირითადად 5+7 სქემისა), მაგრამ, როდესაც ერთ-ერთ ტრაქტატში („საიდუმლოდ ღმრთისმეტყველებისათვის“) მაქსიმე აღმსარებლის გრამატიკულ კომენტარში ხვდება „ილიადას“ სტრიქონი, იმავე ვერსიფიკაციულ სურათს (ჰექსამეტრი). გადმოიღებს დაბალი შაირით; რაც შეეხება ოცმარცვლიან სტრიქონს, იგულისხმება ფრაგმენტი „ელინთა ზღაპრობანიდან“.

ყველაფერი თქმული იძლევა საშუალებას შემდეგი სურათი აღვადგინოთ: სასულიერო მწერლობა (პროზაულ ტექსტებში) შემოგვინახავს ქართული ლექსთწყობის ამსახველ ფრაგმენტებს, მაგრამ შემონახვა გულისხმობს იმას, რომ არსებობს და მოქმედებს გარკვეული შემზღუდველი ნორმა, რომლის მიხედვითაც სასულიერო ავტორმა უნდა მიმართოს მხოლოდ გარკვეულ ვერსიფიკაციულ ფორმას, ხოლო ამის გვერდით, სპეციფიკურ შემთხვევებში, როდესაც სათარგმნი პოეტური პასაჟი არასასულიერო შინაარსისაა, საჭიროა სხვა ვერსიფიკაციული ფორმის გამოყენება. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი ფორმა (საკუთრივ ქართული ლექსთწყობის სისტემის ამსახველი) ბუნებაში არსებულია და მოქმედი; იგი, ერთი მხრივ, მოცემული შემზღუდავი ნორმის ობიექტია, მეორე მხრივ, საკუთარი, უკვე სხვა, ნორმის ელემენტია. რაც შეეხება იმ ნორმას, რომელიც სასულიერო მწერლობას კოდიფიცირებულ ხასიათს აძლევს, იგი გულისხმობს გარკვეულ სინამდვილეს, რეალობას, რომელთანაც დამოკიდებულებას თავისი წესები აქვს. ეს რეალობა ქართულ სპეციფიკას ასახავს, არ წარმოადგენს სხვა რეალობის ანარეკლს: ის ფრაგმენტები, რომელთაც ქართველი ავტორი (სათარგმნელი) დიფერენცირებულად ორ სხვადასხვა ფორმას უფარდებს, ბერძნულ დედანში ერთი და იმავე ფორმით, საზომით, არის წარმოდგენილი. და ბოლოს: მთელი აღწერილი (აღდგენილი) ვითარება ეხება იმ ეპოქასაც — მე-5-7 საუკუნეები, — რომელშიც ითარგმნა „წამებაჲ წმიდისა პროკოპისი“.

2) ქართული ლექსთწყობის სისტემის ამსახველ პირველ ჩვენამდე მოღწეულ ნიმუშებს სასულიერო მწერლობა ქმნის ფრაგმენტების სახით — პირველ ყოვლისა, პოეზიის ფრაგმენტების სახით. იგულისხმება, რომ არსებობს პოეზია, რომელიც, კერძოდ, მარკირებულია, როგორც ლექსთწყობის გარკვეული სისტემის მქონე (და ამით განსხვავებულია სხვა, სასულიერო, პოეზიისგან, რომელიც, კერძოდ, მარკირებულია როგორც ამ სისტემის არმქონე). სასულიერო მწერლობა (რომელიც სხვა, ჩვეულებრივ, შემთხვევაში სხვა, ჩვეულ, ფორმას ხმარობს) იძლევა სწორედ ამ პოეზიის ფრაგმენტს, თარგმნის რა პომეროსის ციტატას, რომლისთვისაც სწორედ ეს პოეზიაა შესაფარდი. მაშასადამე, როგორც ბერძნულ ტექსტში მოტანილი ერთი ნაწყვეტი წარმოადგენს ფრაგმენტს „ილიადასი“ და მოცემული პოეზიისა (მათ შორის, გამოყენებადი ვერსიფიკაციული სისტემის ასახვისა), ასევე ქართულ ტექსტში (თარგმანში) მოტანილი ერთი 20-მარცვლიანი (ან სხვა) რიტმული სტრიქონი წარმოადგენს ფრაგმენტს იმ პოეზიისა, რომელიც არსებობს.

3) სასულიერო მწერლობა, გარდა ამისა, ქმნის ქართული ვერსიფიკაციული სისტემის ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელი ვითარების ფრაგმენტს. სახელდობრ, დასახელებული ძეგლი გვიჩვენებს ლექსთწყობის სისტემის მეტრული სახის ერთ წევრს — 20-მარცვლიან სტრიქონს სტრუქტურით $(5+5)+(5+5)$. („გადმოღება უცხო თხზულებისა არ იყო მექანიკური აღქმის პროცესი, არამედ პროცესი შემოქმედებითი გადამუშავებისა და თავის საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუებისა“, — კ. კეკელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები, ტ. I. 1956, გვ. 183).

4) რაც მთავარია, ამ ფრაგმენტს სასულიერო მწერლობა ქმნის პროზაულ ტექსტში ჩართული ერთი სალექსო სტრიქონის სახით (კიდევ უნდა გავიშეოროთ, რომ „ფრაგმენტი“ აქ არ ნიშნავს არსებული ტექსტის ნაწილს); ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, მაგალითად, ეფრემ მცირეს პომეროსის გადმოტანისას ორსავე შემთხვევაში ხელთ ჰქონდა მხოლოდ მოცემული ერთი სტრიქონი — იმ ბერძნული ტრაქტატის მიხედვით, რომელსაც იგი თარგმნიდა, — და კონტექსტს არ იყნობდა, რის გამოც შინაარსობრივად ციტატა არაზუს-

ტადაა თარგმნილი, — იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 73; რა თქმა უნდა, მას ხელთ არავითარი კონკრეტული ქართული ტექსტიც არ ჰქონდა). ეს ფაქტი განსაკუთრებით საგულისხმოა. ა) მეტრს ან მეტრულ სტრუქტურას, რომელიც გამჟღავნებულია ერთ სტრიქონში, ვერ „გააკეთებდა“ ან პირველად ვერ გამოიყენებდა (ქართული სალექსო სისტემის კანონების მიხედვით) მოცემული ერთი სტრიქონის ავტორი, მას „გააკეთებდა“ ან პირველად გამოიყენებდა სრული რიტმული ტექსტის ან სრული რიტმული მონაკვეთის ავტორი. სხვა სიტყვებით, ერთი სალექსო სტრიქონის, როგორც ციტატის, „გაკეთებისას“ უკვე უნდა ყოფილიყო სრული რიტმული მონაკვეთის შემცველი ლექსითი ტექსტები, რომლებშიც მოცემული რიტმული სტრუქტურა მთლიანად იქნებოდა რეალიზებული. ბ) მოცემულ ერთ სტრიქონში გამოხატული მეტრის სახე ვერც დედნის მიბაძვით „გაკეთდებოდა“, — დედნის მიბაძვით, უფრო ზუსტად, დედნის მეტრისთვის (ჰექსამეტრისთვის) დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით, „გაკეთდებოდა“ ტექსტი ან რაღაც ნაწილი დასრულებული მონაკვეთის სახით. საგულისხმოა, რომ პოეტროსის სტრიქონებისათვის ქართულში ჩვენ ვხედავთ ორ სხვადასხვა საზომს — ფისტიკაურსა და დაბალ შაირს, ე. ი. გვაქვს სიტუაცია, როდესაც არჩეულია გარკვეული მეტრები და უარყოფილი — სხვა, კერძოდ 4+4 კომბინაციაზე აგებული მაღალი შაირი (იმ დროისათვის, როდესაც თარგმნიდა ეფრემ მცირე, უკვე იყო ფილიპეს „ფესვთა მათგან ოქროანთა“); მაგრამ არჩევა ნიშნავს სწორედ არსებული, მოქმედი რეპერტუარიდან რაღაცის აღებას და რაღაცის უარყოფას.

5) საბოლოო დასკვნის მისაღებად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ერთი სტრიქონი შეიძლება გვაძლევდეს მეტრის სახეს, მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთად იგი აღიქმება მხოლოდ უფრო დიდი (დასრულებული) სალექსო მონაკვეთის შემადგენლობაში (ლექსმცოდნეობაში საკმაო ხნის წინ მიღებული დებულება, გამოთქმული მრავალგერ, — იხ., მაგ., В. Жирмунский, Введение в метрику, Л. 1925, გვ. 67); მასში იგი გამოვლენილია და ეს რეგულარული გამოვლენა მარკირებულსა და აღქმადს ქმნის მის რიტმულ ბუნებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, გენეზისის თვალსაზრისით, ერთი სალექსო

სტრიქონი, მოცემული პროზაულ ტექსტში (ის, რომ იგი სალექსო სტრიქონია და არა შემთხვევითი აგებულება პროზაულ ტექსტში, როგორც ვთქვით, მარტივად მტკიცდება, რადგანაც იგი წარმოადგენს ბერძნული ლექსითი ნაწყვეტის ეკვივალენტს), არ შეიძლება ჩაითვალოს საზომის ჩანასახად; პირიქით — მისი გამოჩენა ასეთ პოზიციაში ნიშნავს იმას, რომ უკვე არსებობს მეტრული სისტემა, რომლის რეალიზაციებში გვაქვს სტრიქონთა რეგულარულ გამეორებადობაში გამჟღავნებული რიტმული სტრუქტურები, და მხოლოდ მისი არსებობის ფონზე ხდება შესაძლებელი, ერთი მხრივ, ერთსტრიქონიანი სალექსო მონაკვეთის, როგორც ასეთის, მოტანა პროზაულ ტექსტში, მეორე მხრივ, ერთსტრიქონიანი სალექსო მონაკვეთის, როგორც ასეთის, ამოცნობა. როგორც ბერძნული ტექსტის ავტორს პქონდა საშუალება ჩაერთო ერთი სტრიქონი „ილიადადან“ იმიტომ, რომ არსებობდა მთელი „ილიადა“, რომლის ფრაგმენტადაც აღიქმებოდა მოტანილი ერთი სტრიქონი, — ასევე ქართული ტექსტის ავტორს შეეძლო მოეტანა ერთი 20-მარცვლიანი სალექსო სტრიქონი მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე არსებობდა და მოქმედებდა მთელი სალექსო სისტემა, კერძოდ 20-მარცვლიანი სტრიქონების შემცველი მეტრით, რომლის ფრაგმენტადაც აღიქმებოდა მოცემული ერთი სალექსო სტრიქონი. სხვა სიტყვებით: ავტორს ან მთარგმნელს მხოლოდ მაშინ აქვს შესაძლებლობა მოიტანოს ერთსტრიქონიანი მონაკვეთი, როგორც რიტმული ლექსის რეპრეზენტაცია, როდესაც მას „წინ უღევს“ მთელი სალექსო სისტემა, რომლის სრულ პოეტურ ტექსტებში ამგვარი სტრიქონი რიტმული სტრუქტურის ფრაგმენტს წარმოადგენს; ხოლო ადრესატი მხოლოდ მაშინ აღიქვამს მას, როგორც ლექსს, როდესაც მასაც „წინ უღევს“ იგივე სისტემა. სხვანაირად არც რიტმული ინფორმაციის კოდირება იქნება შესაძლებელი, არც მისი დეკოდირება.

4.6. საბოლოოდ ასეთი დასკვნა უნდა ჩამოვაყალიბოთ:

იმ დროისათვის, როდესაც გვაქვს პროზაულ ტექსტში ჩართული პირველი ნიმუში სალექსო სტრიქონისა, ქართული ლექსთწყობის სისტემა (რეალიზებული დაახლოებით იმ სახით, რომელსაც ვხედავთ მე-18 საუკუნემდე პერიოდში) დიდი ხანია მოქმედია, ჩვეულებრივი და ავრცელებული. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სწორედ

დიდი ხანია მოქმედია: მე-5—7 საუკუნეები (როგორც ითქვა, არც ეს საუკუნეებია ქრონოლოგიური ქვედა ზღვარი) განვითარების ის ეტაპია, როდესაც შეიძლება ერთი სალექსო სტრიქონის (რომელიც სხვა გამეორებად, ამავე სტრუქტურისა და სიგრძის მონაკვეთებთან მეზობლობის გარეშე ვერ შექმნის რიტმულ სახეს, და წარმოადგენს ფრაგმენტს იმ სიტუაციისა, როდესაც გვაქვს ნაწარმოებები, რომლებშიც ეს სახე სრულადაა წარმოდგენილი) მოტანა და მკითხველი მას ცალსახად აღიქვამს როგორც სალექსო სტრიქონს, ვინაიდან ხედავს ფრაგმენტს ისეთი დასრულებული რიტმული სტრუქტურისა, რომლის ერთეულსაც სტრიქონი წარმოადგენს. ისევე როგორც მე-20 საუკუნის მეცნიერმა-მკითხველმა დაინახა ძველ პროზაულ ტექსტში ჩართულ სტრიქონში მისთვის ჩვეულებრივი და აღქმადი 20-წარცვლიანი ლექსის სტრუქტურა, ასევე უნდა დაენახა — ინტუიტიურად — მე-5 თუ მე-6 საუკუნეების მკითხველს იგივე სტრუქტურა. საეკლესიო მწერლობის ავტორი თუ მთარგმნელი ლექსითი წაწყვეტის შექმნისას იყენებდა იმას, რაც უკვე დიდი ხნის დამკვიდრებული იყო იმ პოეზიის რიტმული ბუნების სახით, რომლის სისტემა სასულიერო მწერლობისათვის (კერძოდ პოეზიისათვის) არ იყო კანონიზებული, არ იყო მიღებული ლიტერატურულ წრეებში — საეკლესიო მოღვაწეობის ცენტრებში, და ამიტომ სრული სახით არ შემოგერჩა. აქ პოეზია, ბიზანტიური ეტალონის მიხედვით, ან „ურიტიმო“ იყო, ან — უფრო გვიან — იამბიკოს ფორმისა, ბიზანტიურის მიმსგავსებითვე. მხოლოდ სპეციფიკურ შემთხვევებში ამ მწერლობამ შემოგვინახა მეტრული ვითარების ფრაგმენტები. მთელ ვითარებას კარგად გამოხატავს სწორედ ის გარემოება, რომ საეკლესიო ავტორები ზუსტად მისდევენ საეკლესიო პოეზიის ფორმის კანონს, მაგრამ სპეციფიკურ შემთხვევებში ასახავენ არასასულიერო პოეზიის მეტრიკისთვის დამახასიათებელ სურათს. ძალზე ნიშანდობლივია ასევე, რომ, მეორე მხრივ, ამ მეტრიკის კვალი თვით სასულიერო პოეზიის პრაქტიკაშიც გამოჩნდება ხოლმე: იმავე ფილიპეს (მე-10 ს.) მაღალი შაირის სტრიქონებზე აგებული ლექსი, ან მიქელ მოდრეკილის (მე-10 ს.) დაბალი შაირის სტრიქონი — „რომელმან სიბრძნე დაჰბადნა ცანი მაღალნი ძალითურთ“. ვითარებას ასევე ზუსტად ასახავს პირიქითა მიმართებაც: საერო პოეზია ასევე მხოლოდ

თავის მეტრულ კანონს მისდევს და მხოლოდ სპეციფიკურ შემთხვევაში — სასულიერო ან სასულიეროსთან ახლოს მდგომი თემატიკა — ასახავს სასულიერო პოეზიისათვის დამახასიათებელ რიტმულ სურათს. ასე მაგალითად, ბესარიონ გაბაშვილი წერს რამდენიმე ლექსს იამბიკოს ფორმით, რომელთა თემებია: წმიდა გიორგის შესახებ, ანტონ კათალიკოსის ქება, სამელოვიარო ოდა, ეპიტაფია. მაშასადამე, საერო პოეზიაც „შემოგვინახავს“ თავის წიაღში საეკლესიო პოეზიის რიტმულ სურათს (თუ წარმოვიდგინებთ, რომ დაკარგულია ძველი ჰიმნოგრაფიის ნიმუშები, მაშინ მე-18 საუკუნის პოეზია სპეციფიკური შემთხვევების სახით შემოგვინახავდა მის ფორმალურ სტრუქტურას).

4.7. საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ფიქსირდება საერო პოეზიის რიტმული ნიმუშები სრულად და არა შემთხვევითი ფრაგმენტების სახით შედარებით უფრო გვიან (შეიძლება საკითხის ასე დასმაც: რატომ ზდება იგი მიმდინარე ოფიციალური პროცესების სრულფუნქციონირების ლიტერატურული წვერი გვიან), სპეციალური მსჯელობის საგანია. ფაქტი ერთია: ნიმუშები მთლიანად არ აისახა საეკლესიო მწერლობაში და მასში მხოლოდ ფრაგმენტების სახით შემოგვრჩა. მოქმედებდა სრულიად ბუნებრივი მოვლენა: საეკლესიო მწერლობა 1) თხზავდა თავისი კანონის მიხედვით, რაც მეტრულ ნორმასაც გულისხმობს; 2) არ თხზავდა სხვა კანონის მიხედვით; 3) აფიქსირებდა და ავრცელებდა იმ ლიტერატურას, რომელსაც თხზავდა და რომელიც, კერძოდ, საკუთარი მეტრული ნორმის მიხედვით იქმნებოდა; 4) არ აფიქსირებდა და არ ავრცელებდა იმ ლიტერატურას, რომელიც, კერძოდ, სხვა მეტრულ ნორმას ემყარებოდა. თუ კვლავ გადავხედავთ პირიქითა მიმართებას, ვნახავთ, რომ საერო პოეზიამ თავისი ლექსთწყობის სისტემაში ადგილი არ მოუნახა იამბიკოს ფორმას, რომლის ძირითადი სტრუქტურა 5+7 (7+5-ც), ხუთმარცვლიანი მონაკვეთით სტრიქონის პირველი შემადგენელის პოზიციაში და შვიდმარცვლიანით — მეორეში, ეწინააღმდეგება ქართული ლექსთწყობის სისტემის კანონებს. საერო პოეზიამ არ შეიტანა იამბიკო თავის სისტემაში და არ თხზავდა მის მიხედვით (თუ მხედველობაში არ მივიღებთ კვლავ და კვლავ სპეციფიკურ შემთხვევებს და ცალკეულ ცდებს, რომლებიც შემდგომ აღარ გამეორებულან და არ შეუქმნიათ ჩვეულებრივი ვითარება).

V

ქართული პოეზიის დიაქრონიაში უძველესი, ფიქსირებული სწინა, საფიქსირის შესახებ

5. 1. ზემოთ ჩვენ ვცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ მითითებული ერთსტრიქონიანი ლექსითი ციტატების სათანადო ანალიზი და კვალიფიკაცია იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ ამგვარი შემთხვევები არ შეიძლება ასახავდნენ სისტემის აღმოცენების საწყის მდგომარეობას და რომ ქართული ლექსთწყობის აქტიური ფუნქციონირება გაცილებით უფრო ადრეა დაწყებული, ვიდრე ჩვენამდე მოღწეული უძველესი პოეტური ტექსტების (მათ შორის — ერთსტრიქონიანი ციტატების) ეპოქაა. მაგრამ, როგორც ზემოთვე იყო მინიშნებული, არც მე-5—7 საუკუნეები და არც მათზე წინ ზემოთ მითითებული დრო არ არის ჩვენს მიერ ნაგვარადევი სიტუაციისთვის ქედა საფიქსირებრივი ზღვარი. და საერთოდ, ზემოთ წარმოდგენილი დასკვნები დაკონკრეტებას საჭიროებენ დროშიც და სივრცეშიც (ამ უკანასკნელში ლიტერატურულ-კულტურული პროცესები და მათი მიმართებები იგულისხმება).

ამ შემთხვევაში სათანადო დასკვნების მისაღებად, პირველ ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები ის, რომ ერთსტრიქონიანი ციტატების გარდა ქართულ თარგმნით ლიტერატურაში ნახევარსტრიქონიანი ლექსითი ციტატებიც გვაქვს, და ეს ფაქტი უფრო ძველია, ვიდრე ერთსტრიქონიანების გამოჩენა. ქართული ლექსთწყობის საზომით პოეტური ციტატების გადმოტანის ტრადიციის უძველეს ნი-

მუშს ვხედავთ „ახალი აღთქმის“ წიგნების, კერძოდ „საქმე მოციქულთაჲს“, ქართულ თარგმანში, რომელიც მე-4—5 საუკუნეებიდან ბომბინარეობს (ა. შანიძე, რედაქტორისაგან, წიგნში: საქმე მოციქულთა (ძველი ხელნაწერების მიხედვით), გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1950 წ., გვ. 05; ილ. აბულაძე, წინასიტყვაობა, იქვე, გვ. 012): აქ ლექსად გადმოტანილია ბერძნულ რედაქციაში მოცემული ლექსითი ციტატა არატე კილიკიელის (ძვ. წ. მე-3 ს.) პოემიდან. ამ ფაქტსაც (როგორც ბევრ სხვა რასმე) ყურადღება პავლე ინგოროყვამ მიაქცია (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 575). საინტერესო, როგორც ითქვა, ისაა, რომ შესაბამისი ბერძნული ფრაგმენტი ჰექსამეტრის ნახევარტაეპს წარმოადგენს და ქართულში მას ფისტიკაურის სწორედ ნახევარტაეპი აქვს მისადაგებული (რაც იმაზე მიუთითებს ერთმნიშვნელოვნად, რომ ქართული ფრაგმენტი ლექსითი, რიტმული მონაკვეთია და არა შემთხვევითი აგებულება):

„რამეთუ მის მიერ ცხოველ ვართ და ვიქცევით და ვართ, ვითარცა-იგი ვინმე თქუნებანსი სიტყეს მოქმედნი იტყუან: რომელსა-იგი ნათესავცა ვართ“ (ტექსტი იხ. „საქმე მოციქულთაჲს“ გაბოსცა ილია აბულაძემ, გვ. 133).

ლექსითი ციტატა:

რომელსა-იგი / ნათესავცა ვართ.

როგორც ცნობილია (იხ. ა. ურუშაძე, ბერძნულ-რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები, 1980, გვ. 35), ახალი აღთქმის ბერძნულ რედაქციაში გამოვლენილია რვა სალექსო ფრაგმენტი, შესრულებული ან ჰექსამეტრით, ან დაქტილური პენტამეტრით, ან იამბური ტრიმეტრით (Grammatik des neutestamentlichen Sprachidioms als sichere Grundlage der neutestamentlichen Exegese bearbeitet von Dr. Georg Winer, Leipzig, 1836, S. 560-562). ზემოთ მოტანილი ციტატა ერთ-ერთი მათგანის ქართული თარგმანია. სხვა ციტატები პროზად თარგმნილად უნდა ჩაითვალოს — თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ასევე პროზითაა პრაქტიკულად ყველა ისინი თარგმნილი სხვა ენებზეც (იხ. ა. ურუშაძე, დას. ნაშრ., გვ. 36), ეს სრულიად არ არის მოულოდნელი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ ბევრი მსგავსი ტიპის ცი-

ტატა — არა მარტო „ახალი აღთქმიდან“ — ქართულ თარგმანში სოგჯერ მიჩნეულია ლექსით მონაკვეთად, რაც ყოველთვის არ შეესაბამება სინამდვილეს. როგორც ჩანს, შეიძლება ჩამოვყალიბოთ მსგავსი შემთხვევებისათვის მინიმუმ ორი კრიტერიუმი, რომელთა ერთდროულად დაუცველად ამგვარი მონაკვეთები ლექსით ტექსტებად ვერ ჩაითვლება: ა. ორიგინალში — სათარგმნელ პროზაულ იხზულებაში — მოცემული ნაწყვეტი თავისთავად უნდა იყოს გამოყოფილი, რაც, კერძოდ, კარგად გამოიხატება მაშინ, როდესაც გვაქვს ციტირებული ლექსითი პასაჟი; ბ. ქართულში — თარგმანში — უნდა გვქონდეს მარკირებული მეტრული აგებულება. შეიძლება (სავარაუდოდ) არ გავრცელდეს ეს დებულება ტიტეს მიმართ პავლეს ეპისტოლეში ეპემენიდეს (ძვ. წ. მე-7-6 საუკუნეები) ერთი ჰექსამეტრული ტაქტის ქართულ თარგმანზე (რომელიც ასევე უძველესია — მე-5 ს.): „...თქუა ვინმე მათგანმა, თუსმანე მათმან წინააღმართეცუელმან: კრეტელნი მარადის მტყუარნი, მვეცნი ბოროტნი, მუცელნი უქმნი“ (პავლენი, გამოსატყვამად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ, 1974, გვ. 450). ქართულ სტრიქონში შეიძლება დავინახოთ ორი ნახევარხანა, მთლიანი სტრუქტურა: 9 + (5 + 5):

კრეტელნი მარადის მტყუარნი,
მვეცნი ბოროტნი, / მუცელნი უქმნი.

გარკვეული დაშვებით (გარკვეული კონიექტურის მოშველიებით) შეიძლება აქ ვიგულისხმოთ ფისტიკაურის სტრიქონი.

ყველა შემთხვევაში ერთი ფაქტი უტყუარია: მე-4-5 საუკუნეების ქართული „საქმე მოციქულთა“ ბერძნული ჰექსამეტრის ნახევარსტრიქონის ქართულ ეკვივალენტად გვაწვდის ფისტიკაურის ნახევარსტრიქონს.

4.2. ამ მოვლენის ადექვატური კვალიფიკაციისათვის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ანალოგიურად (უპოკლესი ლექსითი ფრაგმენტის სახით) ჰექსამეტრის გადმოცემის უფრო გვიანდელ შემთხვევებს, რომელთა ნაწილი ზემოთ უკვე ვახსენეთ; ხოლო მთელი სურათის განსაზღვრისათვის უნდა დადგინდეს მათ შორის მიმართებების ხასიათი.

გვიანდელ შემთხვევებში, კერძოდ, ეფრემ მცირეს თარგმანები იგულისხმება. ზემოთ ნახსენები ორი შემთხვევის გარდა, ეფრემ მცირეს თავის თარგმანებში ლექსად აქვს გადმოღებული ბერძნულ დედანში ციტატის სახით მოტანილი კიდევ სამი ჰექსამეტრული სტრიქონი, რაც აკაკი ურუშაძემ შენიშნა (ა. ურუშაძე, დას. ნაშრ., გვ. 43—46):

ა) „ელინთა ზღაპრობანში“, კერძოდ მესამე კომენტარში — „იელიანეს პირველისა განქიქებისა ზღაპრობანი“:

„სელლომ ნათესავი არს დოდინელთაჲ, რომლისაგან გამოირჩე დეს მდღელნი ფილომასანი, რომელსა შინა აღმართულ იყო საგრძნებელი დიოასი, წოდებული მუხად დუდუნეამსა. ესენი, ვითარცა ღმრთის მსახურნი განმწმედებოდეს, რამეთუ არცა იბანნიან, არცა ცხედარსა ზედა დაიძინიან ვითარ იგი სიმღერაჲ ომირული წარმოასინებს: მრჩობლ ხარით ს[ი]ელომ მსახურ ტაძრისა, უბანელ ფერჯთა და მწოლ სიკმელით“ (ილ. აბულაძე, ელინთა ზღაპრობანი, გვ. 34), ციტატა პომპროსის „ილიადადან“ ფისტიკაურითაა თარგმნილი:

მრჩობლ ხარით სელომ / მსახურ ტაძრისა,
უბანელ ფერჯთა / და მწოლ სიკმელით.

ბ) „ელინთა ზღაპრობანში“, იმავე კომენტარში:

„არკადიელ საძიებელ ესე არს, რამეთუ ომიროს გამომეტყუელი მიიწია რაჲ არკადიად, რომელ არს სოფელი პელოპონისად, პოვნა მესათხველნი, რამეთუ იხილვიდეს, ჰკითხა მათ და რქუა: მ კაც არკადიელნო, ბადქელოვანნო, ნუ ბადებითა იყარათ რაჲ [- ა]?“ (ილ. აბულაძე, დას. ნაშრ., გვ. 36). ლექსითი ფრაგმენტი, ფისტიკაური:

არკადიელნო, / ბადქელოვანნო,
ნუ ბადებითა / იყარათ რაჲ-ა?

(ა კითხვითი ა ნაწილაკის წინ, როგორც ცნობილია, მარცვალს ეწმის, — ა. ურუშაძე, დას. ნაშრ., გვ. 46).

გ) იქვე, მოცემული ფრაზის გაგრძელებად:

„ხოლო მათ მიუგეს: რანი ვიპყრებით, იგი განგუეველთნეს, ხოლო ვლთოლვილნი ესერა გუყვანან“. ლექსითი ფრაგმენტი, ფისტიკაური:

რანი ვიპყრებით / იგი განგუეველთნეს,
ხოლო ვლთოლვილნი / ესერა გუყვანან.

როგორც ა. ურუშაძემ გაარკვია, მოცემული ორი ლექსითი სტრიქონის წყარო არის ერთ-ერთი ეპიგრამა ჰომეროსისთვის მიწერილი ეპიგრამების ჯგუფიდან.

ამრიგად, მე-11 საუკუნე, ეფრემ მცირე, გვაწვდის ხუთ შემთხვევას, როდესაც ორიგინალში წარმოდგენილი, ჰექსამეტრით შესრულებული, პოეტური სტრიქონი (ან ნაწყვეტი) გადმოტანილია ქართული ლექსთწყობის სისტემისთვის ცნობილი (რეალიზებული და შესაძლებელი) საზომით (ერთ სტრიქონადვე).

5. 3. ამ მოვლენასა და ადრინდელ ნიმუშებს შორის მიმართულების დამყარებისას შემდეგი დასკვნები მიიღება:

ა) ის ფაქტი, რომ განხილული ხუთი შემთხვევიდან ოთხში ქართულში ჰექსამეტრის სტრიქონის კორესპონდენტს ფისტიკაური წარმოადგენს და მხოლოდ ერთხელ — დაბალი შაირი, აგრეთვე ის ფაქტი, რომ უფრო ადრინდელ, ეფრემამდელ, ნიმუშებში მხოლოდ ფისტიკაურია მოცემული, უნდა მიუთითებდეს შემდეგზე: ქართულ მწერლობაში არსებობდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ბერძნული ჰექსამეტრი გადმოიცემა ფისტიკაურით — 20-მარცვლიანი სტრიქონით, $(5+5)+(5+5)$ სტრუქტურით (დაბალი შაირის ერთხელ გამოყენება ამ შემთხვევაში ეფრემ მცირის ექსპერიმენტად უნდა ჩაითვალოს).

ბ) იმის გათვალისწინებით, რომ გვაქვს უფრო ადრინდელი ნიმუშები ამავე მიზნით და ამავე სიტუაციაში ფისტიკაურის გამოყენებისა, კერძოდ, მე-5—7 საუკუნეების „წამებაჲ წმიდისა პროკოპისი“, უნდა დავასკვნათ: ტრადიცია, რომელზეც ლაპარაკი გვაქვს, ათის არა ქრისტიანული ლიტერატურის აყვავების, კერძოდ — მე-8—11 საუკუნეების მოვლენა, არამედ გაცილებით უფრო ძველი, ამ შემთხვევაში — მითითებულ საუკუნეებზე უფრო ძველი — მოვლენის ასახვა.

გ) თუ ამ დებულებას დაუმატებთ იმ ფაქტს, რომ მე-4—5 სა-
უკუნე „საქმე მოციქულთაჲს“ სახით გვაწვდის ჰექსამეტრის ნახე-
ვარსტრიქონის ქართულ შესატყვისად ნახევარსტრიქონს აგრეთვე
ფისტიკაურისა, მისაღებია შემდეგი დასკვნა: ამ ძეგლში ჩვენ გვაქვს
მოცემული უძველესი ტრადიციის უშუალოდ პირველი, ჩვენთვის
ცნობილი, ასახვა. მაგრამ ამასთან ერთად უნდა იხილავდეთ დასკ-
ვნათ, რომ ეს არის გარკვეული ახალი დრო და ამ დროში პრინცი-
პულად პირველი ასახვა შეიძლება გვექონდეს — იმ გაგებით, რომ
უფრო ძველი ნიმუშები არა ამ ახალ, არამედ ძველ დროს განეკუთ-
ვნება. სხვა სიტყვებით, დგება მე-4—5 საუკუნეების მარკირების
პრობლემა.

დ) მე-4—5 საუკუნეები საქართველოში ქრისტიანობის პირველი
საფეხურებია, ამავე დროს — ქრისტიანული მწერლობის განვითარე-
ბის პირველი ეტაპი. მაშინ უნდა დაეაკონკრეტოთ, რომ „საქმე მო-
ციქულთაჲს“ გვაძლევს წინაქრისტიანული, წარმართული ეპოქისთვის
დამახასიათებელი ლიტერატურული მოვლენის (მოცემული ბერძ-
ნული საზომის მოცემული ქართული საზომით გადმოტანა) ასახვას.
ამასთან, იმ მოვლენის სათავეები, რომელზეც ლაპარაკია, უნდა ვე-
ძინოთ გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მე-4—5 საუკუნეებია და
ქრისტიანული ეპოქის დასაწყისია საქართველოში, რადგანაც ყვე-
ლაფერი, რაც ზემოთ, წინა პარაგრაფში, ითქვა ერთი სტრიქონის,
როგორც ლექსითი ფრაგმენტის, ტექსტში მოტანის სპეციფიკაზე,
კიდევ უფრო დიდი ძალით განეკუთვნება ნახევარი სტრიქონის წარ-
მოდგენას პროზაულ ტექსტში ამავე პოზიციაში: მე-4—5 საუკუნე-
ები მწერლობის განვითარებაში ის ეპოქაა, როდესაც სრულიად თა-
ვისუფლად შეიძლება არა მხოლოდ ერთი სტრიქონის (თავისთავად
— უმცირესი გამეორებადი მეტრული მონაკვეთის), არამედ ნახევარი
ხალექსო სტრიქონის (უმცირესი მონაკვეთის ნაწილის) მოტანა
პროზაულ ტექსტში იმ გარანტიით, რომ მას ადეკვატურად აღიქვამს
მკითხველი თუ მსმენელი — იგი დაინახავს ფრაგმენტს ისეთი დას-
რულებული მეტრული სტრუქტურისა, რომელიც მისთვის დიდი ხა-
ნია ჩვეულებრივია და გამოცნობადი. ამრიგად, ბერძნული ჰექსამეტ-
რის ქართულად გარკვეული ფორმით გადმოტანის ტრადიცია სა-
ქართველოში წარმართული ეპოქის მონაპოვარია.

ე) ამაზე; პირველ ყოვლისა, ის მიუთითებს, რომ შემდგომი, ქრისტიანული, ეპოქა ქრისტიანული მწერლობის სახით ქართული საზოგადოების ხმარების ველს ზღუდავს, ხოლო თავისი საჭიროებისთვის მიმართავს სხვა სისტემის საზომს.

ვ) მოვლენის საბოლოო კვალიფიკაციისთვის და დებულებების საბოლოო არგუმენტირებისათვის უნდა გავიხსენოთ, რას წარმოადგენენ სემანტიკურად ის ლექსითი ციტატები, რომელთა გადმოცემის ნორმის არსებობაზე გვაქვს მსჯელობა. სწორედ სემანტიკური თვალსაზრისით განსაზღვრება ასეთია: ეს არის ციტატები, მოტანილი ანტიკური, სამყაროდან, ციტატები ანტიკური ავტორებიდან — პომპროსიდან, „ილიადადან“ (ყველაზე მეტი შემთხვევა, პომპროსისადმი, მიწერილი ეპიგრამების ჩათვლით), ძვ. წ-ის მე-7-6 საუკუნეების ბერძენი ქურუმისა და პოეტის პოემიდან, ძვ. წ-ის მე-3 ს-ის ბერძენი პოეტის პოემიდან. ამ შემთხვევაში პირობითად ვიხმაროთ გამოთქმა — „წარმართული შინაარსი“. ამავე დროს ისიც გვაქვს, რომ ამ შინაარსისთვის ახალ, ქრისტიანულ, ეპოქაში არ გამოიყენება ქართული ქრისტიანული ლიტერატურის მიერ ბიზანტიურიდან გადმოღებული სალექსო საზომი. პარალელურად: ეს საზომი გამოიყენება „ქრისტიანული შინაარსისთვის“ (კერძოდ, ქრისტიან ავტორთა თარგმნისას) და არ გამოიყენება წარმართული შინაარსისათვის (ეს მოვლენა დასტურდება ურთდროულადაც, ერთსა და იმავე ტექსტში).

შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ წარმართული შინაარსის სალექსო ფრაგმენტის თარგმნა ქართული ლექსთწყობის გარკვეული საზომით (ფისტიკურით) არის ქრისტიანული მწერლობის მონაპოვარი? არ შეიძლება იმის გამო, რომ ასეთ შემთხვევაში უკუმოვლენას არ ექნებოდა ადგილი: ეს საზომი ქრისტიანული შინაარსისთვისაც იქნებოდა გამოყენებული ბუნებრივად. ჩვენ სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე: ერთსა და იმავე ტექსტში (თარგმანში) ქრისტიანული მწერლობის წარმომადგენელი ავტორი ანტიკური დროის ლექსითი ციტატისთვის მიმართავს ფისტიკურს ან სხვა საზომს — ყველა შემთხვევაში, ქართული ლექსთწყობის საზომს, ხოლო ქრისტიანული შინაარსის, ვთქვათ, ეპიგრაფების თარგმნისას უფარდებს იამბიკოსს.

ამგვარად, საბოლოოდ საქმე გვაქვს - და ჩვენთვის ეს არის გა-

სათვალისწინებელი — უარყოფის მომენტთან. როდის შეიძლება განხორციელდეს პრინციპულად უარყოფა? მაშინ, როდესაც იქმნება ახალი ვითარება. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვასაც: რისე უარყოფა შეიძლება ამ დროს? მხოლოდ არსებულის, იმისა, რაც დახვდა ახალს. და ბოლოს: როგორი არსებულისა? მხოლოდ იმისა, რომელიც რაღაც პოზიციებიდან არ შეესაბამება ახალს. მხოლოდ ასე და ამ შემთხვევაში იქმნება ლიტერატურული ნორმა: იგი ჩნდება, როდესაც უკვე არსებულ, ცნობილ და ბუნებრივ ვითარებას გაიაზრებენ გარკვეული მოცემულობის შესაბამისად, რაღაცას დაუპირისპირებენ და უარყოფენ. ამ პირობებში იქმნება ნორმა, რომელიც რეგლამენტირებას ახდენს, კერძოდ — რაღაცის გამოყენება (არსებული ტრადიცია) უარყოფა, ამავე დროს (ასევე ბუნებრივად) არსებული ტრადიცია სპეციალურ შემთხვევებში მაინც იჩენს თავს, განაგრძობს შეზღუდულ ფუნქციონირებას (თუნდაც კვალის სახით). თუ წარმართულ შინაარსს თავის დროზე ბუნებრივად თარგმნიდნენ ქართული ვერსიფიკაციული სისტემის იმ საზომით, რომელიც გამოყენებული იყო საერთოდ, ეს არ იყო ნორმა, რომელიც აწესებს რეგლამენტს. ნორმა მაშინ — შემდგომ ეპოქაში — ჩამოყალიბდა, როდესაც გაჩნდა კიდევ სხვა, ახალი შინაარსი (თემატიკა, იდეები, აკტორები...) და ახალი ფორმა (პოეტიკა, საზომი...). კონკრეტულად, ეს ხდება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების და ქრისტიანული კულტურის. კერძოდ — ლიტერატურის, განვითარების ეპოქაში. ახალმა, რომელიც მოვიდა, უარყო ძველი, რომელიც დახვდა.

5. 4. სრულიად ბუნებრივია, რომ ეს მოხდა თარგმნილი ქრისტიანული ძეგლების კორპუსში; ასევე ბუნებრივია, რომ ამავე ძეგლების ისეთ პასაჟებთან მიმართებაში, რომლებიც არაქრისტიანული, ქრისტიანობამდელი ტექსტების ციტირებას წარმოადგენენ, ძველი — და არა ახალი — ფორმა კვლავ იჩენდა თავს, იჩენდა იძულებით. ეს მომენტი ჩვენი მსჯელობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. არენა, სადაც ძველი ფორმა შეიძლება ამოქმედებულიყო იძულებით, მხოლოდ თარგმნითი ლიტერატურა უნდა ყოფილიყო: ამ შემთხვევაში ქართული ტექსტის ავტორი (მთარგმნელი) არ ირჩევს თემატიკას და ტექსტის შედგენილობას, იგი მოცემულია ორიგინალში; ორიგი-

ნაღში კი არის პასაჟი (ლექსითი ციტატის სახით), რომელიც სხვა, ძველ, ეპოქას ასახავს აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, და მას მთარგმნელი სხვა, ძველი — უკვე ადგილობრივ გარემოში შექმნილი — ტრადიციით მოცემულ ფორმას უფარდებს. ეს გარემოება, თარგმნითი ლიტერატურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია იმისა, რომ აუტორი (იძულებით) მიმართავს სწორედ არსებულ, ადრე დამკვიდრებულ, ტრადიციას.

რატომ უნდა უარყოფილიყო ქართული ლექსთწყობის სისტემის წარმომადგენელი მეტრი პროზაულ ტექსტებში მოტანილი ქრისტიანული შინაარსის ციტატების გადმოღებისას? იმიტომ, რომ ეს იყო ახალი შინაარსი (რომლის წინ, დროში, მწერლობაში არსებობდა სხვა შინაარსი), რომელსაც ძველი ფორმა არ შეესაბამებოდა.

რატომ უნდა გამოყენებულიყო ასეთ შემთხვევებში იამბიკოს ფორმა? იმიტომ, რომ ეს იყო ახალი შინაარსი, რომელსაც შეესაბამებოდა ახალი ფორმა (რომლის წინ, დროში, არსებობდა ძველი ფორმა).

რატომ უნდა მიემართათ ქართული ლექსთწყობის საზომისათვის ქრისტიანული მწერლობის წარმომადგენელ მთარგმნელებს პომეროსის ან სხვა მსგავს ლექსით ფრაგმენტებთან შეხედრისას? იმიტომ, რომ ეს იყო ძველი შინაარსი. თქმული იმას ნიშნავს, რომ ეს ძველი შინაარსი არა მარტო ცნობილი იყო ქრისტიანობამდე, არამედ პრინციპულად იყო შემოტანილი ლიტერატურულ მიმოქცევაში (იყენებდნენ, გადმოსციმდნენ, მიმართავდნენ, თარგმნიდნენ...).

როგორი ძველი შინაარსი იგულისხმება? წარმართული. იგულისხმება აგრეთვე. რომ ამგვარ ტექსტებს (ფრაგმენტულად თუ სრულად) ადგილობრივი მწერლობა იცნობდა და იყენებდა; გარდა ამისა, ორიგინალური ქართული ტექსტები ამგვარივე — ე. ი ქრისტიანობამდელი, წარმართული — შინაარსისა იყო.

ამრიგად, ზემოთ რამდენიმეჯერ ნახმარი „შეესაბამებოდა“ მიცემულ კონტექსტში არა პოეტიკურ მიმართებებს გულისხმობს, არამედ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ქრისტიანობა უარყოფდა ანტიკურობას, ხოლო ქრისტიანული მწერლობა გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას წარმართული ლიტერატურული ტრადიციების მიმართ (შდრ.: „ბიზანტიური მწერლობა ამ დარგში — იგუ-

ღისხმება პაგიოგრაფია, ა. ს. — ხშირად იყო დაპირისპირებული ორი სამყარო — ანტიკური და ქრისტიანული“, ა. ურუშაძე, დას. ნაშრ., გვ. 33). ჩნდება ახალი შინაარსი, გადმოტანილი აღმოსავლეთ-ქრისტიანული სამყაროდან, ინერგება ახალი სალექსო ფორმა, შეთვისებული ბიზანტიურიდან; ამ მოვლენას ხედება ძველი შინაარსი და ძველი სალექსო ფორმა; თავისი პროდუქციის შექმნისას ქრისტიანული ლიტერატურა უარყოფს ქრისტიანობამდელ სალექსო ფორმას, რომელსაც ამ შექმთხვევაში უპირისპირებს „ქრისტიანულ სალექსო ფორმას“. ეს არის ლიტერატურული ნორმა, რომელიც ბკვიდრდება და, მიუხედავად მომდევნო ხანებში საერო პოეზიის მძლავრი განვითარებისა (ფორმალური ბაზა — ქართული მეტრიკული სისტემა), მრავალი საუკუნის შემდეგაც, ვთქვათ, ანტონიც, გაილზ რექტორიც, სათანადო თხზულებებში მხოლოდ იამბიკოს ფორმას მიმართავენ.

მთლიანად ყველაფერი ეს — და ჩვენთვის ეს საგულისხმო უნდა იყოს — არის ქართული მოვლენა. ბიზანტიურში, ქართულში იამბიკოს გამოყენების სპეციალური ველის არებობის საწინააღმდეგოდ, 12-მარცვლედით (და 15-მარცვლედით) საერო თემატიკაც განიხატება და საეკლესიოც.

ამრიგად, მე-4—5 საუკუნეებიდან დაწყებული, გვაქვს დაპირისპირება ძველსა და ახალს შორის. ამავე პერიოდში ძველი ტრადიცია კვალის სახით ყოველთვის ჩანს. შემდგომ პროცესში ერთვება ბიზანტიურიდან შეთვისებული სალექსო ფორმა. ეს ფორმა ახალი იყო, ქართული ლექსთწყობის სისტემის წვერი საზომები — ძველი; ბიზანტიურთან მჭიდრო კავშირში განვითარებულ ქართული ქრისტიანული ლიტერატურა (თარგმნილი თუ ორიგინალური) ახალი იყო, ანტიკური (საერო) ლიტერატურის ტრადიციები — ძველი. ორსავე შემთხვევაში „ახალი“ ქრისტიანულს უკავშირდება, „ძველი“ — ქრისტიანობამდელს. დინამიკაში პროცესის ფორმულაა: ძველს დაუპირისპირდა ახალი.

წარმართული შინაარსისათვის ფისტიკაურის გამოყენება ტრადიციაა, რომელიც ქრისტიანობამდე დიდი ხნით არსებულის ასახეა. შემდგომმა დრომ (რაც თვალსაჩინოდ ჩანს განსაკუთრებით ეფრემ მცირეს მაგალითზე) საბოლოოდ მოგვცა დიფერენცირება და

შესაბამისი ოპოზიცია — „ფისტიკაური:ამბიკო = წარმართული:ქრისტიანული“.

5. 5. და ბოლოს, თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ ყველაფერი თქმული არ არის მხოლოდ ვერსიფიკაციული სურათისთვის დამახასიათებელი ძველი მდგომარეობის აღდგენა, არამედ ქრისტიანობამდელი ქართული პოეზიის არსებობის დადასტურება. ვერსიფიკაციას მოქმედების ორი შესაძლებელი არე შეიძლება ჰქონდეს: კოლექტიური შემოქმედება — ფოლკლორი (მათ შორის — უმოკლეს, პარემიოლოგიურ ფორმებშიც) და ინდივიდუალური შემოქმედება — ლიტერატურა. საზომთა არსებობის ფაქტი რომელიდაც მოცემულ დროში შეიძლება მხოლოდ ხალხურ შემოქმედებასთან იყოს დაკავშირებული და არა ლიტერატურულთან. ამიტომ რომელიდაც ქრონოლოგიური მონაკვეთისთვის გარკვეული მეტრიკული რეპერტუარის არსებობის ფაქტის აღდგენა შეიძლება არ ნიშნავდეს ლიტერატურის, მისი დარგის — პოეზიის, არსებობის დადასტურებას იმავე დროში. ჩვენს შემთხვევაში საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე. ლექსთწყობის სისტემის ფუნქციონირების დადასტურება (რეალიზაციის იმ დონით, რომელიც განვითარების პირველ, საწყის ეტაპს შეესაბამება) ქრისტიანობამდელ ეპოქაში ერთდროულად იმასაც ნიშნავს, რომ ამავე ეპოქაში არსებობდა მწერლობა. არგუმენტს ამ დასკვნისათვის წარმოადგენს ის, რომ შემზღვეველი ნორმა, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, იქმნება ლიტერატურაში (ქრისტიანულ მწერლობაში); ეს ნორმა, შესაბამისად, მიემართება ადრე ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ტრადიციას: მის მიხედვით, გამოწაკლისის სახით, ლიტერატურას უნდა გამოეყენებინა ძველი ფორმა ანტიკური შინაარსისთვის (კერძოდ, სათარგმნელი ტექსტებისთვის), ხოლო საერთოდ არ გამოეყენებინა ქრისტიანული შინაარსისთვის (კერძოდ, სათარგმნელი ტექსტებისთვის). სავარაუდოა სწორედ ლიტერატურული ტრადიციის არსებობა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ იგი იმდენად ძლიერი იყო, რომ კვალის სახით დროდადრო გამოჩნდებოდად ხოლმე თვით ქრისტიანულ პოეზიაში (ორიგინალურში). მთავარი არგუმენტი ქრისტიანობამდელი სწორედ მწერლობის არსებობისა არის ის, რომ ტრადიცია, რომელიც რჩება ქრისტიანულ ლიტერატურაში, უკავშირდება თარგმანს, რაც ლიტერატურის, მწერ-

ლობის სფეროა. ფისტიკაური. ქრისტიანობამდელი. - წარმართული მწერლობის, პოეზიის ფორმალური ელემენტია და არა ისეთი ვითარების კვალი შემდგომი დროის ლიტერატურაში, რომელიც ხალხურ შემოქმედებას მიემართება.

საბოლოოდ:

ა) უნდა გამოირიცხოს თეორიულად შესაძლებელი დასკვნა იმის შესახებ, რომ სასულიერო ლიტერატურა იმ მოვლენის შემთხვევაში, რომელზეც საუბარი გვაქვს, თავის უარყოფით დამოკიდებულებას წარმართულობის მიმართ კმნიდა ფოლკლორის, კერძოდ წარმართული ფოლკლორის, ნიადაგზე და რომ ზემოთ აღდგენილი ვითარება არ ნიშნავს ქრისტიანობამდელი მწერლობის არსებობას. ჩვენ სხვა სინამდვილე გვაქვს: ქრისტიანი მთარგმნელი ქართული ლექსთწყობის მოცემულ ფორმას არ ხმარობდა სასულიერო თემატიკისთვის და იყენებდა მხოლოდ წარმართული შინაარსისთვის არა იმიტომ, რომ იგი წარმართული ფოლკლორის საკუთრება იყო, არამედ იმიტომ, რომ იგი წარმართული დროის ლიტერატურის საკუთრება იყო, რაზეც ის მიუთითებს, რომ ყველაფერი ეს ხდებოდა თარგმნილ ლიტერატურაში და ისეთ ვითარებაში, როდესაც ბერძნულ ორიგინალში დიფერენცირება საზომებს შორის სემანტიკური ნიშნით არ იყო. სწორედ თარგმნისას ამ მომენტის არსებობა იმას ნიშნავს, რომ ბიძგი მოცემული ნორმის ჩამოყალიბებისათვის შეეძლო მიეცა მხოლოდ ადრინდელ ქართულ პოეზიაში, ქართულ მწერლობაში არსებულ ტრადიციას, რომელიც დახვდა ქრისტიანულ მწერლობას.

ბ) ლაპარაკი უნდა იყოს სწორედ ლიტერატურულ ტრადიციებზე. ქრისტიანული მწერლობა, ერთი მხრივ, პრაქტიკულად გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას საერთოდ იმ ლექსთწყობის მიმართ, რომელიც მას დახვდა (და ეს ლექსთწყობა, როგორც ასეთი, თავისი საზომებით პარალელურად არსებობდა, რის გავლენის კვალს სასულიერო მწერლობაშიც ვხედავთ), მაგრამ, მეორე მხრივ, კმნის ნორმას, რომლის ის ნაწილი, რომელიც დაშვებას და არა აკრძალვას შეიცავს, გულისხმობს არა საერთოდ ქართული ლექსთწყობის საზომებისთვის შეზღუდული სამოქმედო ველის მიჩენას, არამედ კონკრეტულად ერთი საზომისთვის; შედეგად იქმნება

მოცემული დაპირისპირება არა საერთოდ საზომებსა და იამბიკოს შორის, არამედ კონკრეტულად ფისტიკაურსა და იამბიკოს შორის. ამგვარად, ჩვენ ამ მოცემულ შემთხვევაში ვხედავთ არა დამოკიდებულებას ქართული ლექსთწყობისადმი, რომელიც, როგორც ასეთი, თეორიულად შეიძლებოდა მხოლოდ ფოლკლორის კუთვნილება ყოფილიყო, არამედ დამოკიდებულებას სახელდობრ ერთი მოცემული საზომისადმი; ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანულ ლიტერატურას დახვდა არა მხოლოდ ლექსთწყობა, რომელიც თეორიულად შეიძლება არ იყოს მწერლობის კუთვნილება (არ არსებობდეს მწერლობა), არამედ აგრეთვე კონკრეტული ლიტერატურული ტრადიცია. რომლის მიხედვით ერთ-ერთი საზომი ჰექსამეტრისთვის მისაყენებელი ფორმაა, რაც სხვა ლიტერატურის მოვლენებთან კავშირის არსებობაზე მიუთითებს, და ასეთი ტრადიცია შეიძლება ასახავდეს მხოლოდ იმ ვითარებას, როდესაც ლექსთწყობის სისტემა ფუნქციონირებს მწერლობაში.

ნორმა, რომელზეც მსჯელობა გეკონდა, იმაზე მიუთითებს, რომ ქრისტიანობის პირველი ეტაპისთვის, მე-4—5 საუკუნეებისთვის, ქართული პოეზია არსებობდა არა ჩანასახის მდგომარეობაში, არა-ღედ იმ ჩამოყალიბებული პოეტური სისტემის სახით, რომელიც დახვდა ახალ დროს და ახალ სისტემას.

5.6. ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ არსებობდა ქართული ქრისტიანობამდელი, წარმართული ეპოქის, პოეზია. როგორც ჰიპოთეზა, ეს თავის დროზე დაუშვა პავლე ინგოროყვა: „ქართული საერო მხატვრული მწერლობის სათავეები უნდა ვეძიოთ არა ქრისტიანული ხანის მწერლობაში, არამედ, როგორც სჩანს, ქრისტიანული მწერლობის წინადროინდელ ეპოქაში.. ქართულს ენაზე, ქრისტიანობის საბოლოო გაბატონებამდე, უკვე არსებობდა ძველი საერო მწერლობა, რომელსაც იმდენად ძლიერი ტრადიციები და ღრმა ფესვები ჰქონია, რომ მისი აღმოფხვრა და მისი განვითარების საბოლოო შეფერხება ვერ შეძლო უფრო გვიან ხანაში გადმონერგილმა ქრისტიანულმა მწერლობამ“ (პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, გვ. 4, 6).

VI

დასკვნები

6. 1. ქართული პოეზიის ისტორიაში წერილობით დადასტურებული პირველი საფეხური (სასულიერო პოეზიაში შემორჩენილი ნიმუშების სახით) ქრონოლოგიურად არ ემთხვევა მწერლობაში ქართული ლექსთწყობის სისტემის რეალიზაციის პირველ საფეხურს. უფრო ზუსტად: პირველი საეკლესიო პოეტური ნიმუშები დროში უსწრებენ იმ ლექსით თხზულებებს, რომლებიც ჩვენთვის (ქართული სალექსო მეტყველების მატარებელთათვის) აღქმადია როგორც ქართულ ვერსიფიკაციაზე დამყარებული ფორმები.

ძველ ქართულ პოეზიაში ფორმის ოთხი სახეობაა გამოყენებული.

ა) სასულიერო პოეზიის ე. წ. „პროზაული“ ტექსტები შეიცავენ გარკვეულ შინაგან რიტმულ ორგანიზაციას. მისი არსებობისათვის, ჩვენი აზრით, სამი ნიშნის ქონაა საჭირო: 1) ელემენტთა სია, 2) რეალიზაციის სინტაგმატური წესები, 3) ზოგადი შინაგანი პრინციპი.

მეორე მხრივ, ამ ტიპის რიტმული ორგანიზაცია ელინდება მხოლოდ მოცემულ ტექსტში და განეკუთვნება მხოლოდ მოცემულ, კონკრეტულ ტექსტს, — ეს არის მხოლოდ მოცემული ნაწარმოების პრინციპი და არა სისტემისა, რადგანაც სისტემა არ არსებობს. ამგვარ რიტმულ ორგანიზაციას პრინციპულად არ აქვს კავშირი ლექსთწყობასთან, როგორც სისტემასთან, კერძოდ — არ აქვს და არც შეიძლება კჟონდეს რეპროდუქციისუნარიანობა. ასეთ ტექსტებში და

ამგვარ რიტმულ სურათში ლექსთწყობის საწყისი საფეხურის ელემენტების ძებნა გამოირიცხება, მასში არ შეიძლება აღმოჩნდეს არც კვალი ლექსთწყობის სისტემის ჰარალელური (ან დროში წინ გასწრებული) არსებობისა, ისევე როგორც არც დადასტურება მისი არარსებობისა.

ბ) ე. წ. „სილაბურ უკეთელ ლექსში“, ერთი შეხედვით, ჩანს რაღაც ზოგადი წესი და რაღაც სქემები. მაგრამ ეს სქემები არ ქმნიან სტრუქტურებს, ხოლო მათი ერთობლიობა არ ქმნის სისტემას; ჩვენ არ ვიცით და არც შეიძლება ვიცოდეთ, რა „სტრუქტურა“ როგორ აიგება, რა რას უერთდება და ა. შ. რეალობაში არის მხოლოდ სქემა, მაგრამ იგი, როდესაც არ არსებობს აგებისა და შეერთების სტრუქტურული კანონები და კანონზომიერებები, არ ემყარება აღქმადობის პრინციპს. შესაბამისად, რეპროდუქციისუნარიანობა გარეგნულია და მექანიკური, რადგანაც სქემის გამეორება შეიძლება, მაგრამ რეალიზებული როგორც „ფორმა“, იგი არ არის პერცეპტული. სქემა არის, მაგრამ იგი არაფერს წარმოადგენს, გარდა წინასწარ მოცემული სქემისა, ხოლო სქემის მიხედვით შექმნილი ტექსტი არ არის ფორმა, რადგანაც არ არის აღქმადი და ამოცნობადი როგორც ლექსი. ამ ფორმას არაფერი აქვს საერთო ქართულ ლექსთწყობასთან. მეორე მხრივ, იგი წარმოადგენს ცდას ქართული ლექსთწყობის შეგნებული უარყოფისა და მის საპირისპიროდ ახლის შექმნისა. ეს ფაქტი განაპირობებს იმას, რომ ცდა არ გვაძლევს ლექსთწყობას და ფორმა არც აღიქმება და არც მკვიდრდება (უარიყოფა შემდგომი განვითარების მიერ): მოცემულენოვანი ლექსთწყობისათვის არ არსებობს ენის ერთზე მეტი, სხვადასხვა, პროსოდიული, სისტემა, და არც ლექსთწყობის სისტემის ერთზე მეტი, ტიპოლოგიურად სხვადასხვა, იმანენტური სტრუქტურული წესების კორპუსი. საბოლოოდ, ქართული ლექსთწყობის უარყოფა გვაძლევს არალექსთწყობას. ქართული ლექსთწყობის საწყისი საფეხურების ძებნა ამგვარ ფორმებში ასევე გამოირიცხება — იმის გამო, რომ ისინი პრინციპულად არ შეესაბამებიან ქართული ლექსთწყობის კანონებს (შესაბამისად, საერთოდ არ ქმნიან ლექსთწყობას). მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ეს ფორმები უარყოფენ ქართულ ლექსთწყობას და ქმნიან ხელოვნურ სქემებს, რომელთა რიტმულობა გამოუცნობადია

ქართული სალექსო მეტყველების მატარებელთათვის და არც რაიმე ფრაგმენტის სახით მკვიდრდება განვითარების პროცესში, ნიშნავს შემდეგს: ეს არის რეაქცია ქართული ლექსთწყობის ფუნქციონირებაზე, ცდა ტრადიციული ფორმის უარყოფისა.

გ) იამბიკოს ლექსთწყობისათვის დამახასიათებელი თვისებები, კერძოდ — რეპროდუქციისუნარიანობა, აქვს, მაგრამ ეს ფორმა არ შეესაბამება ქართულ სისტემას, იგი არ არის ამ სისტემის წევრი, სისტემის განვითარებამ იგი არ გაითვალისწინა. შედეგად: მიუხედავად იმისა, რომ იმ რიტმული ორგანიზაციის პრინციპებს შეესაბამება, რომლებსაც ლექსთწყობა, როგორც ასეთი, ქმნის, იგი არცერთა სისტემის წევრი არ არის, რადგანაც ქართულში რეალიზებული, იგი არის ფრაგმენტი ქართულისათვის უცნობი რაღაც სისტემისა. მეორე მხრივ, კანონიკური სქემის ის გარკვეული ტრანსფორმაციები, რომლებიც შეინიშნება მის გამოყენებაში, ჯერ ერთი, ფორმის სპეციფიკურობაზე მიუთითებენ, მეორეც, იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ეს ფორმა დაუპირისპირდა საკუთრივ ქართულ ლექსს, მაგრამ ამ პროცესში ყოველთვის იგრძნობა ქართული ლექსთწყობის პარალელური მოქმედების კვალი, უფრო მეტიც — გარკვეული გავლენა.

დ) რაც შეეხება საკუთრივ ქართულ ლექსთწყობას, ძველი ქართული, სასულიერო, პოეზიის განვითარების პროცესში ყოველთვის ჩანს მისი კვალი — არაპირდაპირი თუ პირდაპირი. არაპირდაპირში იგულისხმება ის, რომ, ჯერ ერთი, მთელი პროცესი ფორმალურ ასპექტში ფაქტიურად ქართული ლექსთწყობის უარყოფაზეა დამყარებული, მეორეც — ფორმალურსავე ასპექტში ჩანს მისი გავლენის ნიშნები. მეორე შემთხვევაში იგულისხმება ის, რომ სასულიერო პოეზია სპორადულად, გამონაკლის შემთხვევაში, პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ქართული ლექსთწყობის სისტემა უკვე ჩამოყალიბებულია (იმ სახით, რომელიც განვითარების პირველ საფეხურს შეესაბამება), — იგი პირდაპირ, თავისი ჟანრის თხზულებების კორპუსშივე, ზოგჯერ გვაწვდის ქართული ლექსთწყობის მეტრულ ფორმათა სრულად ამსახველ ნიმუშებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული ლექსთწყობა თავისთავად არსებობს, ფუნქციონირებს, ოღონდ მისი სამოქმედო ველი არ მოიცავს სასულიერო პოეზიას. რაც მთავარია, ამგვარი ნიმუშები ვერსიფიკაციის განვითარების მაღალ საფეხურზე

მ.უთითებენ (უნაკლონი არიან ზოგადპოეტურადაც), არ წარმოადგენენ იმგვარ შემთხვევებს, რომლებიც პოეზიისა და მისი ფორმალური სისტემის მოქმედების საწყის ეტაპებს მიემართებიან და განვითარების უფრო მაღალი საფეხურის ნიმუშთაგან შესაბამისად განსხვავდებიან.

6. 2. სრული სიტუაციის აღდგენისათვის გასაღებს იძლევა ის ფაქტი, რომ, თუ, ერთი მხრივ, უძველესი ქართული პოეტური თხზულებები არ არიან შესრულებული ქართული ლექსთწყობის კანონების მიხედვით, მეორე მხრივ, გვაქვს მათზე უფრო ძველი პროზაული (!), თარგმნილი, ტექსტები, რომლებშიც შემონახულია ქართული ლექსთწყობის ამსახველი ნიმუშები. ეს ფაქტი მეტყველებს არა მარტო იმაზე, რომ ქართული ლექსთწყობა ჩამოყალიბებული იყო იქამდე, ვიდრე გაჩნდნენ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული პოეტური თხზულებები (შესრულებულნი არა ამ ლექსთწყობის მიხედვით), არამედ, რაც მთავარია, იმაზე, რომ სასულიერო პოეზიამ შეგნებულად უარყო ტრადიციული ფორმა, ხოლო ის სიტუაცია – შეგნებულად უარყოფილი – უნებლიეთ აისახა პროზაულ ტექსტებში.

სასულიერო მწერლობა განვითარების ადრეულ ეტაპებზე თარგმნილ პროზაულ ძეგლებში გვაწვდის, ორიგინალში ჩართული ლექსითი ციტატის გადმოტანისას, ქართული ლექსთწყობის ამსახველ უძცირეს (ძირითადად – ერთსტრიქონიან) პოეტურ ფრაგმენტებს, რომლებიც, სხვა ფრაგმენტებისგან განსხვავებით, არასასულიერო ოემატიკას ასახავენ. ამ შემთხვევაში მთარგმნელი იძულებულია გადმოიღოს გარკვეული თემატიკის და გარკვეული, ძველი, ეპოქის ამსახველი პასაჟი, იგი მას „თავს მოახვია“ დედანმა. პროცესის დანარჩენი ნაწილი უკვე ადგილობრივი ვითარების ასახვაა: ამგვარი, წინარექრისტიანული თემატიკისა და ეპოქის ამსახველი, ფრაგმენტისთვის შესაფერისია ქართული ლექსთწყობის სისტემის წარმომადგენელი ფორმა, – სხვა, სასულიერო მწერლობისთვის ჩვეულებრივი, თემატიკისთვის შესაფერისია სხვა ფორმა, რომელიც არ არის ქართული ლექსთწყობის სისტემის წარმომადგენელი და რომელიც სასულიერო მწერლობის შენაძენია როგორც სხვა, არაქართული, სისტემიდან გადმოღების შედეგი. სხვა სიტყვებით, მოცემული მწერლობის (სასულიერო მწერლობის, რომელიც შესაბამისი ეპოქისთვის

ერთადერთი „ოფიციალური“ ლიტერატურა) პოეტიკის მიერ ფაქტიურად უარყოფილია ქართული ლექსთწყობის სისტემა, ყოველ შემთხვევაში — უკიდურესად ლიმიტირებულია მისი გამოყენება.

6. 3. ამგვარი, სიგრძით უმცირესი, თარგმნილი ლექსითი ფრაგმენტები დროში უსწრებენ სასულიერო პოეზიის ნიმუშებს: ერთ-სტრიქონიანი მონაკვეთის გამოჩენის უძველეს შემთხვევას გვაწვდის მე-5—7 საუკუნეების პროზაული ძეგლი („წამებაჲ წმიდისა პროკოპისი“), ნახევარსტრიქონიანი მონაკვეთის უძველეს შემთხვევას — მე-4—5 საუკუნეების ასევე პროზაული ტექსტი („საქმე მოციქულთაჲ“). ყველაფერი ეს იძლევა საშუალებას სარწმუნოობის სრული ხარისხით მოვახდინოთ ლექსთწყობის განვითარების იმ ეტაპის და მისთვის დამახასიათებელი რეალიების რეკონსტრუქცია, რომელიც მე-4—5 საუკუნეებამდე საკმაო ხნით ადრე ჩამოყალიბდა, მნიშვნელოვნად წინ უსწრებდა სასულიერო მწერლობას, კერძოდ — პოეზიას.

საქმე ისაა, რომ მე-4—5 საუკუნეების პროზაულ ტექსტებში წარმოდგენილი ნახევარსტრიქონიანი და ერთსტრიქონიანი ლექსითი მონაკვეთები, ეს არ არის უბრალოდ ქართული ლექსთწყობის ფრაგმენტული შემორჩენა. ეს ასახავს ისეთი მდგომარეობის არსებობას, როდესაც ლექსთწყობის სისტემას მისთვის დამახასიათებელი, იმ დროს რეალიზებული, მეტრული ფორმების სახით იმდენად დიდი ხნის განვითარების ისტორია აქვს, რომ პრინციპულად შესაძლებელია უმცირესი მეტრული მონაკვეთების და ნახევარმონაკვეთების მოტანა პროზაულ ტექსტში, — მათ მკითხველი თუ მსმენელი ცალსახად გაშიფრავს როგორც ლექსით ფრაგმენტს, როგორც მისთვის ჩვეულებრივი და ნაცნობი სრული მეტრული სტრუქტურის ფრაგმენტს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი სახით — ერთი მხრივ, უმოკლესი სიგრძით, მეორე მხრივ ფრაგმენტულად და არა მსგავსი გამეორებადი მონაკვეთების გარემოცვაში — მოცემული მონაკვეთი, თავისთავად რიტმული ინფორმაციის მატარებელი, საერთოდ ძნელად აღსაქმელია როგორც ასეთი; იგი ბუნებრივად და ადვილად აღიქმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, როგორც მონაკვეთი (სტრიქონი თუ ნახევარსტრიქონი), წარმოადგენს აქტიურად გამოყენებული მონაკვეთების ჯაჭვის ელემენტს სრულ ლექსით ტექ-

სტში. ამიტომ ვერსიფიკაციული ვითარება, რომელიც ახასიათებს ქართული ლექსის განვითარების პირველ საფეხურს, ჩამოყალიბდა დიდი ხნით ადრე მე-4—7 საუკუნეებამდე: მე-4 ს-ის ავტორსაც და მე-7 ს-ის ავტორსაც, როდესაც ისინი თამამად და ზედმეტი მარკირების; გარეშე ჩართავენ პროზაულ ტექსტში ნახევარ ან ერთ სალექსო სტრიქონს, აქვს გარანტია იმისა, რომ ადრესატი ამას სათანადოდ აღიქვამს, მკითხველისთვის ჩვეულებრივია და პერცეპტული ის ვერსიფიკაციული ვითარება, რომელიც ამ საუკუნეებამდე დიდი ხნით ადრე შეიქმნა.

6. 4. შესავალში აღნიშნული იყო, რომ ჩვენს მიერ პოსტულირებულია ქართული ლექსთწყობის პირველი, ფიქსირებული, საფეხურის წინა საფეხურის მეტრული სურათი. ლოგიკური აღდგენა, რომელიც მოცემულ ნაშრომშია წარმოდგენილი, იმას მიუთითებს, რამ პოსტულირებული სურათი რეალურიც არის და ვერიფიცირებულიც. ერთი მხრივ, უეჭველი ჩანს ქართული ლექსთწყობის სისტემის მოქმედების ფაქტი მე-4—5 საუკუნეებამდე გაცილებით დიდი ხნით ადრე. მეორე მხრივ, პოსტულირებული სისტემა, როგორც ითქვა, გულისხმობს ორი ტოლი ორწევრედისგან აგებულ სტრიქონს და ორი ტოლი სეგმენტისგან შემდგარ ორწევრედს (არ არის ჩამოყალიბებული შემდგომი საფეხურებისთვის დამახასიათებელი ის ვითარება, როდესაც დასაშვებია რიტმულ ერთეულში პირველი უფრო გრძელი შემადგენლის პრინციპი); უძველესი მეტრული ფრაგმენტები, რომლებიც სასულიერო პროზაში შემოგვინახა ლექსითი პასაჟების სახით, სწორედ 5+5 სტრუქტურას გვიჩვენებს ორწევრედისთვის და (5+5)+(5+5) სტრუქტურას სტრიქონისთვის.

6. 5. ყველაფერი თქმული არ შემოფარგლება მხოლოდ ვერსიფიკაციული სურათის აღდგენით დროით განზომილებაში და ვერსიფიკაციული სისტემის რეალიზებული ელემენტების პოსტულირებით. თქმული იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ მე-4—5 საუკუნეებამდე არსებობდა ქართული პოეზია, როგორც მწერლობა და არა ფოლკლორი. მე-4—5 საუკუნეები საქართველოში ქრისტიანობის პირველი საფეხურებია და ქრისტიანული მწერლობის განვითარების პირველი ეტაპი. „საქმე მოციქულთაჲ“ გვაძლევს წინაქრისტიანული, წარმართული ეპოქისთვის დამახასიათებელი ლიტერატურული მოე-

